ადმინისტრაციულ-სამეურნეო სადგომები (გამგის კაბინეტი, თანამშრომელთა ოთახი, თეთრეულის ოთახი, სამზარეულო დასამზადებელით, საკუჭნაოთი და განმანაწილებლით, სამრეცხაო გასაშრობით, საპირფარეშო თანამშრომელთათვის), სამედიცინო ოთახი და ავადმყოფ ბავშვთა სადგომები იზოლირებულად უნდა იყოს საბავშვო სადგომებიდან, მაგრამ მოხერხებულად უკავშირდებოდეს მათ.

სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურები სათანადო რაიონის ან ქალაქის განათლების განყოფილებას, საწარმოს, დაწესებულებას, საბჭოთა მეურნეობას, კოლმეურნეობას აძლევენ დასკვნებს იმის შესახებ, თუ რამდენად აკმაყოფილებს დადგენილ სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებსა და წესებს ახალგასახსნელი ბაგა-ბაღის ნაკვეთი, შენობები და მოწყობილობა, სახანძრო ინსპექცია კი იძლევა დასკვნებს ხანძარსაწინააღმდეგო წესების შესახებ.

6. ბაგა-ბაღს უნდა ჰქონდეს დადგენილი ფართობის შემოღობილი, გამწვანებული და სათანადოდ მოწყობილი ნაკვეთი თამაშისა, მეცადინეობისა და ჰაერზე ძილისათვის.

7. ბაგა-ბაღების მოწყობა წარმოებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ტიპური მოწყობილობის სიის მიხედვით.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

8. ბაგა-ბაღებში ბავშვთა კვება ხდება მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით და კვების ნორმების დაცვით (ბაგის ასაკის ბავშვთა ჯგუფებში—საბავშვო ბაგების ნორმების მიხედვით, 3 წლიდან 7 წლამდე ასაკის ბავშვთა ჯგუფებში კი—საბავშვო ბაღების ნორმებით).

ერთ წლამდე ასაკის ბავშვები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების სარძევე სამზარეულოებში ან საბავშვო დაწესებულების სამზარეულოში სპეციალურად დამზადებული საჭმელებით.

II. სტრუქტურა

9. ქალაქებში, მუშათა დაბებსა და მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებში გაიხსნება შემდეგი ტიპის ბაგა-ბაღები:

6 ჯგუფზე — 2 ჯგუფი 2 თვიდან 3 წლამდე ასაკის ბავშვთა და 4 ჯგუფი 3-დან 7 წლამდე ასაკის ბავშვთა;

7 ჯგუფზე — 3 ჯგუფი 2 თვიდან 3 წლამდე ასაკის ბავშვთა და 4 ჯგუფი 3-დან 7 წლამდე ასაკის ბავშვთა;

მცირედასახლებულ პუნქტებში:

2 ჯგუფზე — 1 ჯგუფი 2 თვიდან 3 წლამდე ასაკის ბავშვებისა ორი ქვეჯგუფით და 1 ჯგუფი 3-დან 7 წლამდე ასაკის ბავშვთა;

3 ჯგუფზე—1 ჯგუფი 2 თვიდან 3 წლამდე ასაკის ბავშვებისა ორი ქვეჯგუფით და 2 ჯგუფი 3-დან 7 წლამდე ასაკის ბავშვთა;

4 ჯგუფზე — 2 ჯგუფი 2-დან 3 წლამდე ასაკის ბავშვთა და 2 ჯგუფი 3-დან 7 წლამდე ასაკის ბავშვთა.

10. ბაგა-ბაღებში ბავშვთა ყოფნის ხანგრძლიობა განისაზღვრება 9, 12 და 24 საათით დღე-ღამეში—მშობელთა მუშაობის პირობების მიხედვით. სადღეღამისო ბაგა-ბაღებში მიიღებიან ერთ წელზე მეტი ასაკის ბავშვები.

11. ბავშვთათვის ტუბერკულოზური ინტოქსიკაციით და სუსტი ბავშვებისათვის შეიქმნება სანატორიული ტიპის ბაგა-ბაღები.

12. ბაგა-ბაღებში ბავშვთა ჯგუფები კომპლექტდება ასაკის მიხედვით:

ბაგის პირველი ჯგუფი — 2 თვიდან 9—10 თვემდე

ბაგის მეორე ჯგუფი — 9—10 თვიდან 1 წ. და 8 თვემდე

ბაგის მესამე ჯგუფი — 1 წ. და 8 თვიდან 3 წლამდე

საბავშვო ბაღის პირველი უმცროსი ჯგუფი 3-დან 4 წლამდე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბავშვო ბაღის მეორე უმცროსი ჯგუფი	— 4-დან 5 წლამდე;
საბავშვო ბაღის საშუალო ჯგუფი	— 5-დან 6 წლამდე;
საბავშვო ბაღის უფროსი ჯგუფი	— 6-დან 7 წლამდე;

ბავშვთა რაოდენობა ჯგუფებში:

ბაგის პირველ ჯგუფში—15 ბავშვი;

ბაგის მეორე და მესამე ჯგუფებში და საბავშვო ბაღის პირველ უმცროს ჯგუფში—20—20 ბავშვი;

საბავშვო ბაღის მეორე უმცროს, საშუალო და უფროს ჯგუფებში 25—25 ბავშვი.

ბაგა-ბაღში, სადაც 50, 75, 90 ადგილია, დასაშვებია ჯგუფების დაკომპლექტება მომიჯნავე ასაკის ბავშვებით.

III. ბავშვთა მიღებისა და გადაყვანის წესი

13. განათლების განყოფილებათა ბაგა-ბაღებში ბავშვების მიღებას აწარმოებს ბაგა-ბაღის გამგე ქალაქის, რაიონის განათლების განყოფილებასთან შეთანხმებით ბავშვთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ბაგა-ბაღებში, რომლებიც დაშორებულია რაიონულ ცენტრებს (ადგილობრივი პირობების გამო), განათლების განყოფილებათა დავალებით ბავშვთა მიღებას აწარმოებენ ბაგა-ბაღების გამგეები მშრომელთა დეპუტატების სასოფლო-სადაბო საბჭოებთან შეთანხმებით.

საწარმოების, დაწესებულებათა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების ბაგა-ბაღებში ბავშვთა მიღება წარმოებს სათანადო საწარმოს, საბჭოთა მეურნეობის, დაწესებულების, ორგანიზაციის მიერ პროფკავშირულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით, კოლმეურნეობების ბაგა-ბაღებში კი—კოლმეურნეობების გამგეობის მიერ.

შენიშვნა: ბავშვთა მშობლების შორეულ ადგილებში გადასვლის შემცირების მიზნით, განათლების განყოფილებებს უფლება ენიჭებათ:

საწარმოების, დაწესებულებათა და სხვა ორგანიზაციების (გარდა კოლმეურნეობებისა) ბაგა-ბაღებში ადგილების 15 პროც. შეავსონ ბავშვებით, რომელთა მშობლები არ მუშაობენ მოცემულ საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, მაგრამ ცხოვრობენ საბავშვო დაწესებულების ადგილსამყოფელ რაიონში;

აკრძალონ ბავშვთა გარიცხვა ბაგა-ბაღებიდან (გარდა კოლმეურნეობების ბაგა-ბაღებისა) დედების სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

14. ბაგა-ბაღებში პირველ რიგში მიიღებიან მომუშავე და მრავალშვილიანი დედების ბავშვები, აგრეთვე დედებისა, რომლებიც სწავლობენ დასწრებულად, დაუსწრებლად და საღამოს სასწავლებლებში.

შენიშვნა: უსინათლო და ყრუ ბავშვები, აგრეთვე ბავშვები, რომლებსაც დაზიანებული აქვთ ცენტრალური ნერვული სისტემა და საჭიროებენ სპეციალურ ინდივიდუალურ მოვლას, ჩვეულებრივი ტიპის ბაგა-ბაღებში არ მიიღებიან.

15. ბავშვთა ჩარიცხვა ბაგა-ბაღებში წარმოებს მშობელთა განცხადებებით. განცხადებას დაერთვის საექიმო ცნობა ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ცნობები მშობლების ხელფასის შესახებ და ბავშვის დაბადების მოწმობა.

16. ბავშვთა გადაყვანა შემდგომ ასაკობრივ ჯგუფებში წარმოებს ყოველწლიურად 25 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე.

ბაგა-ბაღებში განთავისუფლებული ადგილები დაუყოვნებლივ უნდა შეივსოს. განთავისუფლებულ ადგილებზე ბაგის ჯგუფებში პირველ რიგში მიიღებიან 2 თვიდან 10 თვემდე ასაკის ბავშვები. საბავშვო ბაღის ჯგუფებში განთავისუფლებულ ადგილებზე მოსახლეობისაგან მიიღებიან ბავშვები, თუ ეს ადგილები შეუვსებელი რჩება ბავშვთა გადაყვანისას შემდგომ ასაკობრივ ჯგუფებში.

17. ბაგა-ბაღებიდან ბავშვთა გარიცხვა წარმოებს სამედიცინო დასკვნით ან იმ შემთხვევაში, თუ არასაპატიო მიზეზის გამო ბავშვი არ გამოცხადდა ორ კვირაზე მეტი დროის განმავლობაში, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც დადგენილი ვადის შემდეგ ორი კვირის განმავლობაში არ იქნა გადახდილი ბავშვის შენახვის ქირა.

18. ბაგა-ბაღებში ბავშვთა შენახვის ქირა გადახდილ უნდა იქნეს საამისოდ არსებულ სპეციალური ინსტრუქციის შესაბამისად, კოლმეურნეობაში კი ქირის ოდენობას აწესებს კოლმეურნეობის გამგეობა.

IV. შტატი და ხელმძღვანელობა

19. ბაგა-ბაღების პედაგოგიური, სამედიცინო და ადმინისტრაციულ-მომსახურე პერსონალის შტატები წესდება ამ ტიპის დაწესებულებებისათვის დამტკიცებული შტატების შესაბამისად.

20. ბაგა-ბაღის გამგის თანამდებობაზე, როგორც წესი, ინიშნება პირი უმაღლესი პედაგოგიური (სკოლამდელი) განათლებით, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელსაც დამთავრებული აქვს სპეციალური სამედიცინო კურსები და გააჩნია ბავშვებთან მუშაობის სტაჟი არანაკლებ 5 წლისა.

შენიშვნა: მცირეკომპლექტიან ბაგა-ბაღის გამგის თანამდებობაზე შეიძლება დანიშნულ იქნეს პირი საშუალო პედაგოგიური (სკოლამდელი) განათლებით, რომელსაც მიღებული აქვს სამედიცინო მომზადება კურსებზე და გააჩნია ბავშვებთან მუშაობის სტაჟი არანაკლებ 5 წლისა.

ბაგის მეორე, მესამე და საბავშვო ბაღის ყველა ჯგუფის აღმზრდელის თანამდებობაზე დაინიშნება პირი, რომელსაც დამთავრებული აქვს სკოლამდელი პედაგოგიური სასწავლებელი.

ბაგის პირველი ჯგუფის სამედიცინო დის თანამდებობაზე დაინიშნება პირი, რომელსაც დამთავრებული აქვს სამედიცინო სკოლა.

მუსიკალური ხელმძღვანელის თანამდებობაზე დაინიშნება სპეციალური მუსიკალური განათლების მქონე პირი.

21. განათლების განყოფილების ბაგა-ბაღის გამგეს, ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, ხოლო აღმზრდელებსა და მუსიკალურ ხელმძღვანელს რაიონის, ქალაქის განათლების განყოფილება.

საწარმოს, დაწესებულების, საბჭოთა მეურნეობისა და სხვა ორგანიზაციას ბაგა-ბაღის გამგეს, აღმზრდელებსა და მუსიკალურ ხელმძღვანელს ნიშნავს და ათავისუფლებს ამ საწარმოს, დაწესებულების, საბჭოთა მეურნეობისა და ორგანიზაციის ადმინისტრაცია, რომელიც საკითხს უთანხმებს რაიონის, ქალაქის განათლების განყოფილებას; კოლმეურნეობაში აღნიშნულ პირებს ნიშნავს და ათავისუფლებს კოლმეურნეობის გამგეობა რაიონის განათლების განყოფილების რეკომენდაციით.

22. ბაგა-ბაღის საშუალო სამედიცინო პერსონალს ნიშნავს და ათავისუფლებს ბაგა-ბაღის გამგე, რომელიც საკითხს უთანხმებს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოს, კოლმეურნეობაში კი—ბაგა-ბაღის გამგე კოლმეურნეობის გამგეობის მიერ დადგენილი წესითა და ჯანმრთელობის ორგანოს რეკომენდაციით.

ექიმები დაინიშნებიან და განთავისუფლდებიან საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით.

23. ბაგა-ბაღის მნეს, მზარეულსა და მის თანაშემწეს, ძიძა-დამლაგებლებს, ღამის ძიძებსა და სხვა მომსახურე პერსონალს ნიშნავს და ათავისუფლებს ბაგა-ბაღის გამგე, კოლმეურნეობაში კი ბაგა-ბაღის გამგე კოლმეურნეობის გამგეობის მიერ დადგენილი წესით.

24. ამ დროებითი დებულების 21, 22 და 23 მუხლებში აღნიშნულ პირთა დანიშვნა და გათავისუფლება წარმოებს შრომის კანონმდებლობის დაცვით.

25. ბაგა-ბაღების ადმინისტრაციის, პედაგოგიური, სამედიცინო და მომსახურე პერსონალის უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება საბავშვო ბაღებისა და ბაგების მუშაკთა შრომითი შინაგანაწესით.

26. ბაგა-ბაღთან დაარსდება მშობელთა კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედის თვითეული ჯგუფის ბავშვთა მშობლების თითო წარმომადგენელი, მშობელთა კომიტეტები თავის მუშაობაში ხელმძღვანელობენ მშობელთა კომიტეტების შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულებით.

V. ბაგა-ბაღების დაფინანსება და ანგარიშგება

27. ბაგა-ბაღს აქვს ხარჯთაღრიცხვა, რომელიც დამტკიცებულია რაიონის, ქალაქის განათლების განყოფილების ან იმ საწარმოს, დაწესებულების, საბჭოთა მეურნეობის, ორგანიზაციის, კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, რომლის გამგებლობაშიც ის იმყოფება.

28. კრედიტების განმკარგულებელი არის ბაგა-ბაღის გაგე.

29. საფინანსო და სამეურნეო აღრიცხვა ბაგა-ბაღში, აგრეთვე ანგარიშგება მის მუშაობის შესახებ წარმოებს დადგენილი წესის მიხედვით.

39 საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების ტიპური შტატების შესახებ

ჩვენს ქვეყანაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ კანონის შესაბამისად სკოლის მუშაობის გარდაქმნასთან და მოსწავლეთა თვითმომსახურების გაფართოებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლის ადმინისტრაციული, სასწავლო-დამხმარე და მომსახურე პერსონალის ტიპური შტატები № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7 და 8 დანართების თანახმად.

დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების შტატებს აწესებენ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოები ამ დადგენილებით დამტკიცებული ტიპური შტატების შესაბამისად განათლებისათვის დამტკიცებული ხელფასის ფონდის ფარგლებში.

2. უფლება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 10 და მეტ კლასიანი რვაწლიანი და საშუალო სკოლების ხარჯთაღრიცხვით გაითვალისწინოს ასიგნებანი ასანაზღაურებლად:

ა) მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის კლასგარეშე მუშაობისათვის — ერთ სკოლაზე ფიზიკური მომზადების მასწავლებლის განაკვეთის — 0,25, ხოლო 20 და მეტ კლასიან სკოლებში — 0,5 განაკვეთი სკოლაზე;

ბ) სკოლის წრეების ხელმძღვანელებისა — მასწავლებლის განაკვეთის 0,5 ოდენობით სკოლაზე.

3. დაწესდეს სკოლების ადმინისტრაციული და მომსახურე პერსონალის თანამდებობრივი განაკვეთები:

ა) დირექტორის (გამგის), სასწავლო ნაწილის გამგის — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 10 თებერვლის № 245 დადგენილების შესაბამისად;

ბ) უფროსი პიონერხელმძღვანელებისა — სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 5 ოქტომბრის № 1089, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 14 ივლისის № 10683 და 1951 წლის 26 სექტემბრის № 18038 განკარგულებათა შესაბამისად;

გ) ბიბლიოთეკარებისა—სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 16 აგვისტოს № 1114 დადგენილების შესაბამისად.

დ) დირექტორის თანაშემწეებისა სამეურნეო

ნაწილში	550	მანეთი თვეში
ბუღალტრებისა	400	„ „
მეურნეობის გამგეებისა	350	„ „
საქმისმწარმოებელ-მემანქანეებისა	300	„ „
ელექტრომონტიორებისა . . .	300	„ „
ლაბორანტებისა	300	„ „
დურგლებისა	300	„ „
ზეინკალ-მეცეცხლურებისა . . .	300	„ „
მეცეცხლურთა, მეგარდერობეთა, ცეცხლ-ფარეშთა, დამლაგებლებისა და მეეზოვე-დარაჯებისა:		
ქალაქებსა და მუშათა დაბებში . .	300	„ „
სოფლად	270	„ „

4. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 22 ივნისის № 693 დადგენილების შესაბამისად, განაკვეთები, რომლებიც გათვალისწინებულია № 5 დანართის 3-დ, 2 და 4 პუნქტების შენიშვნებით,

ეროვნული

№ 6 დანართის 1, 2 და 6 პუნქტების შენიშვნებით, № 7 დანართის 7 და 3 პუნქტების შენიშვნებით და № 8 დანართის 1, 3, 4 და 5 პუნქტების შენიშვნებით, შეთანხმებულ იქნეს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წ. 19 მაისი № 348

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 19 მაისის № 348
დადგენილების დანართი № 1

ტიპური შტატები

ადმინისტრაციული, სასწავლო-დამხმარე და მომსახურე პერსონალისა საშუალო სკოლებისათვის, რომელნიც შეიცავენ საწარმოო სწავლებიან 1—10 კლასებს

თანამდებობათა დასახელება	შტატები კლას-კომპლექტების რაოდენობის მიხედვით							
	7-9 კლასი	10-13 კლასი	14-16 კლასი	17-19 კლასი	20-22 კლასი	23-25 კლასი	26-29 კლასი	30 და მეტი
ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალი								
სკოლის დირექტორი	1	1	1	1	1	1	1	1
სასწავლო ნაწილის გამგე	1	1	1	1	1	1,5	1,5	2
დირექტორის თანაშემწე სამნეო ნაწილში	—	1	1	1	1	1	1	1
მეურნეობის გამგე	0,5	—	—	—	—	—	—	—
ბუღალტერი	—	—	—	0,5	1	1	1	1
საქმისმწარმოებელი — მემანქანე	1	1	1	1	1	1	1	1
ჯამი	3,5	4	4	4,5	5	5,5	5,5	[illegible]
სასწავლო-დამხმარე და მომსახურე პერსონალი								
უფროსი პიონერხელმძღვანელი	0,5	1	1	1	1	1	1	[illegible]
ბიბლიოთეკარი	—	0,5	1	1	1	1	1	1,5

თანამდებობათა დასახელება	შტატები კლას-კომპლექტების რაოდენობის მიხედვით							
	7-9 კლასი	10-13 კლასი	14-16 კლასი	17-19 კლასი	20-22 კლასი	23-25 კლასი	26-29 კლასი	30 და მეტი
ელექტრომონტიორი ან დურგალი	—	—	—	1	1	1	1	1
უმცროსი მომსახურე პერსონალი (მეგარდერობე, დამლაგებელი, მეეზოვე-დარაჯი და სხვ.)	3	4	5	7	8	9	11	12
ჯამი	3,5	5,5	7	10	11	12	14	16,5
სულ	7	9,5	11	14,5	16	17,5	19,5	22,5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. მირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 19 მაისის № 348
დადგენილების დანართი № 2

ტიპური შტატები

დაწყებითი და რვაწლიანი სკოლების ადმინისტრაციული, სასწავლო-დამხმარე და მომსახურე პერსონალისა

	შტატები კლას-კომპლექტების რაოდენობის მიხედვით													
	დაწყებითი სკოლები				რვაწლიანი სკოლები									
	4-ამდე ჩათვლით	5-7	8-9	10-12	4-ამდე ჩათვლით	5-6	7-9	10-13	14-16	17-19	20-22	23-25	26-29	30 და მეტი
ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალი														
სკოლის დირექტორი	—	—	—	—	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
სასწავლო ნაწილის გამგე	—	—	—	—	—	—	1	1	1	1	1	1,5	1,5	2
დირექტორის თანაშემწე სამეურნეო ნაწილში	—	—	—	—	—	—	—	—	—	1	1	1	1	1
მეურნეობის გამგე	—	—	—	—	—	—	—	1	1	—	—	—	—	—
ბუღალტერი	—	—	—	—	—	—	—	—	—	0,5	1	1	1	1
საქმისმწარმოებელი-მემანქანე	—	0,5	0,5	0,5	—	0,5	1	1	1	1	1	1	1	1
ჯამი	—	0,5	0,5	0,5	1	1,5	3	4	4	4,5	5	5,5	5,5	6

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

	შტატები კლას-კომპლექტების რაოდენობის მიხედვით													
	დაწყებითი სკოლები				რვაწლიანი სკოლები									
	4-მდე ჩვენ-ებრივ	5-7	8-9	10-12	4-მდე ჩვენ-ებრივ	5-6	7-9	10-13	14-16	17-19	20-22	23-25	26-29	30 და მეტი
პედაგოგიური, სასწავლო-დამხმარე და მომსახურე პერსონალი														
სკოლის გამგე	1	1	1	1	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
უფროსი პიონერხელმძღვანელი	—	—	—	—	—	—	0,5	1	1	1	1	1	1	2
ბიბლიოთეკარი	—	—	—	—	—	—	—	0,5	1	1	1	1	1	1,5
ელექტრომონტიორი ან დურგალი	—	—	—	—	—	—	—	—	—	1	1	1	1	1
უმცროსი მომსახურე პერსონალი (მეგარდერობე, დამლაგებელი, მეეზოვე-დარაჯი და სხვ.)	1	2	3	4	1	2	3	4	5	7	8	9	11	12
ჯამი	2	3	4	5	1	2	3,5	5,5	7	10	11	12	14	16,5
სულ	2	3,5	4,5	5,5	2	3,5	6,5	9,5	11	14,5	16	17,5	19,5	22,5

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ბერაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 19 მაისის № 348
დადგენილების დანართი № 3

ტიპური შტატები

საკუთარი შენობის მქონე საღამოს (ცვლიანი) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ადმინისტრაციული, სასწავლო-დამხმარე და მომსახურე პერსონალისა

თანამდებობათა დასახელება	შტატები კლას-კომპლექტების რაოდენობის მიხედვით									
	4-მდე ჩათვლით	5-6	7-9	10-13	14-16	17-19	20-22	23-25	26-29	30 და მეტი
ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალი										
სკოლის დირექტორი	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
სასწავლო ნაწილის გამგე	—	—	1	1	1	1	1	1,5	1,5	2
დირექტორის თანაშემწე სამეურნეო ნაწილში	—	—	—	—	—	1	1	1	1	1
მეურნეობის გამგე	—	—	—	1	1	—	—	—	—	—
ბუღალტერი	—	—	—	—	—	0,5	1	1	1	1
საქმისმწარმოებელი-მემანქანე	—	0.5	0 5	1	1	1	1	1	1	2
ჯამი	1	1,5	2,5	4	4	4.5	5	5,5	5,5	6

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამდებობათა დასახელება	შტატები კლას-კომპლექტების რაოდენობის მიხედვით									
	4-ძდე ჩათვ-ლით	5-6	7-9	10-13	14-16	17-19	20-22	23-25	26-29	30 და მეტი
პედაგოგიური, სასწავლო-დამხმარე და მომსახურე პერსონალი										
ბიბლიოთეკარი	—	—	—	0,5	1	1	1	1	1	1,5
ზეინკალ-ელექტრომონტიორი	—	—	—	—	—	1	1	1	1	1
უმცროსი მომსახურე პერსონალი (მეგარდერობე, დამლაგებელი, მეცეცხლური, მეეზოვე-დარაჯი და სხვ.)	1	2	3	4	5	7	9	10	12	13
ჯამი	1	2	3	4,5	6	9	11	12	14	15,5
სულ	2	3,5	5,5	8,5	10	13,5	16	17,5	19,5	21,5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ბერაძე.**

№ 3.
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 1, 2 და 3 დანართის შენიშვნები

1. 1 კლას-კომპლექტიან დაწყებითს სკოლებში წესდება დამლაგებლის თანამდებობის 0,5 ერთეული.

2. 12 კლას-კომპლექტიან და მეტ დაწყებითს სკოლებში შვიდწლიან და ათწლიან საშუალო სკოლებში ადმინისტრაციული, სასწავლო-დამხმარე და მომსახურე პერსონალის რაოდენობა წესდება რვაწლიანი სკოლების ტიპური შტატების შესაბამისად.

3. დაწყებითს სკოლებში სკოლის გამგე იმავე დროს მასწავლებელია: მასწავლებლის სამუშაოსაგან დაწყებითი სკოლის გამგე თავისუფლდება თუ სკოლაში 8 და მეტი კლას-კომპლექტია და სულ ცოტა 240 მოსწავლე.

4. სკოლებში, რომელთაც აქვთ ცენტრალური გათბობა, დამატებით წესდება ზეინკალ-ცეცხლფარეშის 1 თანამდებობა. გარდა ამისა, სკოლებში, რომელთაც აქვთ ცენტრალური გათბობა, გათბობის სეზონისათვის წესდება ცეცხლფარეშის თანამდებობა თვითეულ საქვაბეზე ერთი ერთეულის ანგარიშით ცვლაში, მაგრამ არა უმეტეს 2 ერთეულისა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ხოლო სკოლა-ინტერნატებში—3,5 ერთეული.

5. თუ 10 და მეტ კლას-კომპლექტიან რვაწლიან და საშუალო სკოლებს აქვთ გაწყობილი ფიზიკის ან ქიმიის კაბინეტი, შტატში უწესდება ლაბორანტის თანამდებობა, ხოლო 25 და მეტ კლას-კომპლექტიან სკოლების შტატში ლაბორანტის 2 თანამდებობა.

20 და მეტ კლას-კომპლექტიან საშუალო სკოლებში, თუ არის ელექტროტექნიკური ან მანქანათმცოდნეობის გაწყობილი კაბინეტი, 8—10 კლასის მოსწავლეებთან პრაქტიკული მეცადინეობის ჩასატარებლად შეიძლება დაწესდეს ლაბორანტის დამატებითი თანამდებობა.

6. სკოლებში, რომელთა შტატში არ არის გათვალისწინებული ბიბლიოთეკარის თანამდებობა, წესდება მასწავლებლისათვის დანამატი საბიბლიოთეკო მუშაობის ასანაზღაურებლად თვეში 75 მანეთის ოდენობით (თუ სკოლაშია 160 მოსწავლე და მას აქვს სულ ცოტა 750 წიგნი).

7. თუ სკოლა მოთავსებულია რამდენიმე შენობაში, რომლებიც ერთმანეთს დაცილებულია, სკოლის დირექტორებს უფლება ეძლევათ ერთი დამლაგებლის განაკვეთი გადაუხადოს ორ დამლაგებელს 0,5 განაკვეთი თვითეულს.

8. ოთხ და მეტ შენობაში მოთავსებულ სკოლებში დამლაგებელთა რაოდენობა შეიძლება გადიდდეს შემდეგი ანგარიშით ერთი ერთეული თვითეულ შენობაზე სამი შენობის ზევით.

9. სკოლებში, რომლებშიც 30-ზე მეტი კლასია, უმცროსი მომსახურე პერსონალის რაოდენობა დიდდება ყოველ 4 კლასზე 0,5 ერთეულით.

10. სკოლებში, სადაც საკუთარი ელექტროსადგურია გასანათებლად სასწავლო სახელოსნოების მომსახურებისათვის, შეიძლება შემოღებულ იქნეს ზეინკალ-ელექტრომონტიორის თანამდებობა, თუ ამ სკოლების შტატში ასეთი თანამდებობა გათვალისწინებული არ არის.

11. შტატი საწარმოო სწავლებიან საშუალო სკოლებისა, სადაც 7 კლასკომპლექტამდეა, წესდება რვაწლიანი სკოლების ტიპური შტატის მიხედვით.

12. 8 და მეტ კლასიან სკოლებში, სადაც გაწყობილი სასწავლო სახელოსნოა, წესდება ოსტატის თანამდებობა თვეში 690 მანეთის განაკვეთით. ამ სახელოსნოში მოწყობილობისათვის მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება ოსტატს, ხოლო იმ სკოლებში, რომელთა შტატში გათვალისწინებული არ არის აღნიშნული თანამდებობა, მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება ერთ-ერთ მასწავლებელს, რისთვისაც მას ეძლევა დანამატი თვეში 150 მანეთი ან ორ მასწავლებელს 75 მანეთი თვითეულს თვეში.

იმ რვაწლიანი და საშუალო სკოლების შტატში, რომელთაც აქვთ გაწყობილი სახელოსნოები საჭირო რაოდენობის სამუშაო ადგილებით და ყავთ 8—19 კლას-კომპლექტი, შეყვანილ იქნეს სასწავლო სახელოსნოთა ოსტატის თანამდებობა. დაწესდეს, რომ 8—9 კლასკომპლექტიან სკოლებში ოსტატების ხელფასის განაკვეთში შედის მასწავლებლის კვირაში 12 საათის მუშაობის ანაზღაურება, 10—16 კლას-კომპლექტიან სკოლებში კვირაში 9 საათისა, ხოლო 17—19 კლას-კომპლექტიან სკოლებში—მასწავლებლის 6 საათის მუშაობისა კვირაში.

13. საწარმოო სწავლებიან იმ საშუალო სკოლების შტატში, სადაც დაახლოებით სამი IX—XI კლასებია, წესდება სასწავლო ნაწილის გამგის თანამდებობა საწარმოო სწავლების დარგში 0,5 ერთეული, ხოლო სკოლებში, სადაც აღნიშნული კლასები სამს აღემატება, ერთი ერთეული.

14. თუ სკოლას აქვს სასწავლო-საცდელი ნაკვეთი, ამ ნაკვეთის ხელმძღვანელობისათვის ანაზღაურება წესდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 16 თებერვლის № 869 დადგენილების შესაბამისად თვეში 100 მანეთი რვაწლიან და საშუალო სკოლებში, სადაც ათამდე კლას-კომპლექტია, და თვეში 150 მანეთი იმ სკოლებში, სადაც 10-ზე მეტი კლას-კომპლექტია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ბერაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 19 მაისის № 348
დადგენილების დანართი № 4

ტიპური შტატები

საწარმოო სწავლებიან იმ საშუალო სკოლების ადმინისტრაციული, სასწავლო-დამხმარე და მომსახურე პერსონალისა, რომელნიც შეიცავენ IX—XI კლასებს

თანამდებობის დასახელება	8-10	11-18
სკოლის დირექტორი	1	1
სასწავლო ნაწილის გამგე	1	1
სასწავლო ნაწილის გამგე საწარმოო სწავლების დარგში	1	1
დირექტორის თანაშემწე სამეურნეო ნაწილში	1	1
ბუღალტერი	0,5	1
საქმისმწარმოებელი-მემანქანე	1	1
ბიბლიოთეკარი	0,5	1
ლაბორანტი	2	2
ელექტრომონტიორი	0,5	1
უმცროსი მომსახურე პერსონალი (დამლაგებელი, მეგარდერობე, მეეზოვე-დარაჯი და სხვ.) . .	4	6
ჯამი . . .	12,5	16

№ 4 დანართის შენიშვნები

1. სკოლებს, რომელთაც აქვთ ცენტრალური გათბობა, გათბობის სეზონში უწესდებათ ცეცხლფარეშის თანამდებობა ცვლაში ერთ საქვაბეზე ერთი ერთეული, მაგრამ არა უმეტეს 2 ერთეულისა სკოლაზე.

2. თუ სკოლას აქვს სასწავლო-საცდელი ნაკვეთი, სკოლას ეძლევა ამ ნაკვეთის გამგებლობისათვის ასანაზღაურებელი თანხა № 1 2 და 3 დანართის შენიშვნების მე-14 პუნქტის შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ლაბორანტის თანამდებობა სკოლას ეძლევა მაშინ, თუ აქვს მოწყობილი კაბინეტები.

4. სკოლებს, რომელთაც აქვთ საკუთარი ელექტროსადგური გასანათებლად ან სასკოლო სახელოსნოების მომსახურებისათვის, ეძლევათ ელექტრომონტიორის თანამდებობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. მირაქაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 19 მაისის № 348
დადგენილების დანართი № 5

ტიპური შტატები

საღამოს (ცვლის) იმ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ადმინისტრაციული, სასწავლო-დამხმარე და მომსახურე პერსონალისა, რომელთაც დამოუკიდებელი შენობა არა აქვს

თანამდებობათა დასახელება	4 კლასი	5–6 კლასი	7–9 კლასი	10–13 კლასი	14–16 კლასი	17–19 კლასი	20–22 კლასი	23–25 კლასი	26–29 კლასი	30 და მეტი
სკოლის დირექტორი	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
სასწავლო ნაწილის გამგე	—	—	0,5	1	1	1	1	1,5	1,5	2
ბუღალტერი	—	—	—	—	—	—	1	1	1	1
საქმისმწარმოებელი-მემანქანე	—	0,5	0,5	1	1	1	—	—	—	—
ბიბლიოთეკარი	—	—	—	0,5	1	1	1	1	1	1,5
დამლაგებელ-მეგარდერობე	0,5	1	2	3	4	5	6	7	8	9
ჯამი	1,5	2,5	4	6,5	8	9	10	11,5	12,5	14,5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. მირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 5 დანართის შენიშვნები

1. 10 და მეტ კლას-კომპლექტიან საშუალო სკოლებს თუ აქვთ მოწყობილი ფიზიკის ან ქიმიის კაბინეტები, ეძლევათ ლაბორანტის თანამდებობა.

2. თუ სკოლას არა აქვს თავისი კაბინეტები და იყენებს საწარმოო სწავლებიანი რვაწლიანი ან საშუალო სკოლის, აგრეთვე სხვა სასწავლებლების ფიზიკის ან ქიმიის კაბინეტებს, მაშინ სკოლას უწესდება ლაბორანტის დამატებითი საზღაური თვეში 100 მანეთამდე ამ სკოლის თვითეულ გამოყენებულ კაბინეტზე.

3. 30 და მეტ კლასიან საშუალო სკოლებს უმცროსი მომსახურე პერსონალის შტატი დიდდება ყოველ ოთხ კლასზე 0,5 ერთეულის გაანგარიშებით.

4. საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, რომელსაც არ აქვს დამოუკიდებელი შენობა, მეურნეობის ხელმძღვანელობა ეკისრება იმ რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორების თანაშემწეებს სამეურნეო ნაწილში (მნეს), რომელთა შენობაშიაც მოთავსებულია აღნიშნული სკოლები, და მათ ეძლევათ დამატებითი საზღაური 150 მანეთი თვეში, თუ კლასების რაოდენობა 10-დან 20-მდეა და 200 მანეთი თვეში, თუ კლასების რაოდენობა 20-ზე მეტია.

5. სკოლებში, რომლებშიაც ითვლება 80-ზე ნაკლები მოსწავლე, დირექტორს განაკვეთი ეძლევა 50 პროცენტის ოდენობით; თუ ამ სკოლებში დაუსწრებლებთან ერთად ას მოსწავლეზე ნაკლები არ არის, დირექტორს მიეცემა მთელი განაკვეთი.

6. იმ სკოლებში, რომელთა შტატში გათვალისწინებული არ არის ბიბლიოთეკარის თანამდებობა, წესდება მასწავლებლისათვის საბიბლიოთეკო მუშაობის წარმოების დამატებითი საზღაური 75 მანეთის რაოდენობით თვეში (თუ სკოლაში 85 და მეტი მოსწავლეა და სულ ცოტა 750 წიგნი).

7. იმ სკოლებში, რომელთა შტატში გათვალისწინებული არ არის ბუღალტრის თანამდებობა, საანგარიშო მუშაობა ეკისრება საქმისმწარმოებელ-მემანქანეს, ხოლო იმ სკოლებში, სადაც არის ბუღალტერი, ამ უკანასკნელს ეკისრება საქმისწარმოება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ბერაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 19 მაისის № 348
დადგენილების დანართი № 6

შტატები იმ სკოლებისა და სასკოლათშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებისა, რომლებიც იმყოფებიან სამეურნეო ანგარიშზე ან რომელთა შენახვა ხდება სპეციალური სახსრებით

სახელოსნოს გამგე — ინჟინერი	1	განაკვეთი	890
ზეინკალ-გამმართველი	1	„	550
მეკუჭნავე-მეინსტრუმენტე	1	„	450

შენიშვნა: 1. სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების აღნიშნული შტატები ინახება საბიუჯეტო ასიგნებათა ხარჯზე.

2. ბუღალტრის თანამდებობა თვეში 550 მანეთის განაკვეთით წესდება იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო-საწარმოო სახელოსნოს საერთო წლიური პროდუქცია აღემატება 60 ათას მანეთს, იმ შემთხვევაში კი, როცა საერთო პროდუქციის მოცულობა ნაკლებია, საბუღალტრო აღრიცხვის წარმოება ეკისრება სკოლის მოანგარიშეს, რისთვისაც მას მიეცემა დამატებით საზღაური თვეში 200 მანეთი.

3. თუ V—VIII კლასების მოსწავლეები სწავლებას გადიან სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებში, მაშინ სკოლების ტიპური შტატებით გათვალისწინებული სასწავლო სახელოსნოს ოსტატის თანამდებობის შემოღება არ ხდება.

4. 5—8 კლასების მასწავლებელთა, აგრეთვე 9—11 კლასების საწარმოო სწავლების ხელმძღვანელთა შრომის ანაზღაურება ამ სახელოსნოებში წარმოებს შესაბამისი სკოლების ხელფასის ფონდის ანგარიშზე, რაც გათვალისწინებულია სათანადო სასწავლო გეგმებით.

5. საწარმოო და დამხმარე პერსონალის შტატებს აწესებენ სახალხო განათლების სათანადო ორგანოები შრომითი გეგმისა და სპეციალური სახსრების ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში, რომლებიც დამტკიცებულია ამ სახელოსნოთათვის, და ინახება სპეციალური სახსრებით.

6. იმ სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების შტატებში, რომელთა საერთო წლიური პროდუქცია 200 ათას მანეთს აღემატება, დამატებით წესდება მომარაგების აგენტის თანამდებობა თვეში 400 მანეთის განაკვეთით სპეციალური სახსრების ხარჯზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ბერაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 19 მაისის № 348
დადგენილების დანართი № 7

ტიპური შტატები

დაუსწრებელი საღამოს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ადმინისტრაციული, სასწავლო-დამხმარე და მომსახურე პერსონალისა

	4-მდე ჩათვლით	შტატები კლასების რაოდენობის მიხედვით								
		5–6 კლ.	7–9 კლ.	10–13 კლ.	14–16 კლ.	17–19 კლ.	20–22 კლ.	23–25 კლ.	26–29 კლ.	30 და მეტი
დირექტორი	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
სასწავლო ნაწილის გამგე	—	—	0,5	1	1	1	1	1	1	1
მეთოდისტი	—	—	—	—	—	—	1	1	2	2
საქმისმწარმოებელი-მემანქანე	—	0,5	0,5	0,5	1	1	1	1	1	1
ბიბლიოთეკარი	—	—	—	0,5	1	1	1	1	1	1
ბუღალტერი	—	—	—	—	—	—	—	1	1	1
დამლაგებელი	0,5	1	2	2,5	3	4	4,5	5	5,5	6
ჯამი	1,5	2,5	4	5,5	7	8	9,5	11	12,5	13

შენიშვნა:

1. სამამდე კლასიან (ჩათვლით) სკოლებში სკოლის გამგებლობისათვის უწესდება ერთ-ერთ მასწავლებელს დამატებითი საზღაური თვეში 100 მანეთი თვითეული კლასისათვის.

2. მეთოდისტის თანამდებობა წესდება მაშინ, თუ სკოლაში არის სულ ცოტა 5 საკონსულტაციო პუნქტი.

3. დაუსწრებელი საშუალო სასწავლებლები ხსნიან საკონსულტაციო პუნქტებს. ამ პუნქტების გამგეობისათვის უწესდებათ დამატებითი საზღაური მასწავლებლებს ან იმ სკოლების ხელმძღვანელებს, რომლებთანაც ეწყობა პუნქტები, 100 მანეთი, თუ სკოლაში 22-დან 40-მდე დაუსწრებლად მოსწავლეა. 150 მანეთი, თუ 40-დან 80-მდეა დაუსწრებლად მოსწავლე და 200 მანეთი, თუ 80-დან 200-მდე დაუსწრებლად მოსწავლე, რომლებსაც ემსახურება ეს პუნქტი.

4. იმ სკოლებში, რომელთა შტატში არაა გათვალისწინებული ბუღალტრის თანამდებობა, საანგარიშო სამუშაო ეკისრება საქმისმწარმოებელ-მემანქანეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. საკონსულტაციო პუნქტების ხარჯთაღრიცხვებში გათვალისწინებულია ასიგნებანი შენოჩის დალაგებისათვის თვეში 50 მანეთი თვითეულ კლასზე 20 დაუსწრებელი მსმენელით.

6. იმ დაუსწრებელი საშუალო სკოლების შტატებში, რომელთაც აქვთ დამოუკიდებელი შენობა, წესდება მეურნეობის გამგის თანამდებობა, ხოლო სკოლებში, რომელთაც არა აქვთ დამოუკიდებელი შენობა, მეურნეობის მართვისათვის ვრცელდება № 5 დანართის მეოთხე პუნქტით გათვალსიწინებული ანაზღაურების წესი.

7. დაუსწრებელ საშუალო სკოლებში, სადაც გაწყობილი ფიზიკის ან ქიმიის კაბინეტებია, წესდება ლაბორანტის თანამდებობა. თუ სკოლას ან საკონსულტაციო პუნქტს, სადაც დაუსწრებლად მოსწავლეთა რაოდენობა სულ ცოტა 80-ია, არა აქვს თავისი კაბინეტი და იყენებს რვაწლიანი სკოლების ან სხვა საშუალო სკოლების ფიზიკისა ან ქიმიის კაბინეტებს, ამ შემთხვევაში ლაბორანტს უწესდება დამატებითი საზღაური თვეში 100 მანეთი ამ სკოლის გამოყენებული თვითეული კაბინეტისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჰირაძაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 19 მაისის № 348
დადგენილების დანართი № 8

სკოლა-ინტერნატების მუშაკთა ნორმატივები და თანამდებობრივი განაკვეთები

1. დაუწესდეთ დაწყებითი, შვიდწლიანი-რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორებს (გამგეებს) ამ სკოლებთან არსებული ინტერნატების გამგებლობისათვის დამატებითი საზღაური: თვეში 75 მანეთი — ინტერნატებში, სადაც 20-მდე კაცია, 150 მანეთი, სადაც 21-დან 40-მდე კაცია, 200 მანეთი, სადაც 41-დან 75-მდე კაცია, 300 მანეთი, სადაც 76-დან 120-მდე კაცია, და 400 მანეთი, სადაც 121-დან 160-მდე კაცია.

2. დაინიშნონ ინტერნატში მყოფ მოსწავლეთა აღმზრდელებად მასწავლებლები და მიეცეს მათ სამი საათის აღმზრდელობითი მუშაობისათვის მათი განაკვეთის 0,5 შემდეგი გაანგარიშებით:

ინტერნატებში სადაც 15-მდე კაცია განაკვეთის 0,5

ინტერნატებში, სადაც 16-დან 40-მდე კაცია ორი ნახევარგანაკვეთი

ინტერნატებში, სადაც 41-დან 75-მდე კაცია სამი ნახევარგანაკვეთი

ინტერნატებში, სადაც 75-დან 120-მდე კაცია ოთხი ნახევარგანაკვეთი

ინტერნატებში, სადაც 121-დან 160-მდე კაცია ხუთი ნახევარგანაკვეთი

3. ყველა სკოლა-ინტერნატის შტატში წესდება მზარეულის თანამდებობა თვეში 300 მანეთი განაკვეთით, ხოლო ინტერნატებში, სადაც 121-დან 160-მდე კაცია—დამატებით მზარეულის თანაშემწის თანამდებობა თვეში 270 მანეთი განაკვეთით.

ინტერნატებში, სადაც 41-დან 75 კაცამდეა, წესდება დამლაგებელ-მრეცხავის თანამდებობა, სადაც 76-დან 120-მდეა — 2 ერთეული და ინტერნატებში, სადაც 120-ზე მეტი მოსწავლეა—3 ერთეული.

4. ინტერნატების მეურნეობის მართვა დაეკისროს სკოლის დირექტორის თანაშემწეს სამეურნეო ნაწილში (მეურნეობის გამგეს) და მიეცეს მას დამატებითი საზღაური თვეში 100 მანეთი, თუ ინტერნატში 40-დან 120-მდე მოსწავლეა და 150 მანეთი თუ 120-ზე მეტი მოსწავლეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. სკოლის საანგარიშო დარგის მუშაკებს აღრიცხვისა და ანგარიშმგებლობის წარმოებისათვის დაუწესდეთ თვეში 50 მანეთი დამატებითი საზღაური ინტერნატში, სადაც მოსწავლეთა რაოდენობაა 20-დან 75-მდე, 75 მანეთი თვეში, სადაც 76-დან 120-მდე მოსწავლეა და 100 მანეთი თვეში, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა 120-ზე მეტია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

40 რვაწლიანი, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საწარმოო სწავლებიანი და საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების დებულებების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი რვაწლიანი, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საწარმოო სწავლებიანი და საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების დებულებები, დანართების თანახმად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან ერთად, ორი თვის ვადაში წარმოადგინოს წინადადებები აღნიშნული დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის ზოგიერთი დადგენილების შეცვლის ან ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წ. 20 მაისი № 357

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულება

რვაწლიანი სკოლის შესახებ

I. სკოლის მიზნები და ამოცანები

1. რვაწლიანი სკოლა არის არასრული საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლა, რომელიც ახორციელებს 7 წლიდან 15—16 წლის ასაკამდე (ჩათვლით) ყველა ბავშვის (ვაჟებისა და ქალების) სავალდებულო ერთად სწავლებას.

რვაწლიანი სკოლა, რომელიც ასრულებს კომუნისტური აღზრდის ამოცანებს, მოსწავლეებს აძლევს ზოგადსაგანმანათლებლო და პოლიტექნიკური ცოდნის მტკიცე საფუძვლებს, ზრდის მათში შრომისადმი სიყვარულს, ამზადებს მათ საზოგადოებრივ სასარგებლო საქმიანობისათვის და ახორციელებს ბავშვთა ზნეობრივ, ფიზიკურ და ესთეტიკურ აღზრდას.

ცხოვრებასთან სწავლების მჭიდრო კავშირის განხორციელებით რვაწლიანი სკოლა სწავლების საზოგადოებრივ სასარგებლო მწარმოებლურ შრომასთან შეერთების საფუძველზე ამზადებს მოსწავლეებს სხვადასხვა სახის შრომითს საქმიანობაში მონაწილეობისა და საშუალო განათლების მიღებისათვის.

რვაწლიანი სკოლის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ საწარმოში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობასა და დაწესებულებებში მუშაობასთან ერთად განაგრძონ სწავლა საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში ან შევიდნენ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითს პოლიტექნიკურ საწარმოო სწავლებიან სკოლებში, ქალაქისა და სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, ტექნიკუმებსა და სხვა საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, აგრეთვე საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკურ საწარმოო სწავლებიანი სკოლების და საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაუსწრებელ განყოფილებებზე.

II. სკოლის ორგანიზაციის წესი და სტრუქტურა

2. რვაწლიანი სკოლები იხსნება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებებით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანხმებით, ხოლო რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების შესაბამისი აღმასკომების შუამდგომლობის საფუძველზე.

რვაწლიანი სკოლები იმყოფებიან რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილების გამგებლობაში.

3. რვაწლიან სკოლას აქვს კლასები I-დან VIII-მდე ჩათვლით. მოსწავლეთა საკმარისი კონტინგენტის პირობებში სკოლაში შეიძლება გაიხსნას პარალელური კლასები.

მოსწავლეთა რაოდენობა თვითეულ კლასში 40-ს არ უნდა აღემატებოდეს.

მცირედასახლების პუნქტებში შეიძლება დამოუკიდებლად არსებობდნენ დაწყებითი სკოლები I—IV კლასებით. ამ სკოლის კურსდამთავრებულნი გადაიყვანებიან ახლომდებარე რვაწლიანი ან საშუალო სკოლის V კლასში.

4. „საქართველოს სს რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სასალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ მიღებული კანონის შესაბამისად, პასუხისმგებლობა ბავშვთა საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების განხორციელებისათვის ეკისრება ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომს, რაიონისა და ქალაქის, სადაბო და სასოფლო მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს.

5. საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების განხორციელებისა და ბავშვთა წარმატებით სწავლებისათვის პირობების შექმნის მიზნით:

ა) თვითეულ რვაწლიან სკოლას, აგრეთვე საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითს პოლიტექნიკურ საწარმოო სწავლებიან სკოლას, რომელთაც აქვთ I—VIII კლასები, რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება მომსახურებისათვის გამოუყოფს გარკვეულ რაიონს, სადაც სკოლა ატარებს ღონისძიებებს საყოველთაო სავალდებულო სწავლებაში ყველა ბავშვის ჩასაბმელად;

ბ) მოსწავლეთათვის, რომლებიც სკოლიდან 3 კილომეტრზე მეტი დაშორებით ცხოვრობენ, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები აწყობენ მოსწავლეთა სახლებიდან სკოლაში და სკოლიდან სახლებში რეგულარულ გადაყვანას, ან სკოლასთან იქმნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერნატი, რომელიც მოქმედებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულებით;

ბ) სკოლებში ბავშვებისათვის ეწყობა ცხელი საუზმე: ქალაქებში საზოგადობერივი კვების ტრესტების მიერ, სოფელ ადგილებში — სამომხმარებლო კოოპერაციის მიერ მშობელთა კომიტეტების, აგრეთვე პროფკავშირების, კოლმეურნეობებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახმარებით;

დ) მშობელთა სურვილით სკოლაში იქმნება გახანგრძლივებული დღის ჯგუფები, პირველ რიგში იმ ბავშვებისათვის, რომელთა მშობლებიც მუშაობენ. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მოეწყოს გახანგრძლივებული დღის სკოლა. ასეთი ჯგუფებისა და სკოლების რიცხვი და მათში მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვრება გეგმით რაიონისათვის (ქალაქისათვის) დაწესებული მოსწავლეთა კონტინგენტის მიხედვით;

ე) ხელმოკლე მოსწავლეთათვის მატერიალური დახმარების (უფასო კვება, უზრუნველყოფა ფეხსაცმლით, ტანსაცმლით, სახელმძღვანელოებითა და ა. შ.) მიზნით, რვაწლიან, აგრეთვე საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საწარმოო სწავლებიან სკოლებთან, სადაც I—VIII კლასებია, იქმნება საყოველთაო სავალდებულო სწავლების ფონდი სათანადო დებულების შესაბამისად.

6. მშობლები ან მათი შემცვლელი პირები პასუხისმგებლები არიან სკოლაში ბავშვების დროულად შეყვანისა და მათი სკოლაში მეცადინეობაზე დასწრებისათვის კურსის დამთავრებამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი პასუხს აგებენ ადმინისტრაციული წესით, საქართველოს სსრ, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებით და მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომების გადაწყვეტილებების შესაბამისად.

7. სამრეწველო საწარმოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები ან დაწესებულებები, რომლებიც შეფობას უწევენ სკოლას, ეხმარებიან მათ საჭირო მოწყობილობების შეძენაში, აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციასა და მოსწავლეთა შრომითს მომზადებაში.

III. სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა

8. რვაწლიან სკოლაში სწავლება და აღზრდა ხორციელდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული

სასწავლო გეგმებითა და პროგარმებით. ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროებსა და ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებას უფლება აქვთ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით, ადგილობრივი პირობების შესაბამისად შეიტანონ საჭირო ცვლილებები რვაწლიანი სკოლის სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში თვითეული კლასისათვის დადგენილი სასწავლო დროის ფარგლებში.

შენიშვნა: აფხაზური და ოსური ენებისა და ლიტერატურის პროგრამებს შესაბამისად ამტკიცებენ აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრო და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით.

9. დაწყებითსა და რვაწლიან სკოლაში მეცადინეობა იწყება 1 სექტემბერს და მთავრდება I—IV კლასებში—31 მაისს, V—VII კლასებში — 19 ივნისს და VIII კლასებში — 25 ივნისს (გამოცდების ჩათვლით).

საშემოდგომო არდადეგები სკოლებში წესდება 5 ნოემბრიდან 9 ნოემბრამდე (ჩათვლით), ზამთრის — 30 დეკემბრიდან 10 იანვრამდე (ჩათვლით) და საგაზაფხულო 24 მარტიდან 31 მარტამდე (ჩათვლით). საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების საბჭოების აღმასკომებს უფლება ეძლევათ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით, შეცვალონ რვაწლიან სკოლაში საგაზაფხულო არდადეგების ვადები ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, მაგრამ ისე, რომ არ დაირღვეს საგაზაფხულო არდადეგების საერთო ხანგრძლიობა.

სასწავლო წელი იყოფა მეოთხედებად: I მეოთხედი — 1-ლი სექტემბრიდან 4 ნოემბრამდე, II მეოთხედი — 10 ნოემბრიდან 29 დეკემბრამდე, III მეოთხედი — 11 იანვრიდან 23 მარტამდე, IV მეოთხედი — პირველი აპრილიდან სასწავლო წლის დამთავრებამდე.

10. გაკვეთილის ხანგრძლიობა I—VIII კლასებში 45 წუთია. თუ სკოლას აქვს სათანადო პირობები, პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით, გაკვეთილის ხანგრძლიობა I კლასში შეიძლება 35 წუთით განისაზღვროს.

გაკვეთილებს შორის წესდება 10-წუთიანი შესვენებები, გარდა დიდი დასვენებისა მეორე ან მესამე გაკვეთილის შემდეგ, რომლის

ხანგრძლიობა უნდა იყოს არანაკლებ 30 წუთისა. ადგილობრივი პირობების მიხედვით ერთი დიდი დასვენების ნაცვლად, შეიძლება იყოს ორი: ერთი — მეორე გაკვეთილის შემდეგ და მეორე — მესამე გაკვეთილის შემდეგ, თვითეული 20 წუთის ხანგრძლიობით.

11. სკოლაში სწავლება ხორციელდება მოსწავლეთა მშობლიურ ენაზე.

მშობლებს უფლება აქვთ გადაწყვიტონ, რა ენაზე სწავლების სკოლაში მიაბარონ თავიანთი შვილები. რუსული ენის სწავლა იმ სკოლებში, სადაც სწავლება ქართულ ან სხვა ენაზეა, აგრეთვე ქართული ენის სწავლა იმ სკოლებში, სადაც სწავლება რუსულ ან სხვა ენაზეა, წარმოებს მოსწავლეთა მშობლების სურვილის მიხედვით.

12. მეცნიერებათა საფუძვლების შესწავლა, პოლიტექნიკური და შრომითი სწავლება რვაწლიან სკოლაში წარმოებს ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირის საფუძველზე, მოსწავლეთა ასაკისათვის შესაფერისი სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ სასარგებლო შრომა-საქმიანობაში მონაწილეობის გზით.

13. სკოლაში სასწავლო მუშაობის ორგანიზაციის ძირითად ფორმას წარმოადგენს გაკვეთილი, რომელიც მასწავლებლის ხელმძღვანელობით ტარდება გარკვეულ კლასსა და მასში მოსწავლეთა მუდმივ შემადგენლობასთან. საკლასო გაკვეთილების გარდა ეწყობა ექსკურსიები, მეცადინეობანი სახელოსნოებსა და სკოლის სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე. სწავლების პროცესში სასწავლო დავალებათა შესასრულებლად დასაშვებია მოსწავლეთა ორგანიზაციის ისეთი ფორმები, როგორიცაა ბრიგადები, ჯგუფები და ინდივიდუალური მუშაობა მოსწავლეებთან.

სკოლების სასწავლო მუშაობაში შემოქმედებითად უნდა იქნეს გამოყენებული სწავლების სხვადასხვა მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მიერ ცოდნის შეგნებულად და მტკიცედ შეთვისებას, აღძრავენ მათში აქტივობას და ხელს შეუწყობენ დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევებისა და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის გამომუშავებას.

მოსწავლეთა ცოდნა ფასდება ხუთბალიანი ციფრობრივი სისტემის მიხედვით: 5 (ფრიადი), 4 (კარგი), 3 (დამაკმაყოფილებელი), 2 (ცუდი), 1 (ძლიერ ცუდი).

14 მოსწავლეთა აღზრდა ხორციელდება მასწავლებლებისა და კლასის ხელმძღვანელების მიერ სწავლებისა და შრომითი საქმიანობის პროცესში, კლასგარეშე ღონისძიებათა გატარების გზით, აგრე-

თვე პიონერული და მოსწავლეთა ორგანიზაციების საშუალებით. მოსწავლეებს უვითარდებათ სიყვარული ცოდნისა და შრომისადმი, პატივისცემა მშრომელებისადმი; მათში ყალიბდება კომუნისტური მსოფლმხედველობა; მოსწავლენი იზრდებიან სიმართლისა და პატიოსნების სულისკვეთებითა და მისწრაფებით, რომ ყოველთვის მზად იყვნენ დაეხმარონ ამხანაგებს, ბავშვებს, ავადმყოფებს, მოხუცებს; ისინი იზრდებიან კოლექტივიზმის, კომუნისტური მორალის, სამშობლოსა და ხალხისადმი უსაზღვრო ერთგულებისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდა ხორციელდება ლიტერატურის, სიმღერის, ხატვისა და სხვა სასწავლო საგნების გაკვეთილებზე, აგრეთვე შინაარსითა და ფორმით მრავალფეროვანი კლასგარეშე მუშაობის გზით (გუნდი, წრეები, საუბრები, ექსკურსიები მუზეუმებში, კოლექტიური ნახვა სპექტაკლებისა, გამოფენებისა, კინოფილმებისა და სხვა), რაც მიმართული უნდა იყოს ბავშვებში კარგი მხატვრული გემოვნების, მშვენიერების გრძნობის განვითარებისა და ქცევის კულტურის აღზრდისაკენ.

მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა ხორციელდება ფიზიკური კულტურის გაკვეთილებზე, აგრეთვე კლასგარეშე სპორტულ-ფიზკულტურული მუშაობისას, მოსწავლეთა შრომისა და დასვენების სწორი ორგანიზაციის გზით.

15. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის პროცესში სკოლა აცნობს მოსწავლეებს ჩვენში დამკვიდრებული შრომის სხვადასხვა სახეს, ეხმარება მათ საკუთარი მიდრეკილებების გამოვლინებასა და მომავალი პროფესიის შეგნებულად არჩევაში.

16. მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანა წარმოებს ცოდნის წლიური შეფასების საფუძველზე. მოსწავლეებისათვის, რომლებიც ვერ ასწრებენ ერთ ან ორ საგანში, პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით სასწავლო წლის დამთავრებისთანავე შეიძლება მოეწყოს დამატებითი მეცადინეობა ორი კვირის განმავლობაში, რის შემდეგ წყდება საკითხი შემდგომ კლასში მათი გადაყვანის შესაძლებლობის შესახებ ან ამ მოსწავლეებს ეძლევათ საზაფხულო სასწავლო დავალება და მათი შემდგომ კლასში გადაყვანის საკითხი წყდება სასწავლო წლის დაწყების წინ მიცემულ საზაფხულო დავალებათა შესრულების შედეგების მიხედვით.

გამოცდები და მოსწავლეთა გამოშვება VIII კლასიდან წარმოებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსტრუქციის შესაბამისად.

VIII კლასის ყოველი მოსწავლე სასწავლო წლის ბოლოს ადგენს ჩასათვლელ სამუშაოს, რომელიც მან მასწავლებლის დავალებით ხელოსნობაში შეასრულა.

17. რვაწლიანი სკოლის კურსდამთავრებულნი ღებულობენ დადგენილი ნიმუშის მოწმობას.

IV. პედაგოგიური პერსონალი და სკოლის სხვა მუშაკები

18. რვაწლიანი სკოლის მუშაკთა შტატი (ადმინისტრაციული, პედაგოგიური, სასწავლო-დამხმარე და მომსახურე პერსონალი) განისაზღვრება დადგენილი საშტატო განრიგით.

19. რვაწლიანი სკოლის სათავეში დგას სკოლის დირექტორი, რომელიც პასუხისმგებელია სკოლის მდგომარეობისა და მუშაობისათვის.

რვაწლიანი სკოლის დირექტორს ნიშნავენ საქართველოს სსრ, ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროები და ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილება რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილების წარდგენით იმ საუკეთესო მასწავლებელთაგან, რომელთაც აქვთ ორგანიზატორული მუშაობის უნარი, უმაღლესი პედაგოგიური განათლება და პედაგოგიური მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ 3 წლისა.

დაწყებითს სკოლას სათავეში უდგას გამგე, რომელსაც ნიშნავს რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილება იმ პირთაგან, რომელთაც, როგორც მინიმუმი, აქვთ საშუალო პედაგოგიური განათლება. დაწყებითი სკოლის გამგე პასუხისმგებელია მისდამი რწმუნებული სკოლის მდგომარეობისა და მუშაობისათვის.

სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს მასწავლებელთა კადრების სწორად განაწილებას; ზომებს იღებს სკოლის მუშაობისათვის საჭირო მატერიალური პირობების შესაქმნელად; ხელმძღვანელობს მასწავლებელთა კოლექტივს, მისი კვალიფიკაციის ამაღლებას; აკომპლექტებს სკოლას მოსწავლეებით და წარმართავს მოსწავლეთა კოლექტივისა და მოსწავლეთა ორგანიზაციების საქმიანობას, ყოველნაირად ხელს უწყობს მათი ინიციატივისა და შემოქმედების განვითარებას; პასუხს აგებს სკოლის რაიონში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების განხორციელებისათვის, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესრულებისათვის, სკოლის აღმზრდელობითი მუშაობისა და მოსწავლეთა შრომითი მომზადებისათვის, სანიტარული რეჟიმის დაცვისათვის, შრომის დაცვისა და უსაშიშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობის ტექნიკის წესების განხორციელებისათვის; ღებულობს ზომოქმედებითს ზომებს შრომის დისციპლინის დამრღვევთა მიმართ; სკოლის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად წარადგენს მუშაკებს წასახალისებლად.

დირექტორი სკოლას ხელმძღვანელობს კოლეგიალობასთან ერთმმართველობის შეხამების საფუძველზე, ემყარება პედაგოგიურ საბჭოს, პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს, ფართოდ აბამს სკოლის საქმიანობაში მოსწავლეთა მშობლებს, შეუ საწარმოებსა და დაწესებულებებს.

20. სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს ნიშნავენ საქართველოს სსრ, ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროები და ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილება რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილების წარდგენით უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ პედაგოგიური მუშაობის სტაჟი არანაკლები 3 წლისა და თავი გამოიჩინეს, როგორც კარგმა ორგანიზატორებმა და მეთოდისტებმა.

სასწავლო ნაწილის გამგე პასუხს აგებს სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი და მეთოდური მუშაობის ორგანიზაციისა და დაყენებისათვის, მასწავლებელთა და კლასის ხელმძღვანელთა მუშაობისათვის.

21. სკოლის სასწავლო სახელოსნოს ოსტატს (სასკოლათაშორისო სასწავლო სახელოსნოს გამგეს) ნიშნავს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ სპეციალური განათლება. იგი იღებს ზომებს სასწავლო-სახელოსნოს მოსამარაგებლად მოწყობილობებით და მასალებით, უზრუნველყოფს სახელოსნოში მუშაობის სწორად დაყენებას, პასუხს აგებს შრომის დაცვის, უსაშიშრობის ტექნიკის წესების განხორციელებისა და მისთვის მინდობილ მატერიალურ ფასეულობათა დაცვისათვის.

22. ბიოლოგიის მასწავლებელი, რომელსაც სკოლის დირექტორი აკისრებს სასწავლო-საცდელი ნაკვეთის ხელმძღვანელობას, სასწავლო პროგრამების შესაბამისად ადგენს ყველა კლასისათვის ნაკვეთზე პრაქტიკული მუშაობის გეგმას, უზრუნველყოფს მის შესრულებას, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩასატარებელი ცდების განხორციელებას და იბრძვის იმისათვის, რომ სასწავლო-საცდელი ნაკვეთი წარმოადგენდეს აგრონომიული კულტურის ნიმუშს ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

23. სკოლის დირექტორის თანაშემწეს სამეურნეო ნაწილში (ან სამნეო ნაწილის გამგეს) ნიშნავს სკოლის დირექტორი და იგი პა-

სუხს აგებს სკოლის მეურნეობის მდგომარეობისათვის, სასწავლ-ხელსაწყოებით სკოლის უზრუნველყოფის, სკოლის ქონების დაცვის, შენობის ნორმალური ექსპლუატაციისა და მისი სათანადო სანიტარული და ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობისათვის.

24. რვაწლიანი სკოლის I—IV კლასების მასწავლებლებს ნიშნავს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება, ხოლო V—VIII კლასებისას—თბილისში—ქალაქ თბილისის განათლების განყოფილება, დანარჩენ ადგილებში კი საქართველოს სსრ, ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროები და ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილება რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების წარდგენით.

რვაწლიანი სკოლის I—IV კლასების მასწავლებლად ინიშნებიან ის პირები, რომელთაც აქვთ როგორც მინიმუმი, საშუალო პედაგოგიური განათლება, V—VIII კლასების მასწავლებლებად კი — უმაღლესი განათლების მქონე პირები.

მასწავლებლები პასუხს აგებენ სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესრულებისათვის. სწავლების ყველაზე რაციონალური და მოსწავლეთა ასაკისათვის შესაფერისი მეთოდების გამოყენებისათვის, მოსწავლეთა ცოდნა-ჩვევების დონისა და მათი სწორად შეფასებისათვის, მოსწავლეთა შემდგომ კლასში გადაყვანისა და სკოლიდან გამოშვებისათვის, მათი აღზრდისათვის საბჭოთა სკოლის მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებლები ვალდებული არიან ბავშვებისადმი პატივისცემა და ყურადღება შეუხამონ მათდამი გონივრულ მომთხოვნელობას ბავშვთა ფსიქოლოგიის და ასაკობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით.

მასწავლებლები განუწყვეტლივ უნდა იმაღლებდნენ თავიანთ იდეურ-პოლიტიკურ დონეს, თეორიულ და პროფესიულ მომზადებას.

25. მოსწავლეთა შრომითს სწავლებას სასწავლო სახელოსნოებში ახორციელებენ შრომითი სწავლების მასწავლებლები, რომელთაც ნიშნავს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება სპეციალური პროფესიული მომზადების მქონე პირთაგან.

შრომითი სწავლების მასწავლებლები ვალდებული არიან უზრუნველყონ შრომის პროგრამების შესრულება, სკოლის სასწავლო სახელოსნოებში უსაშიშრობის ტექნიკისა და საწარმოო სანიტარული წესების დაცვა; ისინი პასუხისმგებელი არიან მოსწავლეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის სასწავლო სახელოსნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში მეცადინეობის პროცესში და საწარმოო ექსკურსიებისა და სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის ჩატარებისას.

26. კლასის ხელმძღვანელებს ნიშნავს სკოლის დირექტორი ამ კლასის მასწავლებელთაგან. კლასის ხელმძღვანელები თავიანთი კლასის მოსწავლეებთან ატარებენ ყოველდღიურ აღმზრდელობითს მუშაობას, თვალყურს ადევნებენ მათ ყოფაქცევასა და წარმატებას, ღებულობენ ზომებს, რომ მათ განუხრელად შეასრულონ მოსწავლეთა ქცევის წესები. კლასის ხელმძღვანელი ამავე კლასის სხვა მასწავლებლებთან ერთად აყალიბებს ერთსულოვან, დისციპლინიან, შრომისუნარიან მოსწავლეთა კოლექტივს; დახმარებას უწევს თავისი კლასის პიონერულ რაზმს, აწყობს კლასგარეშე აღმზრდელობითს მუშაობას ბავშვებთან; მჭიდრო კავშირს ამყარებს მშობლებთან და აბამს მათს აღმზრდელობით ღონისძიებათა განხორციელებაში; უწევს პედაგოგიურ ხელმძღვანელობას მოსწავლეთა სოციალისტურ შეჯიბრებას თვითმომსახურებაში, საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმეებსა და სპორტულ მუშაობაში.

27. გახანგრძლივებული დღის ჯგუფებსა და სკოლებში წესდება პედაგოგ-აღმზრდელის თანამდებობა არასასწავლო დროს აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციისათვის ბავშვებთან. პედაგოგ-აღმზრდელი, რომელსაც ნიშნავს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება, აწყობს ბავშვთა კლასგარეშე მუშაობას, მათ დასვენებას და საშინაო დავალების მომზადებას.

28. უფროს პიონერხელმძღვანელს ნიშნავს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება საქართველოს ალკკ რაიონულ (საქალაქო) კომიტეტთან შეთანხმებით იმ კომკავშირელ ან კომუნისტთა რიცხვიდან, რომლებიც არიან არანაკლებ 18 წლისა, აქვთ საშუალო ან უმაღლესი პედაგოგიური განათლება და მოწოდება ბავშვებთან მუშაობისა.

უფროსი პიონერხელმძღვანელი მუშაობს ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის რაზმეულის უფროსი პიონერხელმძღვანელის შესახებ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ დამტკიცებული დებულებით.

29. სკოლის დირექტორი სასწავლო კაბინეტების გამგეობას აკისრებს შესაბამისი სპეციალობის მასწავლებლებს.

სასწავლო კაბინეტების გამგეები ხარჯთაღრიცხვით გამოყოფილ ასიგნობათა საფუძველზე უზრუნველყოფენ კაბინეტებს სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული ლაბორატორიული და პრაქტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კული სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო მოწყობილობებზე და პასუხს აგებენ მათთვის მინდობილ ფასეულობათა დაცვისათვის.

30. სკოლის ბიბლიოთეკარს ნიშნავს სკოლის დირექტორი იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ შესაფერისი მომზადება.

ბიბლიოთეკარი აწყობს სკოლის ბიბლიოთეკის რეგულარულ მუშაობას და მასწავლებლებთან ერთად ეხმარება მოსწავლეებს კლასგარეშე კითხვისათვის წიგნების შერჩევაში, ასწავლის მათ წიგნით სარგებლობას, აწყობს წაკითხული წიგნების განხილვას; უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის შევსებას წიგნებით და პასუხს აგებს წიგნის ფონდის დაცვისათვის.

31. სკოლების სამედიცინო მომსახურებას ახორციელებს რაიონის (ქალაქის) ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება.

სამედიცინო პერსონალი, რომელიც ემსახურება სკოლას, ატარებს ისეთ სანიტარულ-ჰიგიენურ და სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვას, ფიზიკურ განვითარებას, მათს წარმატებითს სწავლას და აღზრდას, თავიანთ მუშაობაში ისინი ხელმძღვანელობენ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროთა მითითებებით.

32. სკოლის პედაგოგიური კოლექტივი სისტემატურად ეწევა პედაგოგიურ პროპაგანდას და მონაწილეობს მოსახლეობაში პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გავრცელების საქმეში.

V. პედაგოგიური საბჭო

33. მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის ძირითადი საკითხების განსახილველად და გადასაწყვეტად სკოლაში იქმნება პედაგოგიური საბჭო.

პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობაში შედიან: სკოლის დირექტორი (თავმჯდომარე), სასწავლო ნაწილის გამგე, ზოგადსაგანმანათლებლო საგნებისა და შრომითი სწავლების მასწავლებლები, ბიბლიოთეკარი, უფროსი პიონერხელმძღვანელი, სკოლის ექიმი, მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე; შეფი საწარმოების ან დაწესებულებების წარმომადგენელი.

პედაგოგიური საბჭო განიხილავს ცხოვრებასთან სკოლის კავშირის, მოსწავლეთა ზოგადი და პოლიტექნიკური განათლებისა და შრომითი სწავლების, სწავლა-აღზრდის მეთოდების სრულყოფის, საუკეთესო მასწავლებელთა და სხვა სკოლების გამოცდილების გაზიარების საკითხებს; ამტკიცებს სკოლის მუშაობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეგმებს, სკოლის დირექტორის ან სასწავლო ნაწილის გამგის ანგარიშებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შედეგების შესახებ; წყვეტს მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანისა და სკოლიდან გამოშვების საკითხებს, ისმენს მასწავლებლების, კლასის ხელმძღვანელების, პიონერხელმძღვანელების, სკოლის ექიმისა და სხვა მუშაკების ანგარიშებს.

პედაგოგიური საბჭო მუშაობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

VI. მშობელთა კომიტეტი

34. მოსწავლეთა მშობლებთან სკოლის მუდმივი და მჭიდრო კავშირის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლაში იქმნება მშობელთა კომიტეტი, რომელსაც ირჩევს მშობელთა საერთო კრება. მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე აირჩევა მის წევრთა შემადგენლობიდან.

მშობელთა კომიტეტი რაზმავს მოსწავლეთა მშობლებს სკოლის ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის, ეხმარება სკოლას სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის, საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელების, მოსწავლეთა თვითმომსახურების, მათი საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისა და კლასგარეშე მუშაობის ორგანიზაციაში, ბავშვთა შორის გამაჯანსაღებელი მუშაობის ჩატარებაში, მოსახლეობაში პედაგოგიური პროპაგანდის ჩატარებისა და სკოლის სამეურნეო და სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა განხორციელებაში.

მშობლების მონაწილეობა სკოლის მუშაობაში განისაზღვრება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულებით მშობელთა კომიტეტის მუშაობის შესახებ.

VII. მოსწავლეები

35. რვაწლიანი სკოლის პირველ კლასში მიიღებიან სკოლის რაიონში მცხოვრები ბავშვები, რომელთაც სკოლაში შესვლის მომენტისათვის (1 სექტემბრისათვის) **შეუსრულდათ 7 წელი.**

36. დირექტორი სკოლაში მოსწავლეთა მიღებას აწარმოებს პირველ ივნისიდან 25 აგვისტომდე.

მშობლებს ან მათ შემცვლელ პირებს ბავშვის პირველ კლასში მიღებისას მოეთხოვებათ: განცხადება სკოლაში მიღების შესახებ, ბავშვის ასაკის დამადასტურებელი საბუთი, დადგენილი ნიმუშის ცნობა ჯანმრთელობის შესახებ. დანარჩენ კლასებში მიღებისას კი, გარდა ამისა, ცნობა იმ სკოლიდან, სადაც ბავშვი ადრე სწავლობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეთა მიღება სკოლის ყველა კლასში წარმოებს ფაქიზულ-
დოდ.

37. მოსწავლენი ვალდებული არიან შეასრულონ მოსწავლეთათ-
ვის დადგენილი წესები, იყვნენ დისციპლინიანი, მტკიცედ დაიცვან
ქცევის ნორმები სკოლაში, ოჯახში, ქუჩასა და საზოგადოებრივ
ადგილებში.

სკოლაში გამოიყენება წახალისებისა და დასჯის ზომები, რაც
გათვალისწინებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
სათანადო წესებითა და ინსტრუქციებით.

განსაკუთრებული დანაშაულის ჩადენისათვის (ხულიგნური გა-
მოვლინება, პედაგოგიური პერსონალის შეურაცხყოფა, სკოლის
ადმინისტრაციისა და მასწავლებლების მითითებებისა და განკარგუ-
ლებებისადმი ჯიუტი დაუმორჩილებლობა) პედაგოგიური საბჭოს
დადგენილებით მოსწავლე შეიძლება გაირიცხოს სკოლიდან.

პედაგოგიური საბჭოს დადგენილება მოსწავლის სკოლიდან გა-
რიცხვის შესახებ უნდა დაამტკიცოს რაიონის (ქალაქის) განათლების
განყოფილებამ, რომელმაც, მშობლებთან ერთად, უნდა მიიღონ ზო-
მები ან მოსწავლის მიერ სწავლის შემდგომი გაგრძელებისათვის
ან შრომითი მოწყობისათვის.

38. რვაწლიანი სკოლის მოსწავლეები შეადგენენ ერთიან კოლექ-
ტივს, რომელიც აქტიურად მონაწილეობს სკოლის ცხოვრებაში.

მოსწავლეებში თავიანთი მოვალეობისადმი შეგნებული დამოკი-
დებულების აღზრდის, მათში კულტურული ქცევის ჩვევის გამომუ-
შავების, სასკოლო დისციპლინის განმტკიცების, მოსწავლეთა ინი-
ციატივისა და თვითმოქმედების განვითარების, საზოგადოებრივ სა-
სარგებლო საქმეებისა და სპორტულ მუშაობაში სოციალისტური
შეჯიბრების ორგანიზაციის საქმეში, დირექტორის, სკოლის პედაგო-
გიური კოლექტივისა და პიონერული რაზმეულის საბჭოსათვის
დახმარების აღმოჩენის მიზნით, 8-წლიან სკოლაში შეიძლება შეიქმ-
ნას მოსწავლეთა კომიტეტი.

მოსწავლეთა კომიტეტი მუშაობს საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

39. რვაწლიანი სკოლაში იქმნება პიონერული ორგანიზაცია, ხო-
ლო თუ მოსწავლეთა შორის არიან ალკკ წევრები, სკოლაში იქმნება
საკავშირო ალკკ პირველადი ორგანიზაცია.

სასკოლო პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი
ყოველმხრივი დახმარება, მიმართული პიონერებისა და კომკავშირე-
ლების ინიციატივისა და თვითმოქმედების განვითარებისაკენ, წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოადგენს სკოლის პედაგოგიური კოლექტივის ერთერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას.

40. რვაწლიანი სკოლის მოსწავლეთა კოლექტივი მონაწილეობს საზოგადოებრივ-სასარგებლო, კულტურულ-მასობრივ, ფიზკულტურულ-სპორტულ და წრეობრივ მუშაობაში, აგრეთვე ყველა იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კამპანიაში, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ტარდება.

საზოგადოებრივ-სასარგებლო და მოსწავლეთათვის მისაწვდომი შრომის ერთერთ მნიშვნელოვან სახეობას წარმოადგენს თვითმომსახურება, რომელიც მიზნად ისახავს ჩაუნერგოს ბავშვებს ყველაზე მეტად გავრცელებული შრომითი ჩვევები, რაც აუცილებელია ცხოვრებისათვის. თვითმომსახურება ტარდება მასწავლებლების ხელმძღვანელობით და მშობელთა კომიტეტის მონაწილეობით, მაგრამ ისე, რომ დაცულ იქნეს სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნები და უსაშიშრობის აუცილებელი ზომები, არ შეფერხდეს სასწავლო მუშაობა, მოსწავლეთა ჯანმრთელობა და თავიდან იქნეს აცილებული მათი გადატვირთვა.

VIII. სკოლის სასწავლო-მატერიალური ბაზა

41. მოსწავლეთა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და შრომითი საქმიანობის ორგანიზაციისათვის ყველა რვაწლიან სკოლას, გარდა სასწავლო მეცადინეობისათვის შესაფერისი შენობისა, უნდა ქონდეს ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის სასწავლო კაბინეტები, სასწავლო სახელოსნოები ხესა და ლითონზე მუშაობისათვის, მეოჯახეობაში სამეცადინო სათავსო და მოწყობილობანი, სასწავლო-საცდელი ნაკვეთი, ფიზკულტურული დარბაზი და სპორტული მოედანი, ბიბლიოთეკა, პიონერთა ოთახი, სასადილო ან ბუფეტი და სხვა სათავსოები და სასწავლო მოწყობილობანი დადგენილი წესით დამტკიცებული ნორმატივების შესაბამისად.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული (ქალაქების) საბჭოს აღმასკომების გადაწყვეტილებებით შეიძლება შეიქმნას სასკოლათაშორისო სასწავლო სახელოსნოები და სასწავლო-საცდელი ნაკვეთები. V—VIII კლასების მოსწავლეთა შრომითი საქმიანობა შეიძლება სრულდებოდეს ახლომდებარე სამრეწველო საწარმოებში, სარემონტო-ტექნიკურ სადგურებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IX. დაფინანსება და ანგარიშგება

42. რვაწლიანი სკოლის დაფინანსება წარმოებს რაიონის (ქალაქის) სასოფლო (სადაბო) ბიუჯეტის სახსრებით დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

43. რვაწლიანი სკოლა დადგენილი ფორმით აწარმოებს საქმეებს, არქივს, ფინანსურ და სტატისტიკურ ანგარიშგებას და მუშაობის ანგარიშს უდგენს რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილებას.

44. რვაწლიანი სკოლა სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით და აქვს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ნიმუშის ბეჭედი.

* * *

45. დაწყებითი სკოლა მოქმედებს ამ დებულების შესატყვისი პუნქტების საფუძველზე.

დებულება

I. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოო სწავლებიანი სკოლის შესახებ

1. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოო სწავლებიანი სკოლის მიზანია მოამზადოს კომუნიზმის იდეების სულისკვეთებით აღზრდილი, ყოველმხრივ განვითარებული ადამიანები, რომელთაც კარგად ეცოდინებათ მეცნიერებათა საფუძვლები და სისტემატური ფიზიკური შრომის უნარი ექნებათ.

საზოგადოებრივ სასარგებლო მწარმოებლურ შრომასთან სწავლების შეერთების საფუძველზე საშუალო და ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოო სწავლებიანი სკოლა იძლევა სრულ საშუალო ზოგად და პოლიტექნიკურ განათლებას და პროფესიულ მომზადებას სახალხო მეურნეობის ან კულტურის ერთ რომელიმე დარგში სამუშაოდ.

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოო სწავლებიანი სკოლის დამთავრება ქალებსა და ვაჟებს საშუალებას აძლევს იმუშაონ არჩეული პროფესიის მიხედვით და აგრეთვე ანიჭებს უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის უფლებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. სკოლის ორგანიზაციის წესი და სტრუქტურა

2. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოო სწავლებიანი სკოლები იხსნება საქართველოს სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილების საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს წარდგენით აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილების საფუძველზე, გეგმით დადგენილი კონტინგენტის ფარგლებში.

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოო სწავლებიანი სკოლა შეიძლება გაიხსნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იგი უზრუნველყოფილია შესაფერისი სასკოლო შენობით, საწარმოო სწავლებისა და მოსწავლეთა მწარმოებლური შრომისათვის აუცილებელი საწარმოო ბაზით, სასწავლო და სამეურნეო მოწყობილობებით და არის შესაძლებლობა ახლად გახსნილი სკოლა დაკომპლექტებულ იქნეს უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებლებითა და ხელმძღვანელი კადრებით.

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოო სწავლებიანი სკოლა იმყოფება რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების გამგებლობაში.

3. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოო სწავლებიანი სკოლა შეიძლება გაიხსნას როგორც რვაწლიანი სკოლისაგან დამოუკიდებლად IX, X და XI კლასებით, ისე რვაწლიან სკოლასთან. საწარმოო სწავლებიან საშუალო სკოლას, რომელიც იხსნება რვაწლიანი სკოლისაგან დამოუკიდებლად, უნდა ჰქონდეს არანაკლები ცხრა კლასისა. სწავლების ვადა საწარმოო სწავლებიანი საშუალო სკოლის უფროს კლასებში სამი წელია.

4. საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს შეუძლიათ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითს პოლიტექნიკურ საწარმოო სწავლებიან სკოლებთან გახსნან დაუსწრებელი განყოფილებები მომუშავე ახალგაზრდებისათვის საშუალო განათლების მისაღებად, თუ მათი რაოდენობა 100-ზე ნაკლები არ იქნება.

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითს პოლიტექნიკურ საწარმოო სწავლებიან სკოლებთან არსებული დაუსწრებელი განყოფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებები მუშაობენ საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათ-
ლებლო სკოლების დებულების მე-6 პუნქტის შესაბამისად.

5. პროფესიების განსაზღვრა, რომელთა მიხედვით უნდა განხორ-
ციელდეს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითს პოლიტექნი-
კურ საწარმოო სწავლებიან სკოლებში მოსწავლეთა პროფესიული
მომზადება, წარმოებს საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბ-
ლიკების მინისტრთა საბჭოების, ავტონომიური ოლქის, რაიონისა
და ქალაქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომების მიერ
საწარმოო ბაზებისა და სახალხო მეურნეობისათვის საჭირო კადრე-
ბის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

პროფესიების განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღე-
ბული ქალაქისა და სოფლის სკოლების მუშაობისა და ქალთა შრო-
მის თავისებურებანი.

6. მოსწავლეთა რაოდენობა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო
შრომითი პოლიტექნიკური საწარმოო სწავლებიანი სკოლის ერთ
კლასში 35-ს არ უნდა აღემატებოდეს.

7. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითს პოლიტექნიკურ
საწარმოო სწავლებიან სკოლებთან ეწყობა I—VIII კლასების იმ
მოსწავლეთა რეგულარულად გადაყვანა სკოლიდან შინ და სახლი-
დან სკოლაში, რომლებიც სკოლიდან დაშორებით ცხოვრობენ, ან
იქმნება ინტერნატი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე. ინტერნატი სკო-
ლასთან შეიძლება შეიქმნას IX—XI კლასების მოსწავლეთათვისაც.

III. სკოლა და წარმოება

8. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნი-
კური საწარმოო სწავლებიანი სკოლების მოსწავლეთა პროფესიული
სწავლებისა და მწარმოებლური შრომისათვის საქართველოს სსრ და
ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილე-
ბებით და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს
აღმასკომის გადაწყვეტილებით თვითეული საშუალო სკოლა მიე-
მაგრება ერთ ან რამდენიმე უახლოეს სამრეწველო საწარმოს, სამ-
შენებლო ობიექტს, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურე-
ბის საწარმოს, საბჭოთა მეურნეობას, სარემონტო-ტექნიკურ სად-
გურს, კოლმეურნეობას და ა. შ.

საწარმოების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობების, სარე-
მონტო-ტექნიკური სადგურების ხელმძღვანელები პასუხისმგებელი

არიან მოსწავლეთა პროფესიული სწავლებისა და მწარმოებლური შრომის განსახორციელებლად საჭირო პირობების შექმნისათვის და ვალდებული არიან:

შექმნან საწარმოში პროფესიული მომზადებისათვის სასწავლო საამქროები ან გამოყონ მუდმივი სამუშაო ადგილები საერთო საამქროებში;

დაამუშაონ სკოლის დირექტორთან ერთად მოსწავლეთა პროფესიული მომზადების გეგმები და პროგრამები;

გამოყონ ინჟინერ-ტექნიკური, აგრონომიული პერსონალი და კვალიფიციური მუშები, აგრეთვე საჭირო მასალები და ინსტრუმენტები მოსწავლეთა საწარმოო სწავლებისათვის;

პირველდაწყებითი პროფესიული მომზადებისა და სათანადო კვალიფიკაციის მიღების შემდეგ მოსწავლეებს მისცენ საშუალება იმუშაონ წარმოებაში და სრულყონ თავიანთი კვალიფიკაცია;

უზრუნველყონ შრომის დაცვისა და უსაშიშრობის ტექნიკის წესების განხორციელება.

მოსწავლეთა საწარმოო სწავლება კოლმეურნეობებში წარმოებს მოსწავლეთა ბრიგადებში. სასწავლო-საცდელ მეურნეობებსა და საკოლმეურნეო ბრიგადებში. კოლმეურნეობებს რჩევა ეძლევათ შექმნან საწარმოო სწავლებისათვის საჭირო პირობები, გამოყონ აგრონომთა და ტექნიკოსთა პერსონალი.

ინჟინერ-ტექნიკოსები, აგრონომთა პერსონალი და საწარმოთა, მშენებლობათა, საბჭოთა მეურნეობათა, სარემონტო-ტექნიკურ სადგურთა და კოლმეურნეობათა სხვა მუშაკები გამოყენებულ უნდა იქნან სკოლაში საწარმოო-ტექნიკური ცოდნის ფართო პროპაგანდისათვის, წარმოების ნოვატორთა მიღწევების გაცნობისათვის.

სკოლები დახმარებას უწევენ საწარმოებს, მშენებლობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს მუშათა, კოლმეურნეთა და მოსამსახურეთა შორის მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გავრცელების საქმეში.

IV. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა

9. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითს პოლიტექნიკურ საწარმოო სწავლებიან სკოლაში სწავლება და აღზრდა ხორციელდება საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით. ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროებს და ავ-

ტონომიური ოლქის განათლების განყოფილებას უფლება ეძლევათ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით, ცვლილებანი შეიტანონ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რომლებიც გამოწვეულია ადგილობრივი პირობებით ისე, რომ არ დაირღვეს თვითეული კლასისთვის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათების რაოდენობა.

შენიშვნა: აფხაზური და ოსური ენებისა და ლიტერატურის პროგრამებს შესაბამისად ამტკიცებენ აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრო და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილება.

10. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითს პოლიტექნიკურ საწარმოო სწავლებიან სკოლებში სასწავლო მეცადინეობა იწყება 1-ლ სექტემბერს და მთავრდება 25 ივნისს (გამოსაშვებ კლასებში გამოცდების ჩათვლით). საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასკომს უფლება ეძლევათ შეცვალონ სასწავლო მეცადინეობის დაწყებისა და დამთავრების ვადები საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითს პოლიტექნიკურ საწარმოო სწავლებიან სოფლის სკოლებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სეზონურობის გათვალისწინებით, მხოლოდ ისე, რომ არ შემცირდეს სასწავლო წლის საერთო ხანგრძლიობა.

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითს პოლიტექნიკურ საწარმოო სწავლებიან სკოლებში სასწავლო წელი (IX—XI კლასებისათვის) იყოფა მეოთხედებად: I მეოთხედი—1 სექტემბრიდან 4 ნოემბრამდე, II მეოთხედი—10 ნოემბრიდან 30 დეკემბრამდე, III მეოთხედი — 11 იანვრიდან 24 მარტამდე, IV მეოთხედი—1 აპრილიდან სასწავლო წლის დამთავრებამდე.

სასწავლო წლის მანძილზე ეწყობა მოსწავლეთა არდადეგები: საშემოდგომო—5-დან 9 ნოემბრამდე (ჩათვლით), ზამთრის—30 დეკემბრიდან 10 იანვრამდე (ჩათვლით), საგაზაფხულო—24-დან 31 მარტამდე (ჩათვლით). საგაზაფხულო არდადეგები, საერთო ხანგრძლიობის შენარჩუნებითა და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, შეიძლება გადატანილ იქნეს სხვა ვადებში მშრომელთა დეპუტატების რაიონის (ქალაქის) საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით.

გაკვეთილების ხანგრძლიობა IX, X და XI კლასებში 45 წუთია. გაკვეთილებს შორის შესვენებისათვის წესდება 10 წუთი, გარდა

დიდი დასვენებისა, რომელიც შეიძლება მოეწყოს მეორე ან მესამე გაკვეთილის შემდეგ და მისი ხანგრძლიობა 30 წუთი უნდა იყოს.

11. ცხოვრებისა და საზოგადოებრივად სასარგებლო მწარმოებლური შრომისათვის მოსწავლეთა მომზადების მიზნით, სასწავლო წლის მანძილზე IX, X და XI კლასებში სასწავლო დროის ორი მესამედი ეთმობა ზოგადსაგანმანათლებლო და პოლიტექნიკური საგნების შესწავლას და ერთი მესამედი — საწარმოო სწავლებასა და მოსწავლეთა მწარმოებლურ შრომას. ამასთან IX კლასების მოსწავლეებს, როგორც წესი, უმეტეს სპეციალობებში ეძლევათ დაწყებითი პროფესიული მომზადება, რათა X და XI კლასებში მათ შეძლონ საზოგადოებრივად სასარგებლო მწარმოებლურ შრომაში მონაწილეობა და პროფესიული მომზადების კიდევ უფრო სრულყოფა.

12. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითს პოლიტექნიკურ საწარმოო სწავლებიან სკოლებში ზოგადსაგანმანათლებლო და პოლიტექნიკური საგნების შესწავლა უნდა ხორციელდებოდეს ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირის საფუძველზე და ეს საგნები მოსწავლეებს უნდა აძლევდეს მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცე ცოდნას, ფართო ზოგად პოლიტექნიკურ ჰორიზონტს, ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა მეცნიერულ გაგებას და შეთვისებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს.

ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, მათემატიკისა და ხაზვის სწავლება ისე უნდა იქნეს დაყენებული, რომ იგი ეხმარებოდეს მოსწავლეებს ტექნიკისა და წარმოების ტექნოლოგიის საბუნებისმეტყველო-მეცნიერული საფუძვლების გაგებაში, მათ შორის იმ წარმოებისა, სადაც ისინი მუშაობენ.

სკოლების პედაგოგიურ საბჭოებს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნებართვით, შეუძლიათ შესწორებანი შეიტანონ სასწავლო საგნების პროგრამებში, რაც აუცილებელია მოცემული წარმოების გაგებისათვის, მაგრამ ისე, რომ შენარჩუნებულ იქნეს ცოდნის საერთო დონე, რასაც საშუალო სკოლის პროგრამა ითვალისწინებს.

13. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითს პოლიტექნიკურ საწარმოო სწავლებიან სკოლაში მოსწავლეთა პროფესიული მომზადება ხორციელდება თეორიული და პრაქტიკული საწარმოო სწავლებით, რომლის მიზანია მოსწავლეთა მიერ მტკიცე ცოდნისა და ჩვევების დაუფლება მათ მიერ არჩეულ სპეციალობებში.

დაწყებითი პროფესიული მომზადების დამთავრების შემდეგ მოსწავლეებს დადგენილი წესით მიენიჭებათ კვალიფიკაცია, შესაბამისი სატარიფო თანრიგი ან კლასი, რის შემდეგ მოსწავლეები შეიძლება დაშვებულ იქნან დამოუკიდებელ სამუშაოზე მინიჭებული კვალიფიკაციის თანახმად. ამ მოსწავლეთა ხელფასი ან შრომადღეები დაიანგარიშება დაწესებული განაკვეთებისა და ნორმების მიხედვით გამომუშავებული პროდუქციის შესაბამისად. პროფესიული მომზადების შემდგომი სრულყოფისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების კვალობაზე, საკვალიფიკაციო კომისიების მიერ ეს თანრიგები და კლასები გადაისინჯება და მოსწავლეთა სკოლიდან გამოშვებისას საბოლოოდ იქნება დადგენილი.

შენიშვნა: თანრიგებსა და კლასებს ანიჭებს საწარმოოს საკვალიფიკაციო კომისია, რომლის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე საწარმოო სწავლების დარგში.

საწარმოო სწავლებისა და მწარმოებლური შრომის პროცესში მოსწავლეებს შეუმუშავდებათ თანამედროვე სოციალისტურ წარმოებაში შრომისათვის საჭირო თვისებები: შრომის მაღალი კულტურა და შეგნებული შრომითი დისციპლინა. შემოქმედებითი მიდგომა საქმისადმი, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გადიდებისაკენ განუხრელი მისწრაფება, კოლექტივში შრომის ჩვევა და დასახული მიზნის მიღწევის უნარი.

14. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითს პოლიტექნიკურ საწარმოო სწავლებიან სკოლაში გამოყენებულმა სწავლების მეთოდებმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეთა მიერ მეცნიერებათა საფუძვლების შეგნებულად და მტკიცედ შეთვისებას, ინიციატივისა და თვითმოქმედების განვითარებას; შეასწავლოს მოსწავლეებს სხვადასხვა სახის თეორიული და პრაქტიკული ამოცანების დამოუკიდებლად გადაწყვეტა, სისტემატური დაკვირვება, ცდების ჩატარება ლაბორატორიებში, ბუნებასა და წარმოებაში, საანგარიშო და საზომი მოწყობილობებით, ცნობარებით, ლექსიკონებით, ტაბულებითა და კატალოგებით სარგებლობა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს სწავლებაში თვალსაჩინოების, კინოსა და ტელეხედვის ფართოდ გამოყენებას.

გაკვეთილი კლასში წარმოადგენს სასწავლო მუშაობის ორგანიზაციის ძირითად ფორმას მეცნიერებათა საფუძვლების შესწავლისათვის. ამასთან ერთად, ფართოდ გამოიყენება ექსკურსიები, მეცადინეობანი სახელოსნოებში, ლაბორატორიებში, მეცადინეობანი, რომ-

ლებიც დაკავშირებულია ტექნიკურ გამომგონებლობასთან, ახალი ხელსაწყოების, მოდელების და ტექნიკურ მოწყობილობათა შემუშავებასთან, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო საცდელი მუშაობა. პროფესიული მომზადებისათვის გამოიყენება ჯგუფური და ინდივიდუალური სწავლების მეთოდები.

მოსწავლეთა ცოდნა, უნარი და ჩვევები სისტემატურად მოწმდება ზეპირი გამოკითხვის, წერითი და ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარების გზით, აგრეთვე პროგრამის დამთავრებული განაყოფებისა და თემების ინდივიდუალური ჩათვლის ფორმით. ცოდნა-ჩვევების შეფასება წარმოებს ხუთბალიანი სისტემით.

15. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითს პოლიტექნიკურ საწარმოო სწავლებიან სკოლაში მოსწავლეთა აღზრდა ხორციელდება მეცნიერებათა საფუძვლების შესწავლის, მწარმოებლური და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის პროცესში, კლასგარეშე ღონისძიებათა ჩატარებით, აგრეთვე კომკავშირულ და მოსწავლეთა ორგანიზაციებში მუშაობის გზით. მოსწავლეებში ინერგება ცოდნისა და შრომის სიყვარული, შრომაში ჩაბმული ადამიანებისადმი პატივისცემა, მათში ყალიბდება კომუნისტური მსოფლმხედველობა; მოსწავლეები იზრდებიან კოლექტივიზმის, კომუნისტური მორალის, სამშობლოსა და ხალხისადმი უსაზღვრო ერთგულებისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდა IX—XI კლასებში ხორციელდება ლიტერატურისა და სხვა სასწავლო საგნების გაკვეთილებზე, აგრეთვე ხელოვნების სხვადასხვა სახეობაში ფაკულტატური კურსების მოწყობითა და კლასგარეშე მუშაობის გზით. ესთეტიკური აღზრდა უნდა ემსახურებოდეს ახალგაზრდობაში კარგი მხატვრული გემოვნების, მშვენიერების გრძნობისა და ქცევის კულტურის გამომუშავებას.

ფიზიკური აღზრდა ხორციელდება ფიზიკური კულტურის გაკვეთილებსა და კლასგარეშე ფიზკულტურული მუშაობის პროცესში, აგრეთვე მოსწავლეთა შრომისა და დასვენების სწორი ორგანიზაციის გზით.

სკოლაში ფართოდ გამოიყენება მუშაობის ისეთი ფორმები, როგორიცაა ტურისტული და სამხარეთმცოდნეო ლაშქრობანი. მოსწავლეები მონაწილეობენ მასობრივ ღონისძიებებსა და ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა სექციების მუშაობაში.

16. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითს პოლიტექნიკურ საწარმოო სწავლებიან სკოლაში მოსწავლეთა კლასიდან კლასში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაყვანა წარმოებს ყველა საგანში წლიური ნიშნებისა და საწარმოო პრაქტიკის შეფასების საფუძველზე. XI კლასის დამთავრებისას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად ტარდება გამოსაშვები გამოცდები. ის პირები, რომლებიც ჩააბარებენ გამოსაშვებ გამოცდებს და შეასრულებენ საკვალიფიკაციო შესამოწმებელ სამუშაოებს, ღებულობენ დაწესებული ნიმუშის ატესტატებს საშუალო სკოლის დამთავრებისა და მოწმობებს არჩეულ პროფესიაში კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ.

17. ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი, მშრომელთა დეპუტატების რაიონის (ქალაქის) აღმასკომები უზრუნველყოფენ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოო სწავლებიანი სკოლის კურსდამთავრებულებს სამუშაოთი სახალხო მეურნეობის ან კულტურის ამა თუ იმ დარგში მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად.

V. პედაგოგიური პერსონალი და სკოლის სხვა მუშაკები

18. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოო სწავლებიანი სკოლის მუშაკთა შტატი (ადმინისტრაციული, პედაგოგიური, სასწავლო-დამხმარე და მომსახურე პერსონალი) განისაზღვრება დადგენილი წესით საშტატო განრიგის საფუძველზე.

19. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითს პოლიტექნიკურ საწარმოო სწავლებიან სკოლას სათავეში უდგას დირექტორი, რომელიც პასუხს აგებს სკოლის მდგომარეობისა და მუშაობისათვის.

საშუალო სკოლის დირექტორს ნიშნავენ საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროები და ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილება რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებების წარდგენით იმ საუკეთესო მასწავლებელთა რიცხვიდან, რომელთაც აქვთ ორგანიზატორული მუშაობის უნარი, უმაღლესი პედაგოგიური განათლება და პედაგოგიური მუშაობის სტაჟი არანაკლებ 3 წლისა.

დირექტორი ახორციელებს სკოლისადმი ხელმძღვანელობას. იგი უზრუნველყოფს პედაგოგიური კადრების სწორად განაწილებას და მოსწავლეებით სკოლის დაკომპლექტებას; ღებულობს ზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მებს სკოლის მუშაობისათვის აუცილებელი მატერიალური პირობების შესაქმნელად; პასუხს აგებს სკოლაში აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციისათვის, მოსწავლეთა ზოგადი, პოლიტექნიკური და პროფესიული მომზადებისათვის, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესრულებისათვის, შრომის დაცვისა და უსაშიშრობის ტექნიკის წესების განხორციელებისათვის; ხელმძღვანელობს მასწავლებელთა კოლექტივს, მათი კვალიფიკაციის ამაღლებას; წარმართავს მოსწავლეთა კოლექტივის საქმიანობას და მოსწავლეთა ორგანიზაციების მუშაობას, ყოველმხრივ ხელს უწყობს მათი ინიციატივისა და შემოქმედების განვითარებას; ზემოქმედების ზომებს იღებს შრომის დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ; სკოლის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად წარადგენს მუშაკებს დასაჯილდოებლად.

ემყარება რა სკოლის პედაგოგიურ საბჭოს, პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს, დირექტორი სკოლას ხელმძღვანელობს კოლეგიალობასთან ერთმმართველობის შეხამების საფუძველზე, რაზმავს მოსწავლეთა მშობლებს სკოლის დასახმარებლად, აბამს სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობაში იმ საწარმოს, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, სარემონტო-ტექნიკური სადგურისა და სხვა დაწესებულებათა კოლექტივებს, სადაც მოსწავლეები მწარმოებლურ შრომას ეწევიან.

20. სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს ნიშნავენ საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროები, ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილება რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების წარდგენით იმ მასწავლებელთაგან, რომელთაც აქვთ უმაღლესი განათლება და თავი გამოიჩინეს როგორც უნარიანმა ორგანიზატორებმა და მეთოდისტებმა.

სასწავლო ნაწილის გამგე პასუხს აგებს სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი და მეთოდური მუშაობის ორგანიზაციისა და დაყენებისათვის, მასწავლებელთა და კლასის ხელმძღვანელთა მუშაობისათვის.

21. სასწავლო ნაწილის გამგეს საწარმოო სწავლების დარგში დირექტორის წარდგენით ნიშნავს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ უმაღლესი სპეციალური განათლება და წარმოებაში მუშაობის გამოცდილება. იგი პასუხისმგებელია საწარმოო სწავლებისა და მოსწავლეთა მწარმოებლური შრომის სწორი ორგანიზაციისა და განხორციელებისათვის.

22. სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების გამგესა და სასწავლო-საცდელი მეურნეობის გამგეს სკოლის დირექტორის წარდგენით ნიშნავს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლება და წარმოებაში მუშაობის გამოცდილება. ისინი უზრუნველყოფენ სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებსა და სასწავლო-საცდელ მეურნეობებში მუშაობის სწორად დაყენებას, შრომის დაცვისა და უსაშიშრობის ტექნიკის წესების განხორციელებას და პასუხს აგებენ მათთვის მინდობილ ფასეულობათა მოვლა-პატრონობისათვის.

23. სკოლის დირექტორის თანაშემწეს სამეურნეო დარგში (ან სამეურნეო გამგეს) ნიშნავს სკოლის დირექტორის წარდგენით რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ არანაკლები საშუალო განათლებისა. იგი პასუხს აგებს სკოლის მეურნეობის მდგომარეობისათვის, სკოლის უზრუნველყოფისათვის სამეურნეო და სასწავლო მოწყობილობით, სკოლის ქონების დაცვისათვის, სასკოლო შენობის ნორმალური ექსპლუატაციისა და მისი სათანადო სანიტარული და ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობისათვის.

24. სკოლის IX—XI კლასების მასწავლებლებს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებების წარდგენით ნიშნავენ საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროები, აგრეთვე ავტონომიური ოლქისა და თბილისის განათლების განყოფილებები იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ უმაღლესი პედაგოგიური განათლება.

მასწავლებელი პასუხს აგებს საბჭოთა სკოლის მოთხოვნათა შესაბამისად მოსწავლეთა აღზრდისა და სწავლებისათვის, სასწავლო გეგმისა და პროგრამის შესრულებისათვის, სასწავლო მუშაობაში რაც შეიძლება უფრო რაციონალური მეთოდების გამოყენებისათვის, მოსწავლეთა ცოდნა-ჩვევების დონისა და მათი სწორად შეფასებისათვის, მოსწავლეთა შემდგომ კლასში გადაყვანისა და სკოლიდან მათი გამოშვებისათვის. მასწავლებლები ვალდებული არიან მოსწავლეებისადმი პატივისცემა და ყურადღება შეუხამონ გააზრებულ მომთხოვნელობას მათ ასაკობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით.

მასწავლებლები სისტემატურად უნდა იმაღლებდნენ თავიანთ იდეურ-პოლიტიკურ დონეს, თეორიულ და პროფესიულ მომზადებას.

25. სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების საწარმოო სწავლების ოსტატებს ნიშნავენ რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებები იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ სათანადო სპეციალური მომზადება და საწარმოო გამოცდილება.

ოსტატი პასუხს აგებს მასზე მიმაგრებულ მოსწავლეთა საწარმოო სწავლებისა და მწარმოებლური შრომის ორგანიზაციისათვის და მეცადინეობის პროცესში მათ მიერ შრომის დაცვისა და უსაშიშრობის ტექნიკის წესების განხორციელებისათვის.

26. კლასის ხელმძღვანელებს ნიშნავს სკოლის დირექტორი ამ კლასის მასწავლებელთა რიცხვიდან. მათ მოვალეობას შეადგენს: კლასზე საერთო პედაგოგიური ხელმძღვანელობის განხორციელება, მოსწავლეთა შემჭიდროება მეგობრულ შრომისუნარიან და დისციპლინიან კოლექტივად. მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებათა შესწავლა, მათი აქტიურობისა და დამოუკიდებლობის, სწავლისადმი პასუხისმგებლობითი დამოკიდებულების, შრომისმოყვარეობის, ინდივიდუალური ნიჭისა და ინტერესების განვითარებისათვის ხელის შეწყობა, დახმარება მოსწავლეთა სასწავლო და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის რაციონალურად დაყენებაში.

ამ მოვალეობებს კლასის ხელმძღვანელი ახორციელებს სასკოლო კომკავშირულ ორგანიზაციებზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან, მშობლებთან, იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან მჭიდრო კავშირში, სადაც მშობლები მუშაობენ, საწარმოებთან, სადაც მოსწავლენი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას ეწევიან.

27. სკოლის ბიბლიოთეკარს დირექტორი ნიშნავს იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ არანაკლები საშუალო განათლებისა.

მასწავლებლებთან ერთად ბიბლიოთეკარი ხელმძღვანელობს მოსწავლეთა კლასგარეშე კითხვას, უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის შევსებას წიგნებით და პასუხს აგებს მასზე ჩაბარებული წიგნის ფონდის დაცვისა და შენახვისათვის.

28. სასწავლო კაბინეტების ხელმძღვანელობას დირექტორი აკისრებს სათანადო საგნების მასწავლებლებს. სასწავლო კაბინეტების გამგეები, ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ ასიგნობათა შესაბამისად, უზრუნველყოფენ კაბინეტებს მოწყობილობებით, რასაც მოითხოვენ სასწავლო პროგრამები ლაბორატორიული და პრაქტიკული მუშაობისათვის. კაბინეტის გამგეები პასუხს აგებენ მათთვის მინდობილ ფასეულობათა დაცვისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლის დირექტორი ნიშნავს სასწავლო კაბინეტების ლაბორანტებს, რომლებიც შესაბამისი კაბინეტის გამგის ხელმძღვანელობით მუშაობენ.

29. სკოლის სამედიცინო მომსახურებას ახორციელებს რაიონის (ქალაქის) ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება.

მედიცინის მუშაკები, რომლებიც მომსახურებას უწევენ სკოლას, ატარებენ სანიტარულ-ჰიგიენურ და სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობენ ჯანმრთელობის დაცვას, ფიზიკურ განვითარებას, მოსწავლეთა წარმატებითს სწავლასა და აღზრდას. ისინი თავიანთ მუშაობაში ხელმძღვანელობენ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სამინისტროების მითითებებით.

VI. სკოლის პედაგოგიური საბჭო

30. მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის ძირითადი საკითხების განხილვისა და გადაწყვეტისათვის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითს პოლიტექნიკურ საწარმოო სწავლებიან სკოლაში იქმნება პედაგოგიური საბჭო.

პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობაში შედიან: სკოლის დირექტორი (თავმჯდომარე), სასწავლო ნაწილის გამგე, სასწავლო ნაწილის გამგე საწარმოო სწავლების დარგში, სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების გამგე, სასწავლო-საცდელი მეურნეობის გამგე, სკოლის მასწავლებლები, უფროსი პიონერხელმძღვანელი, საწარმოო სწავლების ოსტატები, ბიბლიოთეკარი, სკოლის ექიმი, წარმოების ან კოლმეურნეობის წარმომადგენელი, მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე.

პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, როგორც წესი, მოიწვევიან სკოლის ალკკ კომიტეტის მდივანი და მოსწავლეთა კომიტეტის თავმჯდომარე.

პედაგოგიური საბჭო განიხილავს საკითხებს სწავლების ცხოვრებასთან და წარმოებასთან კავშირის, მოსწავლეთა ზოგადი პოლიტექნიკური განათლებისა და პროფესიული მომზადების დონის ამაღლების, სწავლებისა და აღზრდის მეთოდების სრულყოფის, სხვა სკოლისა და საუკეთესო მასწავლებლების გამოცდილების შესახებ; ამტკიცებს სკოლის მუშაობის გეგმებს, დირექტორისა და სასწავლო ნაწილის გამგის ანგარიშებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შედეგების შესახებ; წყვეტს მოსწავლეთა კლასიდან

კლასში გადაყვანისა და გამოშვების საკითხებს; ისმენს მასწავლებლების ანგარიშს პროგრამების შესრულების შესახებ, კლასის ხელმძღვანელების მოხსენებებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და მოსწავლეთა დისციპლინის შესახებ, სკოლის ექიმისა—მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ და სხვა საკითხებს.

სკოლის პედაგოგიური საბჭო მუშაობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულებით.

VII. სკოლის მშობელთა კომიტეტი

31. მოსწავლეთა მშობლებთან მუდმივი კავშირის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლასთან იქმნება მშობელთა კომიტეტი, რომელსაც ირჩევს მშობელთა საერთო კრება. მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩევა მისი ერთერთი წევრი.

მშობელთა კომიტეტი სკოლის ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის იყენებს მშობლებს, ეხმარება სკოლას სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობაში, საწარმოო სწავლების, მოსწავლეთა მწარმოებლური და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის და კლასგარეშე მუშაობის ორგანიზაციაში, სკოლის სამეურნეო და სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა განხორციელებაში და მოსწავლეთა თვითმომსახურებისა და გამაჯანსაღებელი ღონისძიებების გატარებაში.

მშობელთა მონაწილეობა სკოლის მუშაობაში განისაზღვრება მშობელთა კომიტეტის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

VIII. მოსწავლეები

32. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითს პოლიტექნიკურ საწარმოო სწავლებიან სკოლაში (IX კლასში) უგამოცდოდ მიიღებიან მოსწავლენი, რომელთაც დაამთავრეს რვაწლიანი სკოლა და სურვილი განაცხადეს საშუალო განათლებასთან ერთად მიიღონ გარკვეული პროფესია, რომელიც მოცემულ სკოლაში ისწავლება.

33. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლის IX კლასში ჩარიცხვის შესახებ განცხადებების მიღება და ჩარიცხვა მოსწავლეებად წარმოებს 1 ივლისიდან 25 აგვისტომდე. შემსვლელები ადგენენ განცხადებას, რვაწლიანი სკოლის დამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავრების მოწმობას და სამედიცინო ცნობას იმის შესახებ, რომ ისინი თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობით შეძლებენ სპეციალობის ათვისებას.

34. მოსწავლეები ვალდებული არიან იყვნენ დისციპლინიანი, დაიცვან შინაგანაწესი და უსაშიშრობის ტექნიკის წესები წარმოებაში, კულტურული ქცევის ნორმები სკოლაში, წარმოებაში, ოჯახში, ქუჩასა და საზოგადოებრივ ადგილებში.

სკოლაში გამოიყენება წახალისებისა და დასჯის ზომები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სათანადო წესებით.

განსაკუთრებული დანაშაულისათვის (ხულიგნური გამოვლინება, პედაგოგიური პერსონალის შეურაცხყოფა, მასწავლებლის მითითების და სკოლისა და წარმოების ადმინისტრაციის განკარგულებებისადმი ჯიუტი დაუმორჩილებლობა) პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით მოსწავლეები სკოლიდან გაირიცხებიან. გადაწყვეტილება მოსწავლის სკოლიდან გარიცხვის შესახებ უნდა დაამტკიცოს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებამ, რომელიც მშობლებთან ერთად ღებულობს ზომებს მათი შრომითი მოწყობისათვის.

35. მოსწავლეთა გაერთიანებისათვის მეგობრულ და შრომისუნარიან კოლექტივად, რომელიც ეხმარება ადმინისტრაციასა და მასწავლებლებს მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის საქმეში, სკოლაში იქმნება მოსწავლეთა კომიტეტი, რომელსაც ირჩევს მოსწავლეთა საერთო კრება. მოსწავლეთა კომიტეტი მუშაობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ მოსწავლეთა ორგანიზაციების შესახებ დამტკიცებული დებულებით.

36. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითს პოლიტექნიკურ საწარმოო სწავლებიან სკოლაში იქმნება კომკავშირული ორგანიზაცია.

37. მოსწავლეთა კოლექტივის მონაწილეობა საზოგადოებრივსასარგებლო, კულტურულ-მასობრივი და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის სხვადასხვა სახეობაში, რაც სკოლასა და წარმოებაში ეწყობა, აგრეთვე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კამპანიებში ხორციელდება სკოლის დირექტორისა და მასწავლებლების ხელმძღვანელობით მოსწავლეთა შემოქმედებითი ინიციატივისა და თვითმოქმედების განვითარების საფუძველზე, სოციალისტური შეჯიბრების მეთოდის ფართოდ გამოყენებით.

მოსწავლეთა საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის ერთ-ერთ სახეს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობის შრომითი აღზრდისა და ცხოვრებაში აუცილებელი შრომითი ჩვევების განვითარებისათვის, წარმოადგენს თვითმომსახურება. თვითმომსახურებას სკოლა აწყობს მოსწავლეთა სასწავლო მუშაობის შეუფერხებლად, პედაგოგიურ და სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნათა შესაბამისად, სიფრთხილის ღონისძიებათა ზუსტად დაცვით, მოსწავლეთა გადატვირთვის თავიდან აცილებით.

IX. სკოლის სასწავლო-მატერიალური ბაზა

38. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითს პოლიტექნიკურ საწარმოო სწავლებიან სკოლებში ეწყობა შემდეგი კაბინეტები: ფიზიკისა და ელექტროტექნიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ხაზვის, სამრეწველო წარმოების საფუძვლების (ქალაქის სკოლაში) და სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძვლების (სოფლის სკოლაში), აგრეთვე საჭირო შემთხვევაში—სასწავლო-საწარმოო სახელოსნოები სკოლის საწარმოო პროფილის შესაბამისად. გარდა ამისა, სკოლაში გამოიყოფა სპეციალური შენობა მეოჯახეობაში მეცადინეობისათვის.

ყველა კაბინეტი მოწყობილი უნდა იქნეს იმ ნორმატივების შესაბამისად, რაც დადგენილი წესით არის დამტკიცებული.

სკოლას უნდა ჰქონდეს სააქტო და ფიზკულტურის დარბაზები, სპორტული მოედანი, ბიბლიოთეკა სამკითხველო დარბაზით, სასადილო და სხვა შენობები.

39. სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებითა და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით იქმნება იმ შემთხვევაში, როცა სკოლას არა აქვს საშუალება წარმოებაში მოაწყოს IX—XI კლასების მოსწავლეთა საწარმოო სწავლება და მწარმოებლური შრომა. ეს სახელოსნოები ფინანსდებიან სპეციალური სახსრებით ან იმყოფებიან სამეურნეო ანგარიშზე, ისინი აღჭურვილი უნდა იქნენ მოწყობილობით, რაც მწარმოებლური შრომისათვის არის აუცილებელი.

X. სკოლის დაფინანსება და ანგარიშგება

40. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოო სწავლებიანი სკოლების დაფინანსება წარმოებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონისა და ქალაქის ბიუჯეტის სახსრებით დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

41. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოო სწავლებიანი სკოლები დაწესებული ფორმით აწარმოებენ საქმეებს, არქივს, ფინანსურ და სტატისტიკურ ანგარიშებს და თავისი მუშაობის ანგარიშს აბარებენ რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებას.

42. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოო სწავლებიანი სკოლა სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით და აქვს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დაწესებული ნიმუშის ბეჭედი.

* *
*

43. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოო სწავლებიანი სკოლის I—VIII კლასები მუშაობენ რვაწლიანი სკოლის დებულებით.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შესახებ

I. სკოლის მიზნები და ამოცანები

1. საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა მოწოდებულია მისცეს სრული საშუალო განათლება და აუმაღლოს პროფესიული კვალიფიკაცია იმ პირთ, რომლებმაც დაამთავრეს რვაწლიანი სკოლა და მუშაობენ სახალხო მეურნეობის ან კულტურის სხვადასხვა დარგში.

სწავლება საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ხორციელდება წარმოებისაგან მოუწყვეტლად. წარმოებაში მუშაობის კონკრეტული პირობების მიხედვით (ცვლებში მუშაობა, მუშაობის სეზონური ხასიათი და ა. შ.) სასწავლო მეცადინეობა ამ სკოლაში შეიძლება ტარდებოდეს როგორც საღამოს, ისე დღისით (ცვლის სკოლა) წარმოებაში მუშაობისაგან თავისუფალ დროს (სეზონური სკოლა სოფელ ადგილებში, სამდინარო ფლოტის საწარმოებში და მეურნეობის სხვა დარგებში).

ზოგადსაგანმანათლებლო, პოლიტექნიკური და სპეციალური საგნების შესწავლა საღამოს (ცვლის) საშუალო სკოლებში უნდა ეყრდნობოდეს მოსწავლეთა საწარმოო გამოცდილებას და ხელს უნდა უწყობდეს მათ კულტურულ ზრდას, საწარმოო კვალიფიკაციისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის ამაღლებას.

II. სკოლის ორგანიზაციის წესი და სტრუქტურა

2. საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები იხსნება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წარდგენით, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილების საფუძველზე.

საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები იმყოფებიან რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების გამგებლობაში.

3. მოსწავლეთა საკმარისი კონტინგენტის არსებობისას საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები შეიძლება შეიქმნას სამრეწველო და სატრანსპორტო საწამოებთან, მშენებლობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, კოლმეურნეობებთან და სარემონტო-ტექნიკურ სადგურებთან. სკოლები შეიძლება გაიხსნას აგრეთვე რამდენიმე საწარმოს, დაწესებულების, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის ახალგაზრდობის სწავლებისათვის; ამ შემთხვევაში სკოლის მომსახურების რაიონს აწესებს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება.

4. საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს აქვთ IX, X და XI კლასები. სწავლების ვადა მათში 3 წელია.

იმ მომუშავე ახალგაზრდებისათვის, რომელთაც რვაწლიანი განათლება არა აქვთ, ამ სკოლებში შეიძლება არსებობდეს ყველა კლასი, დაწყებული მესამედან.

მესამე—მერვე კლასები შეიძლება გაიხსნას აგრეთვე რვაწლიან სკოლასთან.

მესამე—მეხუთე კლასები გაიხსნება, როცა მოსწავლეთა რაოდენობა კლასში 25-ია, მეცხრე კლასი კი—როცა მოსწავლეთა რაოდენობა ოცია. განსაკუთრებულ შემთხვევაში მეცხრე კლასის გახსნა სოფელ ადგილებში შეიძლება, თუ მოსწავლეთა რაოდენობა 15-ია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა გაიხსნება, თუ მასში იქნება არანაკლები სამი კლასისა.

მოსწავლეთა კონტინგენტის სიმცირისას, როცა არ შეიძლება გაიხსნას ცალკე დამოუკიდებელი საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, წარმოებისაგან მოუწყვეტლად მომუშავე ახალგაზრდობის სწავლებისათვის შეიძლება საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითს პოლიტექნიკურ საწარმოო სწავლებიან სკოლებთან გაიხსნას ცალკე კლასები.

6. იმ პირებს, რომელთაც არ შეუძლიათ დაესწრონ მეცადინეობას, საჭიროების შემთხვევაში საშუალო განათლების მიღების მიზნით საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან შეიქმნება დაუსწრებელი განყოფილებები.

საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან დაუსწრებელი განყოფილებები გაიხსნება საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებითა და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით იმ შემთხვევაში, თუ კონტინგენტი 100-ზე ნაკლები არ არის.

საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, რომლებთანაც დაუსწრებელი განყოფილებებია გახსნილი, მომსახურების რაიონის ტერიტორიაზე ქმნიან სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებს, თუ კონტინგენტი 60-ზე ნაკლები არ არის. უფრო მცირე რაოდენობის შემთხვევაში საკონსულტაციო დახმარებისა და ჩათვლებისათვის დაუსწრებელი განყოფილების მოსწავლეები მიემაგრებიან უახლოეს საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო ან საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითს პოლიტექნიკურ საწარმოო სწავლებიან სკოლებს.

საკონსულტაციო პუნქტები მუშაობენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ მათთვის დამტკიცებული დებულებით.

III. წარმოება და სკოლა

7. საწარმოების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობების, სარემონტო-ტექნიკური სადგურების, დაწესებულებების ხელმძღვანელები ვალდებული არიან წარმატებითი მუშაობისათვის შეუქმნან საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს და ამ სკოლების მოსწავლეებს საჭირო პირობები:

ა) საჭირო შემთხვევაში უზრუნველყონ სკოლები სასწავლო მიზნებისათვის გამოსადეგი შენობებით, მოწყობილობებით, გათბობით,

ჩაატარონ სასწავლო შენობათა მიმდინარე და კაპიტალური რემონტი, გამოუყონ ინჟინერ-ტექნიკური და აგრონომიული პერსონალის სკოლებს სპეციალური დისციპლინების სწავლებისათვის, რომელთა შესწავლა ხელს უწყობს მოსწავლეთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას;

ბ) სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად შეადგინონ პერსპექტიული გეგმა იმ ახალგაზრდების სწავლებაში ჩასაბმელად, რომელთაც არა აქვთ საშუალო განათლება, მოაწყონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა ამ ახალგაზრდებს შორის საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მათი ჩაბმის მიზნით და შეუქმნან პირობები მეცადინეობებზე შეუფერხებელი დასწრებისათვის.

რჩევა ეძლევათ კოლმეურნეობებს ასევე შეუქმნან კოლმეურნე ახალგაზრდობას აუცილებელი პირობები საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლისათვის წარმოებისაგან მოუწყვეტლივ.

8. საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისათვის სისტემატური დახმარების აღმოსაჩენად ახალგაზრდობის წარმოებისაგან მოუწყვეტლად სწავლების მოწყობის საქმეში რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებასთან იქმნება მუდმივი ხელშემწყობი კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან სკოლის დირექტორები და საწარმოების, დაწესებულებების, საბჭოთა მეურნეობების, სარემონტო-ტექნიკური სადგურების, კოლმეურნეობების ადმინისტრაციის, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები. ხელშემწყობი კომისია მუშაობს რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილების გამგის ხელმძღვანელობით.

იმ შემთხვევაში, როცა საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ერთი საწარმოს მუშები და მოსამსახურეები სწავლობენ, ხელშემწყობი კომისია შეიძლება შეიქმნას ამავე საწარმოსთან. ასეთი კომისია მუშაობს საწარმოს დირექტორის ან მის მიერ გამოყოფილი პირის ხელმძღვანელობით.

9. საღამოს (ცვლის, სეზონური) და დაუსწრებელი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის IX—XI კლასების იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც წარმატებით სწავლობენ, სასწავლო წლის პერიოდში წესდება შემცირებული სამუშაო კვირა ან შემცირებული სამუშაო დღე სამუშაოდან თავისუფალი დროისათვის ძირითად სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაო ადგილზე საშუალო ხელფასის 50%-ის შენარჩუნებით, შავრამ არა ნაკლები დადგენილი ხელფასის მინიმალური ოდენობისა.

საღამოს (ცვლის, სეზონური) და დაუსწრებელი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებს შემცირებული სამუშაო კვირა ან შემცირებული სამუშაო დღე, აგრეთვე, დამატებითი შვებულებები გამოცდების პერიოდისათვის XI კლასში 20 სამუშაო დღის ხანგრძლიობით ხელფასის შენარჩუნებით ძირითად სამუშაო ადგილზე სატარიფო თანრიგის ანგარიშიდან მიეცემათ სსრკ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 5 ნოემბრის № 1233 დადგენილების შესაბამისად.

10. საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიურ საბჭოებს უფლება ეძლევათ, შეუცვალონ გამოცდების ჩაბარების ვადები ცალკეულ მოსწავლეებს, რომელთაც აქვთ საპატიო მიზეზი.

11. საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებსა და მასწავლებლებს მუდმივი კავშირი აქვთ იმ საწარმოებთან, დაწესებულებებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და კოლმეურნეობებთან, სადაც მათი მოსწავლეები მუშაობენ; ეცნობიან მოსწავლე ახალგაზრდობის მუშაობის პირობებს, აქტიურად მონაწილეობენ კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა მასობრივი მუშაობის ჩატარებაში მუშათა, მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა შორის.

IV. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა

12. საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლება ხორციელდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესაბამისად. ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროებს და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილებას უფლება აქვთ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით, საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში შეიტანონ ცვლილებები ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, თვითეული კლასისათვის სასწავლო გეგმით დადგენილი საათების რაოდენობის ფარგლებში, ისე, რომ არ დაუშვან ცოდნის დონის შემცირება.

შენიშვნა: პროგრამებს აფხაზურ ენასა და ლიტერატურაში, ოსურ ენასა და ლიტერატურაში იმ საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის, სადაც ეს საგნები ისწავლება, შესაბამისად ამტკიცებენ აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრო და მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილება.

13. საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო წლის ხანგრძლიობა განისაზღვრება 36 კვირით.

სასწავლო წელი საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში იწყება 1 სექტემბერს და მთავრდება: III—VII—IX და X კლასებში—25 მაისს, VIII კლასში—10 ივნისს და XI კლასში — 20 ივნისს.

სასწავლო წლის დაწყებისა და დამთავრების ვადებს სეზონურ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში განსაზღვრავენ საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროები და ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილება საწარმოში მოსწავლეთა მუშაობის კონკრეტული პირობების შესაბამისად სასწავლო წლის დადგენილი ხანგრძლიობის შენარჩუნებით.

სასწავლო წელი საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში იყოფა მეოთხედებად: I მეოთხედი—1 სექტემბრიდან 7 ნოემბრამდე, II მეოთხედი—9 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე, III მეოთხედი—11 იანვრიდან 31 მარტამდე, IV მეოთხედი—1 აპრილიდან სასწავლო წლის ბოლომდე.

გაკვეთილების ხანგრძლიობა ყველა კლასში 45 წუთია. შესვენებები გაკვეთილებს შორის წესდება 10 წუთი, გარდა დიდი შესვენებისა მეორე ან მესამე გაკვეთილის შემდეგ, რომლის ხანგრძლიობაც უნდა იყოს არა ნაკლები 20 წუთისა.

14. საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლობენ ის პირები, რომლებიც მუშაობენ სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგში. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა ამ სკოლებში ისეთნაირად უნდა იყოს დაყენებული, რომ იგი ეყრდნობოდეს მოსწავლეთა საწარმოო გამოცდილებას, ხელს უწყობდეს მათი საწარმოო კვალიფიკაციის და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის ამაღლებასა და კულტურულ ზრდას.

ისეთი საგნების შესწავლა საღამოს (ცვლის) საშუალო სკოლაში, როგორიცაა ფიზიკა, მათემატიკა, ქიმია, ბიოლოგია, ხაზვა უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს ღრმად შეიცნონ უწინარეს ყოვლისა თავისი საწარმოს ტექნიკისა და ტექნოლოგიის საბუნებისმეტყველო-მეც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიერული საფუძვლები და მიღებული ცოდნა გამოიყენონ პრაქ-
ტიკაში.

15. მოსწავლეთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო გეგმებით გათვალისწინებულია ფაკულტატური შესწავლა ზოგადტექნიკური და ტექნოლოგიური ან სოფლის მეურნეობის წარმოების საკითხები, რაც დამახასიათებელია მოცემული საწარმოს, საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობის ან საწარმოთა ჯგუფისათვის, რომლებსაც მომსახურებას უწევს ესა თუ ის სკოლა.

16. საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლამ უნდა ჩამოუყალიბოს მოსწავლეებს კომუნისტური მსოფლმხედველობა, აღზარდოს ისინი კოლექტივიზმის, კომუნისტური მორალის, სამშობლოსა და ხალხისადმი უსაზღვრო ერთგულებისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით; შეუმუშაოს მათ კომუნისტური დამოკიდებულება შრომისადმი, თავიანთი მოვალეობისადმი.

სკოლამ მოსწავლეები უნდა ჩააბას აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, კულტურულ და სპორტულ მუშაობაში, რომელიც ტარდება საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებში; ამავე დროს მოაწყოს მოსწავლეთათვის ლექციები და მოხსენებები მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის, ხელოვნების სხვადასხვა საკითხებზე, ჩააბან ისინი ბიბლიოთეკებში წიგნების აქტიურ მკითხველებად.

17. საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა ცხოვრებისა და საწარმოო გამოცდილების გათვალისწინებით გამოიყენება სასწავლო მუშაობის სხვადასხვაგვარი მეთოდები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მიერ ცოდნის შეგნებულ და მტკიცე შეთვისებას, მათი შემეცნებითი უნარისა და აქტივობის განვითარებას, მათში თვითგანვითარების ჩვევისა და მიღებული ცოდნის წარმოებაში გამოყენების უნარის გამომუშავებას. ამის შესაბამისად მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს შესავალ და მიმოხილვითს ლექციებს, პრაქტიკულ მეცადინეობას სასწავლო კაბინეტებსა და ლაბორატორიებში. გაკვეთილებთან ერთად აუცილებელია ჩატარდეს ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები მოსწავლეებისათვის, გამოყენებულ იქნეს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ისეთი ფორმები, როგორიცაა ექსკურსიები და კონფერენციები.

მოსწავლეთა ცოდნა, უნარი და ჩვევები საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სისტემატურად ამოწმდება ზეპირი გამოკითხვის გზით, საკლასო წერითი და ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებით, პროგრამის გავლილი ნაწილების ინდივიდუალური ჩათვლების ფორმით და ფასდება ხუთბალიანი სისტემით.

18. მოსწავლეთა შემდგომ კლასში გადაყვანა, გამოცდები საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების VIII და XI კლასებში ტარდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

19. ის პირები, რომლებმაც დასწრებულად ან დაუსწრებლად დაამთავრეს საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის VIII კლასი, ღებულობენ მოწმობას, რომელიც მათ უფლებას აძლევს საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მოწყობისათვის ან საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლის გაგრძელებისათვის, ხოლო მეთერთმეტე კლასდამთავრებულნი ღებულობენ საშუალო განათლების ატესტატს, რაც მათ უფლებას აძლევს უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისათვის.

V. პედაგოგიური პერსონალი და სკოლის სხვა მუშაკები

20. საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაკთა შტატი (ადმინისტრაციული, პედაგოგიური, სასწავლო-დამხმარე და მომსახურე პერსონალი) განისაზღვრება დადგენილი წესის საშტატო განრიგით.

21. საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სათავეში დგას დირექტორი, რომელსაც რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებათა წარდგენით ნიშნავენ საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროები, ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილება იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ ორგანიზატორული უნარი, უმაღლესი პედაგოგიური განათლება და პედაგოგიური მუშაობის სტაჟი არა ნაკლები 3 წლისა.

დირექტორი ახორციელებს სკოლისადმი ხელმძღვანელობას. იგი პასუხისმგებელია მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესრულებისათვის, სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაყენებისათვის; უზრუნველყოფს ნორმალურ მატერიალურ პირობებს სკოლის მუშაობისათვის; ღებულობს ზომებს პედაგოგიური კადრებით სკოლის სწორად დაკომპლექტებისათვის; ხელმძღვანელობს მასწავლებელთა კოლექტივს, ხელს

ეროვნული ბიბლიოთეკა
უწყობს მათი შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას და პედა-
გოგიური კვალიფიკაციის ამაღლებას; წარმართავს მოსწავლეთა კუ-
ლექტივის საქმიანობას.

დირექტორი სკოლას ხელმძღვანელობს ერთმმართველობის კო-
ლეგიალობასთან შეერთების საფუძველზე და თავის მუშაობას წარ-
მართავს მჭიდრო კონტაქტში იმ საწარმოების, დაწესებულებების,
საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების ადმინისტრაციასთან,
პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან,
რომელთაც მომსახურებას უწევს სკოლა.

22. საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკო-
ლის სასწავლო ნაწილისა და ამ სკოლის დაუსწრებელი
განყოფილების გამგეს ნიშნავენ საქართველოს სსრ და ავ-
ტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროები, ავ-
ტონომიური ოლქის განათლების განყოფილება რაიონის (ქალაქის)
განათლების განყოფილების წარდგენით იმ პირთაგან, რომელთაც
აქვთ უმაღლესი პედაგოგიური განათლება და თავი გამოიჩინეს რო-
გორც კარგმა ორგანიზატორებმა და მეთოდისტებმა.

სასწავლო ნაწილის გამგე პასუხს აგებს სკოლის სასწავლო აღმ-
ზრდელობითი და მეთოდური მუშაობის მდგომარეობისათვის და
ახორციელებს მასწავლებელთა მუშაობაზე კონტროლსა და ხელ-
მძღვანელობას.

23. დაუსწრებელი განყოფილების გამგე პასუხს აგებს დაუსწ-
რებელი განყოფილებისა და მისი სასწავლო-საკონსულტაციო პუნქ-
ტების მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციი-
სა და მდგომარეობისათვის, ახორციელებს უშუალო კონტროლს სას-
წავლო გეგმისა და პროგრამების შესრულებისათვის, ამოწმებს მას-
წავლებელთა მუშაობას და მოსწავლეთა ცოდნის ხარისხს, ეუფლება
და ნერგავს დაუსწრებელი სწავლების დადებითს გამოცდილებას,
ადგენს სასწავლო მეცადინეობის ცხრილს.

24. საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის
დაუსწრებელი განყოფილების მეთოდისტს რაიონის (ქალაქის) გა-
ნათლების განყოფილების წარდგენით ნიშნავს საქართველოს სსრ და
ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროები და ავ-
ტონომიური ოლქის განათლების განყოფილება იმ პირთაგან, რომელ-
თაც აქვთ უმაღლესი პედაგოგიური განათლება.

მეთოდისტი ახორციელებს და კონტროლს უწევს სასწავლო-აღმ-
ზრდელობითს და მეთოდურ მუშაობას სასწავლო-საკონსულტაციო
პუნქტებში, აგრეთვე იმ მოსწავლეთა მუშაობას, რომლებიც მიმაგრე-

ბული არიან რვაწლიან და საშუალო სკოლებზე კონსულტაციების მისაღებად და ინდივიდუალური წესით ჩათვლის ჩასაბარებლად, მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევს სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების გამგეებსა ოა ცალკეულ მასწავლებლებს.

25. საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის V—XI კლასების მასწავლებლებს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების წარდგენით ნიშნავენ საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროები, ავტონომიური ოლქისა და თბილისის განათლების განყოფილებები იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ უმაღლესი პედაგოგიური განათლება. ამავე სკოლის III—IV კლასების მასწავლებლებს ნიშნავს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ საშუალო პედაგოგიური განათლება.

მასწავლებელი პასუხს აგებს მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის ხარისხისათვის, სასწავლო გეგმისა და პროგრამების შესრულებისათვის თავის საგანში.

მასწავლებელი ითვალისწინებს საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის თავისებურებებს და იყენებს სწავლების ყველაზე რაციონალურ მეთოდებს, ახორციელებს მოსწავლეთა სწავლებასა და აღზრდას მჭიდრო კონტაქტში იმ საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, დაწესებულებების საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, სადაც მოსწავლეები მუშაობენ.

იმისათვის, რომ უზრუნველყონ თავიანთი მოვალეობის წარმატებით შესრულება, მასწავლებლები სისტემატურად უნდა იმაღლებდნენ თავიანთ იდეურ-პოლიტიკურ დონეს და იცნობდნენ სკოლის ახლომდებარე საწარმოს.

26. საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ყოველ კლასში, დაწყებული V კლასიდან, დირექტორი მასწავლებელთა რიცხვიდან ნიშნავს კლასის ხელმძღვანელს. კლასის ხელმძღვანელის მოვალეობანი განისაზღვრება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულებით. საღამოს ცვლის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კლასის ხელმძღვანელის მოვალეობანი განისაზღვრება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულებით საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კლასის ხელმძღვანელის შესახებ.

27. დირექტორის თანაშემწეს სამეურნეო ნაწილში (მეურნეობის გამგეს) ნიშნავს სკოლის დირექტორი და იგი პასუხს აგებს სკოლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობის მდგომარეობისათვის, სასწავლო პროცესის მატერიალური უზრუნველყოფის, სკოლის ქონების შენახვის, სასკოლო ნობათა ნორმალური ექსპლუატაციისა და მათი სათანადო სანიტარული და ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის უზრუნველყოფისათვის.

28. სკოლის დირექტორი სასწავლო კაბინეტების ხელმძღვანელობას აკისრებს შესაბამისი სპეციალობის მასწავლებლებს.

სასწავლო კაბინეტების გამგეები კაბინეტებს უზრუნველყოფენ სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოების შესრულებისათვის აუცილებელი მოწყობილობებით და პასუხს აგებენ მათთვის ჩაბარებულ მატერიალურ ფასეულობათა დაცვისათვის.

29. სკოლის ბიბლიოთეკარს ნიშნავს სკოლის დირექტორი. სკოლის ბიბლიოთეკარი მასწავლებელთა დახმარებით მუშაობას აწარმოებს მოსწავლეთა კლასგარეშე კითხვის ორგანიზაციისათვის, უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის შევსებას წიგნებით და პასუხს აგებს წიგნის ფონდის დაცვისათვის.

30. საღამოს (ცვლის) იმ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლაში, რომელსაც აქვს დაუსწრებელი განყოფილება, სკოლის დირექტორის წარდგენით რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება ნიშნავს სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების გამგეებს.

სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გამგის მოვალეობაა უზრუნველყოს სისტემატური კონსულტაციებისა და მეთოდური დახმარების ორგანიზაცია საკონსულტაციო პუნქტზე მიმაგრებული დაუსწრებელი განყოფილების მოსწავლეებისათვის. დახმარება და კონტროლი გაუწიოს საკონსულტაციო პუნქტის მასწავლებლებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციაში.

სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გამგე ოავისი მუშაობის შესახებ ანგარიშს აბარებს სკოლის დაუსწრებელი განყოფილების გამგეს.

VI. პედაგოგიური საბჭო

31. საღამოს (ცვლის) სასწავლო-აღმზრ.დელობითი მუშაობის ძირითად საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტისათვის საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში იქმნება პედაგოგიური საბჭო.

პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობაში შედიან: სკოლის დირექტორი (თავმჯდომარე), სასწავლო ნაწილის გამგე, მასწავლებლები,

ბიბლიოთეკარი, მოსწავლეთა კომიტეტის წარმომადგენელი, აგრეთვე იმ საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და დაწესებულებების საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, რომელთაც მომსახურებას უწევს სკოლა.

სკოლებში, რომელთაც აქვთ დაუსწრებელი განყოფილებანი, პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობაში გარდა ამისა შედიან დაუსწრებელი განყოფილების გამგე, მეთოდისტები და სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების გამგეები.

პედაგოგიური საბჭო განიხილავს ცხოვრებასთან, წარმოებასთან სკოლის კავშირის საკითხებს, მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის ხარისხის ამაღლების ღონისძიებებს, მათი საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლების, საუკეთესო პედაგოგიური გამოცდილების განზოგადებისა და დანერგვის საკითხებს; განიხილავს და ამტკიცებს სკოლის მუშაობის გეგმას, დირექტორის ან სასწავლო ნაწილის გამგის ანგარიშებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შედეგების შესახებ, მასწავლებელთა ანგარიშებს პროგრამების შესრულების, მოსწავლეთა აკადემიური წარმატებისა და დისციპლინის მდგომარეობის შესახებ, წყვეტს მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანისა და გამოშვების საკითხებს.

სკოლის პედაგოგიური საბჭო მუშაობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულებით.

VII. მოსწავლეები

32. საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის IX კლასში მიიღებიან ის პირნი, რომელთაც დამთავრებული აქვთ რვაწლიანი სკოლა, ხოლო X და XI კლასებში — ისინი, რომლებმაც შესაბამისად დაამთავრეს საშუალო სკოლის IX და X კლასი და მუშაობენ წარმოებაში ან დაწესებულებებში.

III, IV, V, VI, VII და VIII კლასებში მიიღებიან ის პირები, რომელთაც აქვთ საბუთი შესაბამისი განათლების შესახებ და მუშაობენ წარმოებასა და დაწესებულებებში.

ყველა შემსვლელი საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში წარადგენს საბუთს განათლების შესახებ და ცნობას სამუშაო ადგილიდან.

განათლების საბუთის უქონლობისას შემსვლელთა ჩარიცხვა შესაბამის კლასში წარმოებს მათი ცოდნის წინასწარი შემოწმების შემდეგ მშობლიურ ენასა და მათემატიკაში.

33. განცხადების მიღება საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში შემსვლელ პირთაგან და მათი სკოლაში ჩარიცხვა წარმოებს 15 მაისიდან 25 აგვისტომდე.

34. საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეები ვალდებული არიან სისტემატურად ესწრებოდნენ სასწავლო მეცადინეობებს, გულმოდგინედ და ბეჯითად ეუფლებოდნენ ცოდნას, ასრულებდნენ სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების მოთხოვნებს, მტკიცედ იცავდნენ სოციალისტური თანაცხოვრების წესებს და იყვნენ სანიმუშონი წარმოებაში შრომისას.

მოსწავლეები, რომლებიც არასაპატიო მიზეზით სისტემატურად აცდენენ მეცადინეობას და უსულგულოდ ეკიდებიან სწავლას, სკოლის პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით გაირიცხებიან სკოლიდან, რის შესახებაც ეცნობებათ იმ საწარმოების, დაწესებულებების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების ადმინისტრაციასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სადაც ისინი მუშაობენ.

35. იმის გამო, რომ საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეები პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ აღრიცხვაზე იმყოფებიან იმ საწარმოებში, დაწესებულებებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, სადაც ისინი მუშაობენ, ზემოაღნიშნული ორგანიზაციები ამ სკოლებში არ ყალიბდება.

36. მოსწავლეთა მეგობრულ, შრომისუნარიან კოლექტივად გაერთიანებისა და სკოლის მუშაობის გაუმჯობესებისაკენ მისი საქმიანობის წარმართვის მიზნით, საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში იქმნება მოსწავლეთა კომიტეტი, რომელშიც შედიან მოსწავლეთა წარმომადგენლები თვითეული კლასიდან.

VIII. სასწავლო-მატერიალური ბაზა

37. საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები მოთავსებულია ისეთ შენობებში, რომლებიც აკმაყოფილებენ სასწავლო დაწესებულებათა მოთხოვნებს.

სპეციალური სასწავლო შენობების უქონლობის შემთხვევაში ეს სკოლები მეცადინეობენ შენობებში, რომლებსაც გამოყოფენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო), სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, საწარმოები, საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები იმ პირობით, თუ ეს შენობები გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსადეგია სასწავლო მიზნებისათვის, საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები შეიძლება აგრეთვე მოთავსდეს რვაწლიანი ან საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოო სწავლებიანი სკოლების შენობებში.

38. მოსწავლეთა თეორიული მეცადინეობისა და პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებისათვის საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, თუ ისინი ცალკე შენობებშია მოთავსებული, იქმნება ფიზიკის, ქიმიისა და ხაზვის კაბინეტები, აგრეთვე სამრეწველო წარმოების საფუძვლების კაბინეტი ქალაქის სკოლებში და სოფლის მეურნეობის საფუძვლების კაბინეტი სოფლის სკოლებში.

საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს ყველა საგანში აქვს საჭირო მოწყობილობა და მასალები, რომლებსაც ითვალისწინებს სათანადო წესით დამტკიცებული ნორმატივები.

IX. სკოლის დაფინანსება და ანგარიშგება

39. საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და დაუსწრებელი განყოფილებები ფინანსდება რაიონის (ქალაქის) ბიუჯეტის სახსრებით დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

40. საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები დაწესებული ფორმით აწარმოებენ საქმეებს, არქივს, ფინანსურ და სტატისტიკურ ანგარიშგებას და თავისი მუშაობის ანგარიშს პერიოდულად აბარებენ რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებას.

41. საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებით და აქვთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი ნიმუშის ბეჭედი.

41 „საქართველოს სსრ სახელმწიფო საცხოვრებელი ფონდის ექსპლუატაციის და მისი მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების ზომების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 9 მაისის № 347 დადგენილების დამატების შესახებ

„სახელმწიფო საბინაო ფონდის ექსპლუატაციის გაუმჯობესებისა და შენარჩუნების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისტრთა საბჭოს 1960 წლის 16 მაისის № 512 დადგენილების მი-
საბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 9 მაისის № 347 დადგენილებით დამტკიცებული ნუსხა საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობის გაუმჯობესების სამუშაოებისა, რაც შეიძლება შესრულებულ იქნეს სახლების რემონტის დროს საცხოვრებელი ფონდის კაპიტალური რემონტისათვის გამოყოფილი სახსრებით, შეივსოს შემდეგი სახეობის სამუშაოებით:

სახლების მიერთება თბოფიკაციის, რადიოტრანსლაციისა და ელექტროქსელთან.

კოლექტიური სარგებლობის სატელევიზიო ანტენის მოწყობა და რემონტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ბერაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წ. 28 მაისი № 373

42 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს (საქართველოს სსრ ცსს) დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს და საქართველოს სსრ ავტონომიურ რესპუბლიკებსა, ავტონომიურ ოლქსა, ქალაქებსა და რაიონებში სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ბერაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წ. 28 მაისი № 377

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 28
მაისის № 377 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს (საქართველოს სსრ ცსს) და საქართველოს სსრ ავტონომიურ რესპუბლიკებსა, ავტონომიურ ოლქსა, ქალაქებსა და რაიონებში სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქ თბილისის სტატისტიკური სამმართველოები და სახელმწიფო სტატისტიკის ინსპექტურები რაიონებსა და ქალაქებში თავიანთ მუშაობას აწყობენ სსრ კავშირის საერთო სახელმწიფოებრივი სტატისტიკის ერთიანი პრინციპების, ერთიანი მეთოდოლოგიისა და ორგანიზაციის საფუძველზე და ემყარებიან პარტიისა და მთავრობის მითითებებს იმის შესახებ, რომ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში ცენტრალიზებული აღრიცხვისა და სტატისტიკის სისტემა დიდმნიშვნელოვანი ბერკეტია სახელმწიფო მართვისა და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმური ხელმძღვანელობისათვის, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფო გეგმის შესრულებისა და საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვისადმი მკაცრ კონტროლს.

I. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო (საქართველოს სსრ ცსს)

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო არის საკავშირო-რესპუბლიკური ორგანო, რომელიც ახორციელებს რესპუბლიკის ტერიტორიაზე აღრიცხვისა და სტატისტიკის საქმისადმი ხელმძღვანელობას და ემოჩილება როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ისე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო ასრულებს იმ სტატისტიკურ სამუშაოებს, რაც მას ეკისრება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენილებითა და განკარგულებით, სტატისტიკურ სამუშაოთა ცენტ-
რალიზებული საერთო საკავშირო გეგმით, საქართველოს სსრ მი-
ნისტრთა საბჭოს დადგენილებებით და განკარგულებებით და სსრ
კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცალკეული
დავალებებით და უზრუნველყოფს საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს ყველა საჭირო სტატისტიკური მასალებით.

2. საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართვე-
ლოს ეკისრება:

ა) განახორციელოს რესპუბლიკის მეურნეობის დარგების მი-
ხედვით სოციალურ-კულტურულ მშენებლობათა აღრიცხვისა და
სტატისტიკის ცენტრალიზაციის ღონისძიებანი; მეურნეობის განვი-
თარების სახელმწიფო გეგმის შესრულების აღრიცხვა მთლიანად
რესპუბლიკაში, ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქ-
ში, ქალაქებსა და რაიონებში, საქართველოს სსრ სახალხო მეურნე-
ობის საბჭოში, სამინისტროებში, უწყებებში და მეურნეობისა და
კულტურის ცალკეულ დარგებში, აგრეთვე სხვა სტატისტიკურ სა-
მუშაოთა შესრულება;

ბ) მოამზადოს მოხსენება და წარუდგინოს საქართველოს სსრ
ხელმძღვანელ ორგანოებს სახალხო მეურნეობის საბჭოს, ავტონო-
მიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და რაიონების და
მეურნეობის სხვა დარგების მიერ სახელმწიფო გეგმების შესრულე-
ბის მიმდინარეობის, სახელმწიფო გეგმის გადაჭარბებით შესასრუ-
ლებლად რეზერვების არსებობისა და გამოყენების შესახებ. მწარ-
მოებლური ძალების განაწილების, მეურნეობის დარგების თანა-
ფარდობისა და განვითარების, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა-
ში შრომითი და მატერიალური რესურსების არსებობის, განაწილე-
ბისა და გამოყენების შესახებ და შეიტანოს საქართველოს ხელ-
ძღვანელ ორგანოებში რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკე-
ბისა და ავტონომიური ოლქის მეურნეობისა და კულტურის განვი-
თარებასთან დაკავშირებით საკითხები განსახილველად;

გ) რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში აღრიცხვისა და ანგა-
რიშგების მექანიზაციის მუშაობის ორგანიზაცია, აგრეთვე საანგა-
რიშო ტექნიკის განაწილება, აღრიცხვის მექანიზაციისა და გამო-
სათვლელ სამუშაოთა გეგმების შედგენა, ამ გეგმების და სსრ კავში-
რის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილე-
ბათა შესრულების შემოწმება აღრიცხვის მექანიზაციის საკითხებ-
ში; დადგენილი წესით ორგანიზაცია ქვემდებარე სტატისტიკური
სამმართველოების მანქანასაანგარიშო სადგურებში ცენტრალიზე-

ბული მექანიზებული წესით სტატისტიკური მასალების დამუშავებლად და ხელმძღვანელობა ამ სადგურების საქმიანობისადმი, აგრეთვე აღრიცხვისა და ანგარიშგების მექანიზაციის დარგში მოწინავე გამოცდილების გაზიარების ორგანიზაცია;

დ) სტატისტიკური მასალების დამუშავება და ანალიზი წარმოების ეკონომიკის, შრომის ნაყოფიერებისა და მრეწველობის პროდუქციის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ეკონომიკის საკითხებზე;

ე) საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკისა და კულტურის შესახებ სტატისტიკური მონაცემების სისტემატიზაცია;

ვ) ეროვნული შემოსავლის, მოსახლეობის ფულადი შემოსავლის და გასავლის გაანგარიშების და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საანგარიშგებო ბალანსის სხვა საჭირო ელემენტების გაანგარიშების შედგენა, აგრეთვე მოსახლეობის რიცხვის პერსპექტიული გაანგარიშების შედგენა რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის მიხედვით;

ზ) საქართველოს სსრ საგეგმო კომისიის და ფინანსთა სამინისტროს, სახალხო მეურნეობის საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კომიტეტების უზრუნველყოფა საჭირო სტატისტიკური მონაცემებით მოქმედი სახელმწიფო ანგარიშიანობის ფარგლებში;

თ) მიაწოდოს სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთა ანგარიშგება ცენტრალიზებულია სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებში, მათთვის საჭირო და მათი საქმიანობისათვის შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები მოქმედი სახელმწიფო ანგარიშგების საფუძველზე, მიაწოდოს ბანკების რესპუბლიკურ კანტორებს საბუღალტრო ანგარიშგებისა და სტატისტიკური მონაცემების ძირითადი მაჩვენებლების ნაკრები ცნობები, რაც საჭიროა მათთვის რესპუბლიკის მეურნეობის დაგეგმვისა, დაკრედიტებისა და დაფინანსებისათვის.

ი) მიაწოდოს დადგენილი წესით სამეცნიერო დაწესებულებებს, უმაღლეს სასწავლებლებს სამეცნიერო კვლევითი გეგმების შესაბამისად მათთვის საჭირო სტატისტიკური მასალები;

კ) გამოაქვეყნოს რესპუბლიკურ პრესაში მონაცემები გეგმების შესრულების შესახებ და სხვა სტატისტიკური მონაცემები რესპუბლიკის, სახალხო მეურნეობის საბჭოს მიხედვით და განახორციელოს კონტროლი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის გეგმების შესრულების შესახებ ქვემდებარე სტატისტიკური

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამმართველოების მიერ ცნობების გამოქვეყნებისადმი; გამოსცეს სტატისტიკური ბიულეტენები და სტატისტიკური კრებულები რესპუბლიკის მეურნეობისა და კულტურის განვითარების შესახებ;

ლ) აღრიცხვისა და ანგარიშგების შემცირება, რაციონალიზაცია და უნიფიკაცია; შემოწმება თუ როგორაა დაყენებული აღრიცხვა და ანგარიშმგებლობა საწარმოებსა და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სარემონტო-ტექნიკურ სადგურებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, სამინისტროებსა და უწყებებში და მათ მიერ წარმოდგენილი საანგარიშგებო მონაცემების უტყუარობის შემოწმება;

საჭირო შემთხვევაში საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო მოახსენებს რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებს და აცნობებს სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს იმ საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სარემონტო-ტექნიკური სადგურების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შესახებ, რომლებმაც დროულად არ წარმოადგინეს ან წარადგინეს უხარისხო ანგარიშები და აღნიშნული ორგანოების საშუალებით იღებს ზომებს გამომჟღავნებულ დარღვევათა აღმოსაფხვრელად.

მ) რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის საანგარიშო დარგის მუშაკთა მასობრივი კადრების მომზადება და გადამზადება;

ნ) მოიწვიოს დადგენილი წესით რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობების, სარემონტო-ტექნიკური სადგურების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, სამინისტროებისა და უწყებების, აღრიცხვისა და სტატისტიკის მუშაკთა თათბირი აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხების განსახილველად, აგრეთვე რესპუბლიკის სტატისტიკური ორგანოების მუშაკთა აქტივის თათბირი სტატისტიკური და ეკონომიური მუშაობის გაუმჯობესების, მუშაობაში მოწინავე გამოცდილების უკეთ გამოყენების საკითხებზე;

ო) ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქ თბილისის სტატისტიკური სამმართველოებისადმი, ქალაქებისა და რაიონების რესპუბლიკური დაქვემდებარების სახელმწიფო სტატისტიკის ინსპექტურების მუშაობისადმი ხელმძღვანელობა და ამ სამმართველოებისა და ინსპექტურების საქმიანობის შემოწმება, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქ თბილისის სტატისტიკური სამმართველოების უფროსთა ისეთი ბრძანებების გაუქმება, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირის მთავრობის, საქართველოს

სსრ მთავრობის გადაწყვეტილებებს, სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს და საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს;

3. საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს აქვს მანქანათსაანგარიშო სადგური სტატისტიკური მასალების მექანიზებული დამუშავებისათვის.

4. საქართველოს სსრ სტატისტიკურ სამმართველოს უფლება ეძლევა:

ა) მიიღოს საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე სამინისტროებისა და უწყებებისაგან და საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სარემონტო-ტექნიკური სადგურების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან, მისთვის საჭირო სტატისტიკური მონაცემები.

ყველა საწარმო, მშენებლობა, კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, სარემონტო-ტექნიკური სადგური, დაწესებულება, ორგანიზაცია, სამინისტრო და უწყება, რომლებიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მდებარეობენ, ვალდებული არიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მოთხოვნით წარუდგინოს სტატისტიკური და საბუღალტრო ანგარიშები და მასალები ყველა საღრიცხვო-სტატისტიკურ სამუშაოზე მათი დამუშავების ყოველნაირ სტადიაში, აგრეთვე დამატებითი მონაცემები და ახსნა-განმარტებანი წარდგენილ ანგარიშებზე.

საქართველოს სსრ სამინისტროები, უწყებები, სახალხო მეურნეობის საბჭო, ორგანიზაციები და დაწესებულებები ვალდებულნი არიან თავისდროულად აცნობონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ყველა იმ ცვლილებათა შესახებ, რომლებიც მათ შეაქვთ ქვემდებარე საწარმოების, მშენებლობათა, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სარემონტო-ტექნიკური სადგურების გეგმებში.

საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები, სახალხო მეურნეობის საბჭო, დაწესებულებები და ორგანიზაციები ვალდებულნი არიან სააღრიცხვო-სტატისტიკური სამუშაოები, სტატისტიკური ცნობარები, კრებულები და ინსტრუქციები აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხებზე, ფასების ნუსხები და პრეისკურანტები, აგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთვე ცალკე ბრძანებები და განკარგულებანი ფასების დამტკიცების შესახებ, გარდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსი, წარუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს.

ბ) დააწესოს რესპუბლიკის ეკონომიური თავისებურებობიდან გამომდინარე და შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სამეურნეო გეგმებისა, საჭირო შემთხვევაში, სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ დამტკიცებული სტატისტიკური ანგარიშგების მაჩვენებლების საერთო საკავშირო მინიმუმის გათვალისწინებით დამატებითი ანგარიშმგებლობა საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის, დაამტკიცოს აგრეთვე რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოების, მშენებლობათა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის სტატისტიკური ანგარიშგების მოცულობა და ფორმები;

გ) მისცეს სავალდებულო მითითებანი აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხებზე რესპუბლიკის ყველა საწარმოს, მშენებლობას, კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას, სარემონტო-ტექნიკურ სადგურს, დაწესებულებასა და ორგანიზაციას, აგრეთვე სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროსა და უწყებას;

დ) მოსთხოვოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებს, მშენებლობებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სარემონტო-ტექნიკურ სადგურებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, სამინისტროებსა და უწყებებს მასალები და დოკუმენტები, რომლებიც საჭიროა ანგარიშების სინამდვილის დასადასტურებლად და აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობის შესამოწმებლად;

ე) გააუქმოს დადგენილი წესით დამტკიცების გარეშე შემოღებული ანგარიშგება, საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მითითება ასეთი ანგარიშგების გაუქმების შესახებ სავალდებულოა რესპუბლიკის ყველა საწარმოს, მშენებლობის, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, სარემონტო-ტექნიკური სადგურის, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის, აგრეთვე სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებებისათვის;

ვ) ჩაატაროს უშუალოდ და სახელმწიფო სტატისტიკის ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით რესპუბლიკის მეურნეობისა და

კულტურის განვითარების შესახებ ცალკეული საკითხების უფრო ღრმა შესწავლისათვის შერჩევითი და მონოგრაფიული სტატისტიკური გამოკვლევა, რაც საჭიროა;

ზ) დაამტკიცოს მისი სტატისტიკური სამმართველოების, რესპუბლიკური დაქვემდებარების რაიონებისა და ქალაქების სახელმწიფო სტატისტიკის ინსპექტურებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ხარჯთაღრიცხვები და შტატები. იმ ადმინისტრაციულ-სამმართველო და საწარმოო პერსონალისა და ასიგნებათა ფარგლებში, რაც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ, იხელმძღვანელოს რა თანამდებობრივი განაკვეთის მოქმედი სქემით; დაამტკიცოს სტატისტიკური სამმართველოების სტრუქტურა (სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით), მშენებლობათა კაპიტალური დაბანდებების ლიმიტები, სატიტულო სიები და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები, აგრეთვე გაანაწილოს მატერიალური და მოწყობილობათა ფონდები.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს სათავეში უდგას უფროსი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილეებს ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში იქმნება კოლეგია, რომელშიც შედიან: ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი (თავმჯდომარე), უფროსის მოადგილეები და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ხელმძღვანელი მუშაკები. კოლეგიის წევრებს ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის წარდგენით.

კოლეგია თავის რეგულარულად ჩატარებულ სხდომებზე იხილავს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსა და მის ქვემდებარე სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოების პრაქტიკული მუშაობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, ძირითად სტატისტიკურ სამუშაოთა შედეგებს, აღრიცხვისა და ანგარიშმგებლობის ცენტრალიზაციისა და მექანიზაციის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და განაწილების საკითხებს, ისმენს საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს და მისი ქვემდებარე

სტატისტიკური ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა ანგარიშგების კოლეგიის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში ტარდება საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის ბრძანებებით.

საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან იქმნება სამეცნიერო-საექსპერტო საბჭო. საბჭოს წევრებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს კოლეგია სტატისტიკის დარგის მეცნიერ და პრაქტიკოს მუშაკთა რიცხვიდან.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გამგებლობაში არის და მუშაობს სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე: აღრიცხვის მექანიზაციის განყოფილება, აღრიცხვის მუშაკთა კადრების მომზადების სასწავლო კომბინატი; ამ ორგანიზაციების ამოცანები და ფუნქციები განისაზღვრება სსრკ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებული საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის მიერ დამტკიცებული დებულებებით (წესდებებით).

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სტრუქტურას აწესებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს უშუალოდ ექვემდებარებიან: აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქ თბილისის სტატისტიკური სამმართველოები და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების სახელმწიფო სტატისტიკის ინსპექტურები.

10. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 11 იანვრის № 30 დადგენილებით დამტკიცებული სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს შესახებ დებულების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქ თბილისის სტატისტიკური სამმართველოებისა და სახელმწიფო სტატისტიკის ინსპექტურის რაიონებსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ქალაქებში შენახვა ხდება საკავშირო ბიუჯეტის ხარჯზე.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს აქვს ბეჭედი საქართველოს სსრ სახელმწიფო ღერბის გამოსახულებით და თავისი სახელწოდებით.

II. ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და ქალაქ თბილისის სტატისტიკური სამმართველოები

12. ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის და ქალაქ თბილისის სტატისტიკური სამმართველოები განაგებენ აღრიცხვისა და სტატისტიკის საქმეს შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და ქალაქის ტერიტორიაზე და უშუალოდ ემორჩილებიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს.

13. აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და ქალაქ თბილისის სტატისტიკურ სამმართველოებს ეკისრებათ:

ა) განახორციელონ ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ქალაქის მეურნეობისა და კულტურის დარგების მიხედვით აღრიცხვისა და სტატისტიკის ცენტრალიზაციის ღონისძიებანი; სტატისტიკურ სამმართველოებში მიღებული ანგარიშგების მექანიზებული დამუშავების მოწყობა;

ბ) მოახდინონ მთლიანად ავტონომიურ რესპუბლიკაში, ავტონომიურ ოლქში, ქალაქ თბილისში და მეურნეობისა და კულტურის ცალკე დარგების განვითარების სახელმწიფო გეგმების შესრულების აღრიცხვა და სხვა ისეთ სტატისტიკურ სამუშაოთა შესრულება, რაც მათ ეკისრებათ სსრ კავშირის მთავრობის და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებით და განკარგულებებით, სტატისტიკურ სამუშაოთა ცენტრალიზებული საერთო საკავშირო გეგმით და სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს და საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცალკეული დავალებებით;

გ) სისტემატიზაცია და ანალიზი ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქის, ქალაქის სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის ზრდის შესახებ დამახასიათებელი სტატისტიკური მონაცემებისა;

დ) ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებში ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქის მეურნეობისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურის განვითარების შესახებ დამახასიათებელი სტატისტიკური მონაცემების წარდგენა;

ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და ქალაქ თბილისის სტატისტიკური სამმართველოები მოახსენებენ ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებს, თუ როგორ მიმდინარეობს სახელმწიფო გეგმების შესრულება შესაბამის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ავტონომიურ ოლქში, ქალაქში და ცალკე დარგების მიხედვით, აგრეთვე რეზერვების არსებობასა და მათი გამოყენების შესახებ გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის და შეაქვთ ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებში განსახილველად საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ქალაქის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებასთან;

ე) ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქისა და ქალაქის საგეგმო კომისიების უზრუნველყოფა საჭირო სტატისტიკური მონაცემებით მოქმედი სახელმწიფო ანგარიშგების ფარგლებში;

ვ) მიაწოდონ საფინანსო ორგანოებს, ბანკის კანტორებს, აგრეთვე იმ სამინისტროებს (ავტონომიურ რესპუბლიკებში), უწყებებს, საოლქო და საქალაქო ორგანიზაციებს, რომელთა ანგარიშგება ცენტრალიზებულია სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებში, მათთვის საჭირო სტატისტიკური მონაცემები მათი საქმიანობის ფარგლებში დაწესებული ანგარიშგების მიხედვით;

ზ) მიაწოდონ სამეცნიერო დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებს დადგენილი წესით მათთვის საჭირო სტატისტიკური მასალები მათი სამეცნიერო გამოკვლევების გეგმების შესაბამისად;

თ) გამოსცენ სტატისტიკური კრებულები და ბიულეტენები ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ქალაქის მეურნეობისა და კულტურის განვითარების შესახებ.

ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის და ქალაქ თბილისის სტატისტიკურ სამმართველოებს ევალებათ აგრეთვე გამოაქვეყნონ ადგილობრივ პრესაში შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ქალაქის მიხედვით გეგმის შესრულების მონაცემები;

ი) აღრიცხვისა და ანგარიშგების შემცირება, რაციონალიზაცია და უნიფიკაცია; შეამოწმონ, როგორაა დაყენებული აღრიცხვა და ანგარიშგება საწარმოებში და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სარემონტო-ტექნიკურ სადგურებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, სამინისტროებში (ავტონო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიურ რესპუბლიკებში) და უწყებებში და წარმოდგენილ საანგარიშგებო მონაცემების სისწორე.

საჭირო შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქისა და ქალაქ თბილისის სტატისტიკური სამმართველო მოახსენებს ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებს და აცნობებს სამინისტროებს (ავტონომიური რესპუბლიკების) და უწყებებს იმ საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სარემონტო-ტექნიკური სადგურების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შესახებ, რომლებმაც არადროულად ან უხარისხო მასალები წარმოუდგინეს და ამ ორგანოების მეშვეობით იღებს ზომებს გამომჟღავნებულ დარღვევათა ლიკვიდაციისათვის;

კ) მოიწვიოს დადგენილი წესით საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სარემონტო-ტექნიკური სადგურების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და სახელმწიფო სტატისტიკის ინსპექტურების აღრიცხვისა და სტატისტიკის მუშაკთა თათბირები სტატისტიკური და ეკონომიური მუშაობის აღრიცხვისა და ანგარიშგების მუშაობის საკითხების განსახილველად და მუშაობის გამოცდილების გასაზიარებლად.

14. ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის სტატისტიკურ სამმართველოებს აქვთ მანქანათსაანგარიშო სადგურები სტატისტიკური მასალების მექანიკური დამუშავებისათვის. ქალაქ თბილისის სტატისტიკურ სამმართველოს ემსახურება საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მანქანათსაანგარიშო სადგური.

15. ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქისა და ქალაქ თბილისის სტატისტიკურ სამმართველოებს უფლება აქვთ:

ა) მიიღონ ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე სამინისტროებისაგან (ავტონომიური რესპუბლიკის), უწყებების, ყველა საწარმოს, მშენებლობის, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, სარემონტო-ტექნიკური სადგურის, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან მათთვის დამტკიცებული საანგარიშგებო მასალები.

ყველა საწარმო, მშენებლობა, კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, სარემონტო-ტექნიკური სადგური, დაწესებულება, ორგანიზაცია, სამინისტრო, (ავტონომიურ რესპუბლიკაში) და უწყება ვალდებულია ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქისა და ქალაქის შესაბამისი სტატისტიკური სამმართველოს მოთხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნით წარუდგინოს სტატისტიკური და საბუღალტრო ანგარიშები და მასალები ყველა საალრიცხვო-სტატისტიკურ სამუშაოზე მათი დამუშავების ყოველ სტადიაში, აგრეთვე დამატებითი მონაცემები და ახსნა-განმარტებანი წარდგენილი ანგარიშგების შესახებ.

სამინისტროები (ავტონომიურ რესპუბლიკებში), უწყებები, ორგანიზაციები და დაწესებულებები ვალდებულნი არიან დროზე აცნობონ შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის და ქალაქ თბილისის სტატისტიკურ სამმართველოს ყველა იმ ცვლილებათა შესახებ, რაც მათ შეაქვთ ქვემდებარე საწარმოების, მშენებლობათა, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სარემონტო-ტექნიკური სადგურების გეგმებში;

ბ) მოსთხოვონ საწარმოებს, მშენებლობებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სარემონტო-ტექნიკურ სადგურებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, სამინისტროებს (ავტონომიურ რესპუბლიკებში) და უწყებებს მასალები და დოკუმენტები ანგარიშების სისწორისა და აღრიცხვის და ანგარიშგების მდგომარეობის შესამოწმებლად.

ანგარიშგებაში დარღვევებისა და დამახინჯებათა, აგრეთვე აღრიცხვასა და ანგარიშგების დაყენებაში შემოწმებებით გამოვლინებული ნაკლოვანებების შესახებ სტატისტიკური სამმართველოები აცნობებენ საწარმოების, მშენებლობათა, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სარემონტო-ტექნიკური სადგურების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, სამინისტროების (ავტონომიურ რესპუბლიკებში) და უწყებების ხელმძღვანელებს ზომების მისაღებად.

ამ საკითხებზე სტატისტიკური სამმართველოს მითითება სავალდებულოა ყველა იმ საწარმოს, მშენებლობის, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, სარემონტო-ტექნიკური სადგურის, დაწესებულების, ორგანიზაციის, სამინისტროს (ავტონომიურ რესპუბლიკაში) და უწყებისათვის, რომლებიც მდებარეობენ ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქისა და ქალაქის ტერიტორიაზე;

გ) გააუქმონ დადგენილი წესის გარეშე შემოღებული ანგარიშგება, ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის და ქალაქის სტატისტიკური სამმართველოს მითითება ასეთი ანგარიშგების გაუქმების შესახებ სავალდებულოა ყველა საწარმოს, მშენებლობის, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, სარემონტო-ტექნიკური სადგურის, დაწესებულების, ორგანიზაციის, სამინისტროს (ავტონომიურ რესპუბლიკაში) და უწყებისათვის;

დ) განახორციელონ უშუალოდ და სახელმწიფო სტატისტიკის ინსპექტურის მეშვეობით რაიონებსა და ქალაქებში, ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ქალაქის მეურნეობის და კულტურის ცალკეული საკითხების უფრო ღრმად შესწავლისათვის — შერჩევითი და მონოგრაფიული სტატისტიკური გამოკვლევები;

ე) დაამტკიცონ რაიონებსა და ქალაქებში სახელმწიფო სტატისტიკის ინსპექციის ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის შტატები იმ ფარგლებში, რომელიც დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რიცხვისათვის, იხელმძღვანელოს რა ამასთან სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ სახელმწიფო სტატისტიკის ინსპექტურებისათვის განსაზღვრული თანამდებობრივი განაკვეთების მოქმედი სქემით და საშტატო ნორმატივებით.

16. ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის და ქალაქ თბილისის სტატისტიკურ სამმართველოებს სათავეში უდგანან სამმართველოთა უფროსები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

17. ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და ქალაქ თბილისის სტატისტიკურ სამმართველოებს უშუალოდ ეშორჩილებიან სახელმწიფო სტატისტიკის ინსპექტურები რაიონებსა და ქალაქებში.

18. ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის და ქალაქ თბილისის სტატისტიკურ სამმართველოებს აქვთ ბეჭედი საქართველოს სსრ ღერბის გამოხატულებით და თავისი სახელწოდების დასახელებით.

III. სახელმწიფო სტატისტიკის ინსპექტურები რაიონებსა და ქალაქებში

19. სახელმწიფო სტატისტიკის ინსპექტურები რაიონებსა და ქალაქებში განაგებენ აღრიცხვისა და სტატისტიკის საქმეს რაიონისა და ქალაქის ტერიტორიაზე.

20. სახელმწიფო სტატისტიკის ინსპექტურებს რაიონებსა და ქალაქებში ეკისრებათ:

ა) იმ სტატისტიკურ სამუშაოთა შესრულება, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მთავრობის, საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით ცენტრალიზებული საერთო საკავშირო სტატისტიკურ სამუშაოთა გეგმით,—სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს, საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და ქალაქ თბილისის სტატისტიკური სამმართველოების ცალკეული დავალებებით;

ბ) მიღება და გადამუშავება იმ საწარმოების, მშენებლობათა, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სარემონტო-ტექნიკური სადგურების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ანგარიშებისა, რომლებიც მდებარეობენ რაიონის, ქალაქის ტერიტორიაზე, აგრეთვე აღწერათა მონაცემები, ერთდროული აღრიცხვისა და სტატისტიკური გამორკვევების მონაცემები.

ყველა საწარმო, მშენებლობა, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სასოფლო და სადაბო საბჭოები, კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, სარემონტო-ტექნიკური სადგური, დაწესებულება და ორგანიზაცია, რომლებიც მდებარეობენ რაიონის, ქალაქის ტერიტორიაზე, ვალდებული არიან ზუსტად დადგენილ ვადებში წარუდგინონ სახელმწიფო სტატისტიკის შესაბამის ინსპექტურებს მათი მისამართით გათვალისწინებული ანგარიშგება;

გ) წარუდგინონ, მათ მიერ მიღებული სტატისტიკური ანგარიშგების საფუძველზე, ხელმძღვანელ რაიონულ და საქალაქო ორგანოებს, აგრეთვე საგეგმო კომისიებს და საფინანსო ორგანოებს მათთვის საჭირო სტატისტიკური მასალები; ანალიზი გაუკეთონ სტატისტიკურ მონაცემებს და შეიტანონ ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების განსახილველად რაიონის, ქალაქის მეურნეობის და კულტურის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები;

დ) მიაწოდონ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის ინსპექციებს და რაიონებისა და ქალაქების სხვა ორგანიზაციებს, რომელთა ანგარიშგება ცენტრალიზებულია სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებში, მათი საქმიანობის ფარგლებში მათთვის საჭირო სტატისტიკური მონაცემები დაწესებული ანგარიშმგებლობის მიხედვით;

ე) სისტემატურად შეამოწმონ აღრიცხვისა და ანგარიშმგებლობის მდგომარეობა რაიონის, ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სარემონტო-ტექნიკურ სადგურებში, დაწესებულებებს-

და ორგანიზაციებში და დახმარება აღმოუჩინონ მათ სარეგისტრაციო სტატისტიკურ სამუშაოთა ორგანიზაციაში; უზრუნველყონ დროული და მაღალხარისხოვანი ანგარიშმგებლობა ისე, რომ ადგილი არ ექნეს ნაკლოვანებებსა და მიწერებს ანგარიშებში.

სახელმწიფო სტატისტიკის ინსპექტურებს რაიონებსა და ქალაქებში უფლება აქვთ მოითხოვონ რაიონის, ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე ყველა საწარმოს, მშენებლობის, მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სარემონტო-ტექნიკური სადგურების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებიდან ყოველგვარი დოკუმენტი, რომლებიც დაკავშირებულია აღრიცხვისა და ანგარიშმგებლობის ხარისხის შემოწმებასთან, აგრეთვე დამატებითი მონაცემები და ახსნა-განმარტებანი წარმოდგენილი ანგარიშგების შესამოწმებლად;

ვ) გამოვლინება და გაუქმება ანგარიშგებისა, რომელიც დამტკიცებულია არადადგენილი წესით;

ზ) რაიონის, ქალაქის მეურნეობისა და კულტურის განვითარების შესახებ სტატისტიკური მონაცემების სისტემატიზაცია ხანგრძლივი პერიოდისათვის;

თ) ინსტრუქტაჟი გაუწიონ საწარმოთა, მშენებლობათა, მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების, კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობების, სარემონტო-ტექნიკური სადგურების, დაწესებულებისა და ორგანიზაციების აღრიცხვის მუშაკებს და პერიოდულად მოიწვიონ მათი თათბირები აღრიცხვისა და ანგარიშმგებლობის სამუშაოთა გაუმჯობესების საკითხების განსახილველად.

21. სახელმწიფო სტატისტიკის რაიონულ და საქალაქო ინსპექტურებს სათავეში უდგანან სახელმწიფო სტატისტიკის რაიონული და საქალაქო ინსპექტორები, რომლებსაც ნიშნავენ ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის სტატისტიკური სამმართველოების უფროსები, ხოლო რესპუბლიკური დაქვემდებარების რაიონებსა და ქალაქებში — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი.

22. სახელმწიფო სტატისტიკის რაიონული და სახელმწიფო ინსპექტორები მოახსენებენ ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებს დაწესებული ანგარიშმგებლობის წარდგენის წესის დარღვევის შესახებ, მიწერისა და საანგარიშმგებლო მონაცემების სხვა დამახინჯებათა ფაქტებს, არადადგენილი წესით ანგარიშმგებლობის წარმოდგენას, ხოლო საჭირო შემთხვევაში პროკურატურის ორგანოებს გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასცემენ მასალებს იმ პირთა შესახებ, რომლებიც სისტემატურად ან ბოროტი განზრახვით არღვევენ ანგარიშგების წარდგენის ვადებსა და წესებს ან წარადგენენ დამახინჯებულ მონაცემებს.

23. მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები მოვალენი არიან სახელმწიფო სტატისტიკის ინსპექტურებს რაიონებსა და ქალაქებში მისცენ კეთილმოწყობილი შენობები სამუშაოდ, რომლებიც გაწყობილი იქნება საჭირო ინვენტარითა და ტელეფონით. ამ შენობების და გასაწყობი ხარჯები, აგრეთვე სამეურნეო მომსახურების ხარჯები (დალაგება, გათბობა, სასამსახურო შენობის განათება, მასალების ბეჭდვა და გამრავლება) დაფარონ რაიონის, ქალაქის ადგილობრივი ბიუჯეტით, შიგასაქალაქო რაიონის ბიუჯეტის ხარჯზე. ამ მიზნისათვის საჭირო სახსრები ბიუჯეტში მტკიცდება ცალკე მუხლით.

24. სახელმწიფო სტატისტიკის ინსპექტურებს რაიონებსა და ქალაქებში აქვთ ბეჭედი თავისი სახელწოდებით.

43 „სოფლის მეურნეობის წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნის შემოღების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შემოიღოს „სოფლის მეურნეობის წარჩინებულის“ სამკერდე ნიშანი.

2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი და საქართველოს პროფკავშირების რესპუბლიკურ საბჭოსთან შეთანხმებული „სოფლის მეურნეობის წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნის დებულება და ნიმუში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ბერაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წ. 28 მაისი, № 379

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 28 მაისის № 379
დადგენილებით

დებულება

„სოფლის მეურნეობის წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნის შესახებ

1. „სოფლის მეურნეობის წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით ჯილდოვდებიან კოლმეურნეები, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის საბჭოთა მეურნეობების, სარემონტო-სატრაქტორო და სპეციალიზებული სადგურების, საწარმოების, მშენებლობათა ორგანიზაციების და დაწესებულებათა მუშაკები:

ა) სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის გადიდებისა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის გეგმების შესრულებისა და საწარმოო გეგმების შესრულებისათვის;

ბ) მანქანებზე სეზონური და ცვლის გამომუშავების ნორმების შესრულებისა და გადაჭარბებისათვის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში ჩატარებისა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მასალების, ნედლეულის, საწვავისა და ელექტროენერგიის ეკონომიურად ხარჯვისათვის, მანქანა-იარაღებისადმი ფრთხილად მოპყრობის, მანქანებისა და მოწყობილობის უავარიოდ მუშაობის, პროდუქციის დაგეგმილი თვითღირებულების შემცირებისათვის;

გ) შრომის ნაყოფიერების სისტემატური ზრდისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერების მიღწევათა და მოწინავე ნოვატორთა გამოცდილების დანერგვისათვის;

დ) გამოგონებისათვის, ტექნიკური გაუმჯობესებისა და რაციონალური წინადადებებისათვის, რომლებიც გააუმჯობესებენ საწარმოო პროცესებისა და შრომის ორგანიზაციას;

ე) გამოჩენილი სიფხიზლისათვის, რომლის შედეგად აცილებულ იქნა მექანიზმების, აგრეგატების, საწარმოო ნაგებობების ავარია ან ნარგავების, ნათესებისა და საწყობების ხანძრის წარმოშობა.

2. „სოფლის მეურნეობის წარჩინებულის“ ნიშნით აჯილდოებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი, აღმასკომის რაიინსპექციებისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამი-

ნისტროს სამმართველოების, ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროების, ოლქის სოფლის მეურნეობის სამმართველოს და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარდგენით.

3. „სოფლის მეურნეობის წარჩინებულის“ ნიშნის ჩაბარება დაჯილდოებულთათვის წარმოებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ ან მისი დავალებით კოლმეურნეთა, საწარმოთა და ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე.

ნიშნის ჩაბარებასთან ერთად დაჯილდოებულს ეძლევა ბოწმობა და სიგელი დაწესებული ფორმის მიხედვით.

4. ნიშანი „სოფლის მეურნეობის წარჩინებული“ კეთდება მარჯვენა მკერდზე.

5. დაჯილდოებულის შრომის წიგნაკში აღინიშნება „სოფლის მეურნეობის წარჩინებულის“ ნიშნით დაჯილდოება, მინისტრის ბრძანება ნომერისა და თარიღის ჩვენებით.

6. „სოფლის მეურნეობის წარჩინებულის“ ნიშნით დაჯილდოებულ პირებს ენარჩუნებათ უფლება ატარონ ნიშანი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემიდან გასვლის შემდეგ, სხვა სამუშაოზე ან პენსიაზე გადასვლისას.

7. „სოფლის მეურნეობის წარჩინებულის“ ნიშნით დაჯილდოებულნი აიყვანება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ პერსონალურ აღრიცხვაზე.

8. „სოფლის მეურნეობის წარჩინებულის“ ნიშნის ჩამორთმევა წარმოებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით სოფლის მეურნეობის წარჩინებულის საპატიო წოდებისათვის შეუფერებელი—უღირსი საქციელის გამო.

9. იმ პირებს, რომლებიც დაკარგავენ „სოფლის მეურნეობის წარჩინებულის“ ნიშანს ახალი არ მიეცემათ.

44 „აშენებული სტანდარტული სახლების მყიდველებთან და სტანდარტული სახლების მშენებელ ორგანიზაციებთან სავაჭრო საწარმოთა ანგარიშსწორების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინსტრუქცია, „აშენებული სტანდარტული სახლე-

ბის მყიდველებთან და სტანდარტული სახლების მშენებელ ორგანიზაციებთან სავაჭრო საწარმოთა ანგარიშსწორების წესის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. მირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წ. 3 ივნისი № 396

დამტკიცებულია საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს 1960 წლის
3 ივნისის № 396 დადგენილებით

ინსტრუქცია

აშენებული სტანდარტული სახლების მყიდველებთან და ამ სახლების მშენებელ ორგანიზაციებთან სავაჭრო საწარმოთა ანგარიშსწორების წესის შესახებ

სავაჭრო ორგანიზაციების ანგარიშსწორება მყიდველებთან

1. აშენებული სტანდარტული სახლების გაყიდვაზე წინასწარ შეკვეთას იღებენ სავაჭრო საწარმოები (ხე-ტყით მოვაჭრე საწყობები, ბაზები).

აშენებული სტანდარტული სახლის ღირებულებას მყიდველი იხდის შემდეგი წესით:

ა) შეკვეთის გაფორმების დროს სავაჭრო საწარმოს სალაროში მყიდველს შეაქვს ავანსი გასაყიდი ფასის 50 პროცენტის ოდენობით.

ბ) მყიდველის მიერ ავანსის შეტანისას სავაჭრო საწარმო მყიდველს აძლევს ქვითარს მისგან ფულის მიღების შესახებ და „შეკვეთა-ვალდებულებას“ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმით.

„შეკვეთა-ვალდებულებას“ ხელს აწერენ სავაჭრო საწარმოს დირექტორი და უფროსი ბუღალტერი, აგრეთვე მყიდველი და დამოწმდება სავაჭრო საწარმოს ბეჭდით;

გ) სახლის გასაყიდი ფასის დანარჩენი 50 პროცენტი მყიდველს შეაქვს ერთდროულად ან ნაწილნაწილ ნაღდ ფულად სავაჭრო საწარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოს სალაროში ან შესაბამის სავაჭრო საწარმოს ანგარიშზე, მყიდველის მიერ ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის მიღებული სესხის დადგენილი წესით გადარიცხვით, იმ პირობით, რომ აშენებული სტანდარტული სახლის მთელი ღირებულება გადახდილი იქნება აშენებული სახლის მიღება-გადაცემის აქტის ხელმოწერისას.

სახლის ღირებულების დანარჩენი 50 პროცენტის შეტანის დროს სავაჭრო საწარმო ვალდებულია მყიდველს მისცეს ქვითარი არსებული წესით ფულის მიღების შესახებ.

2. სავაჭრო საწარმო საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციისაგან სახლის მიღების შემდეგ სამი დღის განმავლობაში წერილობით აცნობებს მყიდველს, თუ როდის უნდა გამოცხადდეს იგი აშენებული სტანდარტული სახლის მისაღებად.

მყიდველი აშენებული სახლის მისაღებად უნდა გამოცხადდეს სავაჭრო საწარმოსაგან უწყების მიღებიდან არა უგვიანეს ორ დღეში.

აშენებული სახლის მისაღებად გამოცხადებული მყიდველი წარადგენს „შეკვეთა-ვალდებულებას“, ქვითარს ავანსის გადახდის შესახებ, პასპორტს ან პირადობის მოწმობას (სამხედრო მოსამსახურეები) და, დაათვალიერებს რა სახლს სავაჭრო საწარმოს წარმომადგენელთან ერთად, ხელს მოაწერს მიღება-ჩაბარების აქტს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმით.

მიღება-ჩაბარების აქტის შედგენა ხდება ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეძლევა მყიდველს მას შემდეგ, რაც იგი მთლიანად გადაიხდის აშენებული სტანდარტული სახლის ღირებულებას „შეკვეთა-ვალდებულების“ თანახმად.

მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დროს მყიდველი ახდენს აშენებული სახლის სრულ ანგარიშსწორებას და ხელს აწერს „შეკვეთა-ვალდებულებას“ სახლის მიღების შესახებ.

3. იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი მის მიერ სახლის მიღების დროიდან ერთი წლის განმავლობაში პრეტენზიას განაცხადებს სამშენებლო სამუშაოებში აღმოჩენილი დეფექტების შესახებ, სავაჭრო საწარმოს წარმომადგენელი, იმ მოიჯარე მშენებელი ორგანიზაციის წარმომადგენელთან ერთად, რომელმაც ამ სახლის მშენებლობა განახორციელა, ადგენს აღმოჩენილი დეფექტების აქტს, რომელშიც აღინიშნება მათი აღმოფხვრის ვადა. აქტის ერთი ეგზემპლარი ეძლევა მყიდველს.

აქტში აღნიშნულ დეფექტებს სავაჭრო საწარმოს ერთხელვნით, უფასოდ ასწორებს ის მოიჯარე ორგანიზაცია, რომელმაც სახლი ააშენა.

4. იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი არ გამოცხადდა სახლის მისაღებად სავაჭრო ორგანიზაციის მიერ გაგზავნილ უწყებაში აღნიშნულ ვადაში, მყიდველს ეძლევა დამატებითი ათდღიანი ვადა, რასაც სავაჭრო საწარმო აცნობებს მყიდველს და სათანადოდ აღნიშნავს შეკვეთების რეგისტრაციის წიგნში.

თუ მყიდველი მეორე გაფრთხილების შემდეგ არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა აშენებული სახლის მიღების გასაფორმებლად, მისი შეკვეთა უქმდება და მყიდველი სავაჭრო ორგანიზაციას უხდის პირგასამტეხლოს სახლის გასაყიდი ფასის 2 პროცენტის ოდენობით. პირგასამტეხლოს გამოქვითვის შემდეგ ავანსი უბრუნდება მას.

„შეკვეთა-ვალდებულების“ გაუქმების შემდეგ სავაჭრო ორგანიზაცია სახლს მიყიდის სხვა პირს.

5. მყიდველს უფლება აქვს უარი თქვას მის მიერ შეკვეთილ სახლზე და დაიბრუნოს გადახდილი ფული გამზადებული სახლის გასაყიდი ფასის 2 პროცენტის პირგასამტეხლოს გამოქვითვით.

სავაჭრო ორგანიზაცია არა უგვიანეს ხუთი დღის ვადისა მას შემდეგ, რაც მყიდველისაგან მიიღებს განცხადებას, რომ იგი უარს ამბობს შეკვეთილ სახლზე და რაც შეამოწმებს მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების სისწორეს, უბრუნებს მყიდველს ნაღდ შეტანილ ფულს, გარდა პირგასამტეხლო თანხისა, ჩამოართმევს ავანსის შეტანის დროს მიღებულ ქვითარს, აგრეთვე ქალაქის (რაიონის) აღმასკომის კომუნალური განყოფილების ცნობას მიწის ფართობის გამოყოფის შესახებ და აუქმებს „შეკვეთა-ვალდებულებას“.

„შეკვეთა-ვალდებულების“ გაუქმების დროს სავაჭრო საწარმო სათანადო დაწესებულებას, ორგანიზაციას და საწარმოს უბრუნებს გადმორიცხულ სესხითი თანხას, რომლებიც მიეცა მყიდველს ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის.

6. უკეთუ სავაჭრო საწარმო არ შეასრულებს თავის ვალდებულებას მყიდველისათვის აშენებული სახლის დაწესებულ ვადაში ჩაბარების შესახებ, სავაჭრო საწარმო მყიდველს გადაცილებული დროისათვის უხდის პირგასამტეხლოს სავაჭრო საწარმოს სალაროში მყიდველის მიერ შეტანილი თანხიდან წლიურ ორ პროცენტს.

7. სტანდარტული სახლის ღირებულების დასაფარავად მყიდველის მიერ შეტანილი მთელი თანხა სავაჭრო საწარმოს შეაქვს ყო-

ველდღიურად სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებაში ამ მიზნით სპეციალურად გახსნილ ქვეანგარიშებზე. თანხები, რომლებიც სავაჭრო ორგანიზაციებს ჩაერიცხებათ მყიდველებისათვის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის მიზნით გაცემული სესხის სახით, ჩაირიცხება აგრეთვე სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებაში სავაჭრო საწარმოს ქვეანგარიშზე.

სავაჭრო საწარმოს ამ ანგარიშსწორების ქვეანგარიშით სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი პროცენტებს არ დარიცხავს.

8. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებაში ქვეანგარიშის სახსრებს სავაჭრო დაწესებულება მოახმარს:

საპროექტო-საძიებო სამუშაოების ღირებულების ანაზღაურებას;

მოიჯარე მშენებელი ორგანიზაციებისათვის იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ავანსის გაცემას და სტანდარტული სახლების ასაშენებლად შესრულებული სამუშაოების ასანაზღაურებლად ამ ორგანიზაციების ანგარიშების განაღდებას;

მყიდველებისაგან შეტანილი ავანსის დაბრუნებას „შეკვეთა-ვალდებულების“ გაუქმების შემთხვევაში;

დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის იმ თანხების დაბრუნებას, რომლებიც მყიდველებს მიეცათ სესხად ინდივიდუალური ბინათმშენებლობის მიზნით, თუ გაუქმდა „შეკვეთა-ვალდებულება“.

გარდა ამისა, აღნიშნული ქვეანგარიშიდან გადაირიცხება:

ა) სავაჭრო საწარმოს სპეციალურ სესხთა ანგარიშზე — სხვაობა აუწყობელი სტანდარტული სახლების, მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციებისათვის მიცემული საშენი მასალების, ნაკეთობათა და მოწყობილობის საბითუმო და საცალო ფასებს შორის, აგრეთვე აუწყობელი სტანდარტული სახლის ღირებულების ავანსის ანგარიშში დახარჯული თანხები, მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციებისათვის მიცემული საშენი მასალების, ნაკეთობათა და მოწყობილობის ღირებულება;

ბ) სავაჭრო საწარმოს ანგარიშსწორების ანგარიშზე — აშენებული სტანდარტული სახლების მოსახლეობაზე მიყიდვის ოპერაციებით რეალიზებული შემოსავალისაგან, აგრეთვე მყიდველებისაგან „შეკვეთა-ვალდებულების“ გაუქმებით მიღებული პირგასამტეხლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავაჭრო საწარმოთა ანგარიშსწორება საპროექტო და მოიჯარე მშენებელ ორგანიზაციებთან

9. ქალაქის (რაიონის) აღმასკომებიდან გადაწყვეტილების მიღებისას ინდივიდუალური ბინათმშენებლებისათვის სტანდარტული სახლების ასაშენებლად მიწის ფართობების გამოყოფის შესახებ და ინდივიდუალური ბინათმშენებლებისაგან წინასწარი შეკვეთების მიღებისას სავაჭრო საწარმო მოიჯარე მშენებელ და საპროექტო ორგანიზაციებთან, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ, დებს სტანდარტული სახლების დაპროექტებისა და მშენებლობის ხელშეკრულებას.

ხელშეკრულება იდება:

ა) საპროექტო ორგანიზაციებთან — საპროექტო და საძიებო სამუშაოთა შესრულების ხელშეკრულებათა შესახებ წესების შესაბამისად, რომელნიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახმშენის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ 1953 წლის 25 მაისს.

ბ) მოიჯარე მშენებელ ორგანიზაციებთან—მშენებლობის დარგში საიჯარო ხელშეკრულებათა წესების შესაბამისად, რომელნიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 22 აგვისტოს № 1552 დადგენილებით.

10. საპროექტო-საძიებო სამუშაოებს ანაზღაურებს სავაჭრო საწარმო (შემკვეთი) მყიდველებისაგან მიღებული ავანსებით, რომლებიც ჩარიცხულია სავაჭრო საწარმოების ქვეანგარიშზე სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში.

11. სტანდარტული სახლების ასაშენებლად საპროექტო ორგანიზაცია ადგენს სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებას, რომელშიც შეიტანება აუწყობელი სტანდარტული სახლის ღირებულება, საშენი მასალების, ნაკეთობისა და მოწყობილობის ღირებულება საცალო ფასებით, მუშების შრომის დანახარჯი სახლის ასაშენებლად (იმ მუშების ჩათვლით, რომლებიც მომსახურებას უწევს მანქანებსა და მექანიზმებს), წყალმომარაგების მოწყობილობის, ელექტროენერგიის, გაზმომარაგების, კანალიზაციის, მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის ღირებულებანი — არსებული სახარჯთაღრიცხვო ნორმებითა და შეფასებებით; სატრანსპორტო ხარჯები — მოქმედი ტარიფებით, ზედნადები ხარჯები — მოიჯარე მშენებელი ორგანიზაციისათვის დამტკიცებული ნორმით; დაწესებული გეგმური დაგროვება, საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ღირებულება —

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედი ცნობარის მიხედვით; სავაჭრო საწარმოთა ხარჯები აშენებული სტანდარტული სახლის გაყიდვით.

სათავო ნაგებობათა, მაგისტრალური კომუნიკაციებისა და გზების მშენებლობაზე გაწეული ხარჯები, აგრეთვე საძიებო-საპროექტო სამუშაოთა ღირებულება მათი აგებისათვის სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებაში არ შედის.

სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებაში აუცილებლად შედის სტანდარტული სახლების აშენების ხარჯები 1955 წ. 1 ივლისისათვის არსებული სახარჯთაღრიცხვო ფასებით, აგრეთვე მშენებლობაზე დამატებითი დანახარჯების კომპენსაციის თანხა, რაც გამოწვეულია 1957 წლის 1 აპრილიდან ხე-ტყის პროდუქციაზე საბითუმო ფასების გადიდებით.

მოიჯარე მშენებელ ორგანიზაციებთან დადებულ ხელშეკრულებებში (ან მათ დანართებში) აღინიშნება: მშენებლობის ადგილი, ასაშენებელი სტანდარტული სახლების რაოდენობა, მათი ტიპი, მშენებლობის ვადები, აგრეთვე თვითეული სახლის ღირებულება და ხელშეკრულების საერთო თანხა, გამომდინარე სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებიდან, რომელიც გამოანგარიშებულია 1955 წლის 1 ივლისისათვის არსებული სახარჯთაღრიცხვო ფასებით.

ვარდა ამისა, ხელშეკრულებებში აღინიშნება მშენებლობაზე დამატებითი დანახარჯების კომპენსაციის თანხა, ხე-ტყის პროდუქციის საბითუმო ფასების გადიდებით გამოწვეული დამატებითი ხარჯები, რაც უნდა გადაიხადოს მოიჯარე მშენებელმა ორგანიზაციამ სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ზევით.

12. სავაჭრო საწარმოები მოიჯარე მშენებელ ორგანიზაციებს სტანდარტულ სახლებს, მასალებს, ნაკეთობებსა და მოწყობილობას აძლევენ მოქმედი საბითუმო ფასებით.

მიღებული სახსრები ჩაირიცხება სავაჭრო საწარმოს სესხთა-ანგარიშზე სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დავალიანების დასაფარავად.

13. სტანდარტული სახლების, მოწყობილობისა და მასალების ტრანსპორტირების, დატვირთვისა და გადმოტვირთვისათვის ზედმეტი ხარჯების თავიდან ასაცილებლად, სავაჭრო საწარმოები იყენებენ ტრანზიტს და აგზავნიან მათ მოიჯარე მშენებელი ორგანიზაციის მისამართით.

სტანდარტული სახლების, მოწყობილობისა და მასალების ტრანზიტით მიღების დროს (სავაჭრო საწარმოთა საწყობებისა და ბაზე-

ბის გვერდის ავლით) მათ განტვირთვას რკინიგზის სადგურებში (საბ. დინარო ნავსადგურებში) აწარმოებს მოიჯარე მშენებელი ორგანიზაცია.

14. სავაჭრო საწარმო მოიჯარე მშენებელ ორგანიზაციას სტანდარტული სახლის ასაშენებლად აძლევს ავანსს ხელშეკრულებაში აღნიშნული მთელი თანხის 50 პროცენტის ოდენობით, იმ თანხის გამოკლებით, რაც შეადგენს სხვაობას აუწყობელი სტანდარტული სახლების, მოიჯარე მშენებელ ორგანიზაციებზე გაცემული საშენი მასალების, ნაკეთობათა და მოწყობილობის საცალო და საბითუმო ფასებს შორის.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ავანსი 15 პროცენტის ოდენობით გადაირიცხება სამი დღის განმავლობაში ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, ხოლო დანარჩენი ნაწილი ჩაეთვლება იმ საგადასახდელო მოთხოვნის შემცირების თანხაში, რომელიც სავაჭრო საწარმოს წარედგინება ინკასოდ მოიჯარე მშენებელი ორგანიზაციისათვის მიცემული აუწყობელი სტანდარტული სახლების, საშენი მასალების და სხვა ფასეულობათა სახით.

15. მშენებლობის დამთავრების შემდეგ მოიჯარე მშენებელი ორგანიზაცია სავაჭრო ორგანიზაციებს გადასცემს ჩასასახლებლად გამზადებულ აშენებულ სტანდარტულ სახლებს.

გამზადებული სტანდარტული სახლების მიღება მოიჯარე მშენებელი ორგანიზაციისაგან წარმოებს საქართველოს სს რესპუბლიკაში მოქმედი აშენებული სახლის საექსპლუატაციოდ მიღების წესის შესაბამისად.

16. სავაჭრო საწარმოს ანგარიშსწორება მოიჯარე მშენებელ ორგანიზაციასთან მოსახლეობის მისაყიდად აშენებული და ჩასასახლებლად გამზადებული სტანდარტული სახლისათვის წარმოებს ინკასოზე ანგარიშების წარდგენის გზით სახლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ოდენობით მიღებული ავანსის გამოკლებით. ამ ანგარიშებში, გარდა ამისა, აღინიშნება მშენებლობისათვის იმ დამატებითი დანახარჯების კომპენსაციის თანხა, რაც გამოწვეულია ხეტყის პროდუქციის საბითუმო ფასების გადიდებით. ანგარიშებს უნდა დაერთოს აშენებული სახლების მიღება-ჩაბარების აქტები. მოიჯარე მშენებელი ორგანიზაციების ანგარიშების განაღდება აშენებული სტანდარტული სახლებისათვის წარმოებს სავაჭრო საწარმოთა ქვეანგარიშებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიჯარე მშენებელ ორგანიზაციებსა და სავაჭრო საწარმოებს ბინათმშენებლობის შორის შუალედური ანგარიშგება არ წარმოებს.

შენიშვნა: ამ ინსტრუქციით დადგენილი წესი სავაჭრო საწარმოთა ანგარიშსწორებისა მყიდველებთან აშენებული სტანდარტული სახლების მიყიდვისათვის და ანგარიშსწორება მოიჯარე მშენებელ ორგანიზაციებთან, რომლებმაც ააშენეს სტანდარტული სახლები, ვრცელდება სამომხმარებლო კოოპერაციის იმ ორგანიზაციებზე, რომლებიც ახორციელებენ აშენებული სახლების გაყიდვას ქალაქებსა და მუშათა დაბებში ზემდგომი ორგანოების დადგენილებათა შესაბამისად.

45 საკოლმეურნეო კინოთეატრების გახსნისა და ექსპლუატაციის წესის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ინსტრუქცია „საკოლმეურნეო კინოთეატრების გახსნისა და ექსპლუატაციის წესის შესახებ“.

2. დაევალოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გაამრავლოს აღნიშნული ინსტრუქცია ქართულ და რუსულ ენებზე და დაუგზავნოს კულტურის რაიონულ განყოფილებებს კოლმეურნეობებისათვის დასარიგებლად.

3. დაწესდეს, რომ საკოლმეურნეო კინოქსელის მთლიან შემოსავალს რაიონებში აღრიცხავენ რაიაღმასკომები, ხოლო მთლიანად რესპუბლიკაში — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო — სახელმწიფო კინოქსელის მთლიანი შემოსავლისაგან განცალკევებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ბერაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წ. 4 ივნისი № 408

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 4 ივნისის № 408
დადგენილებით

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს

ინსტრუქცია

საკოლმეურნეო კინოთეატრების გახსნისა და ექსპლუატაციის წესის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 12 იანვრის № 41 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო აწესებენ საკოლმეურნეო კინოთეატრებისა და სტაციონარული კინოდანადგარების გახსნისა და ექსპლუატაციის შემდეგ წესს:

1. საკოლმეურნეო კინოთეატრი და სტაციონარული კინოდანადგარი იხსნება სოფელ ადგილას კოლმეურნეობის გამგეობის გადაწყვეტილებით სპეციალურად ამ მიზნით აგებულ შენობაში ან კულტურის სახლსა და კლუბში, რომელიც კოლმეურნეობას ეკუთვნის.

2. სავალდებულოა საკოლმეურნეო კინოთეატრისა და სტაციონარული კინოდანადგარის რეგისტრაციაში გატარება საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კინოფიკაციის სამმართველოში შესაბამისი რაიაღმასკომის კულტურის განყოფილების მეშვეობით.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კინოფიკაციის სამმართველო აძლევს ამ თეატრებსა და დანადგარებს დაწესებული ფორმის მოწმობა-ნებართვას განსაზღვრული ვადით (1—2 წლით), რის შემდეგ უნდა მოხდეს მათი ხელახალი რეგისტრაცია.

3. საკოლმეურნეო კინოთეატრი და სტაციონარული კინოდანადგარი მუშაობას იწყებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიიღებს მოწმობა-ნებართვას და რეგისტრირებულ იქნება იგი იმ კინოგაქირავების კანტორაში, რომელიც ემსახურება მოცემულ რაიონს, აგრეთვე მას შემდეგ რაც საგადასახადო აღრიცხვაზე იქნება აყვანილი ადგილობრივ საფინანსო ორგანოში.

4. საკოლმეურნეო კინოთეატრებსა და სტაციონარულ კინოდანადგარებს კინოფილმებით ამარაგებს კინოგაქირავების კანტორა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. საკოლმეურნეო კინოთეატრებისათვის კინომექანიკოსთა მოტორისტთა კადრების მომზადება წარმოებს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კინომექანიკოსთა სკოლებში კოლმეურნეობებიდან მივლინებულ პირთაგან.

6. კინოსეანსების, მაყურებელთა მომსახურებისა და კინოსაგან შემოსავლის წლიურ, კვარტალურ და თვიურ გეგმებს, აგრეთვე საექსპლუატაციო ხარჯების გეგმას აწესებს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო და აცნობს მათ თვითეულ კოლმეურნეობას კულტურის რაიონული განყოფილების მეშვეობით.

7. დაწესდეს საკოლმეურნეო კინოთეატრებისა და სტაციონარული კინოდანადგარების შემოსავლის ჩაბარების შემდეგი ვადები:

ა) კინოთეატრები და სტაციონარული კინოდანადგარები, რომელთაც აქვთ ბანკში თავიანთი მიმდინარე ანგარიში, კინოსეანსებზე ბილეთების გაყიდვით მიღებულ შემოსავალს აბარებენ სახელმწიფო ბანკის დაწესებულებას არა უგვიანეს მიღებული შემოსავლის მეორე დღისა;

ბ) კინოთეატრები და სტაციონარული კინოდანადგარები, რომელთაც სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში არა აქვთ საკუთარი ანგარიშსწორების (მიმდინარე) ანგარიში და რომელთა შემოსავალი აღემატება 1000 მანეთს, აგრეთვე აბარებენ შემოსავალს არა უგვიანეს მეორე დღისა. თუ ამ კინოთეატრებისა და კინოდანადგარების შემოსავალი, კავშირგაბმულობის პირობების გამო, არ შეიძლება შეტანილ იქნეს ბანკში აღნიშნულ ვადაში, მაშინ იგი ფოსტით უნდა გაიგზავნოს არა უგვიანეს ამ შემოსავლის მიღების მეორე დღისა;

გ) კინოთეატრები და სტაციონარული კინოდანადგარები, რომელთა შემოსავალი 10 დღეში არ აღემატება 1000 მანეთს, ამ თანხას სახელმწიფო ბანკის დაწესებულებას აბარებენ ათ დღეში ერთხელ.

8. კინოსეანსებზე გაყიდული ბილეთების ამონაგები, რომელსაც საკოლმეურნეო კინოდანადგარები აბარებენ ბანკს, ჩაერიცხებათ:

10 პროცენტი (კინოს გადასახადი)—შესაბამისი რაიონის ადგილობრივ ბიუჯეტს შემოსავალში;

37 პროცენტი (გაქირავების საფასური)—კინოფილმების გაქირავების კანტორას;

53 პროცენტი—კინოთეატრის (კინოდანადგარის) ან კოლმეურნეობის ანგარიშსწორების (მიმდინარე) ანგარიშზე.

9. ბილეთების გაყიდვით მიღებული შემოსავალი უშუალოდ ბარდება სახელმწიფო ბანკის დაწესებულებას განცხადების თანახმად ნაღდად იმ ფორმის მიხედვით, რომელიც დაწესებულია სახელმწიფო კინოქსელისათვის, ამასთან განცხადებაში აღინიშნება რომელ თანხებში უნდა ჩაირიცხოს შემოსავალი:

ადგილობრივი ბიუჯეტის შესაბამის შემოსავალში კინოსაგან გადასახადის ასანაზღაურებლად;

კინოგაქირავების კანტორის ანგარიშზე კინოფილმების გაქირავებისათვის;

კინოთეატრის (კინოდანადგარის) ან კოლმეურნეობის ანგარიშსწორების ან მიმდინარე ანგარიშზე.

10. კინოთეატრებსა და კინოდანადგარების მუშაობის რეჟიმის დამყარების, კინოსეანსებზე უბილეთო მაყურებელთა დაუშვებლობის და შემოსავლის გეგმის შესრულების პასუხისმგებლობა ეკისრებათ კინოთეატრების (კლუბის, კულტურის სახლის) დირექტორებს.

კინოთეატრების (კინოდანადგარების) მუშაობისადმი და კინოს გადასახადის თანხების სწორი დარიცხვისა და ბიუჯეტში დროულად შეტანისადმი კონტროლი ეკისრებათ რაიონის კულტურის განყოფილებებსა და საფინანსო ორგანოებს.

11. საკოლმეურნეო კინოთეატრები და კინოდანადგარები მაყურებლებზე ყიდიან მხოლოდ დამტკიცებული, საბჭოთა კავშირში ერთიანი ნიმუშის ბილეთებს და იმ ფასებში, რომლებიც დამტკიცებულია სახელმწიფო კინოქსელისათვის. სხვა ნიმუშის ბილეთების გაყიდვა კატეგორიულად აკრძალულია. ამ წესის დარღვევაში დამნაშავენი მიეცემიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

საკოლმეურნეო კინოთეატრებს და სტაციონარულ კინოდანადგარებს კინობილეთებით, აგრეთვე დოკუმენტაციის ყველა ბლანკით ამარაგებს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო კულტურის რაიონულ განყოფილებათა მეშვეობით.

12. კინობილეთების აღრიცხვა და ანგარიშმგებლობა და საბილეთო მეურნეობის წარმართვა ხორციელდება „კინოქსელში საბილეთო მეურნეობის შემოღების შესახებ“ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და კულტურის სამინისტროს 1956 წლის 17 მაისის № 182/84 ინსტრუქციის სრული შესაბამისობით.

13. საკოლმეურნეო კინოთეატრებისა და სტაციონარული კინოდანადგარებისათვის კინოაპარატურასა და მოწყობილობას კოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობები ყიდულობენ საკუთარი სახსრებით საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მეშვეობით განაცხადებით, რომელთაც ამოწმებენ კულტურის რაიონული განყოფილებანი.

14. კინოაპარატურისა და მოწყობილობის სწორად გამოყენებისადმი კონტროლს ახორციელებენ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კინოფიკაციის სამმართველო, ხოლო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობას—სახელმწიფო სახანძრო ინსპექციის რაიონული რწმუნებულები.

15. საკოლმეურნეო კინოთეატრისა და კინოდანადგარის კინოაპარატურისა და მოწყობილობის რემონტს აწარმოებენ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კინოსარემონტო სახელოსნოები და პუნქტები სახელშეკრულებო საწყისებზე იმ ფასად, რაც დაწესებულია სახელმწიფო კინოქსელის აპარატურის რემონტისათვის.

16. საკოლმეურნეო კინოთეატრებსა და კინოდანადგარებს სათადარიგო ნაწილებითა და დამხმარე მასალებით (კინონახშირი, კინონათურები და სხვ.) მომარაგებას მათი განაცხადებით აწარმოებენ კულტურის რაიონული განყოფილებანი ან საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მომარაგებისა და გასაღების სამმართველო კულტურის რაიონულ განყოფილებათა შუამდგომლობით, ამასთან ამ სათადარიგო ნაწილებისა და მასალების ფასს იხდიან კოლმეურნეობები.

17. ყველა საკითხს, რომლებიც ამ ინსტრუქციით არაა გათვალისწინებული, სწყვეტენ ადგილზე კულტურის რაიონული განყოფილებანი და რაიონული საფინანსო განყოფილებანი.

46 საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 14 ივნისის № 672 დადგენილებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 11 ოქტომბრის № 1373 დადგენილების შეცვლის შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 10 მაისის № 481 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 16 დეკემბრის № 1371 და 1960 წლის 20 თებერვლის

№ 191 დადგენილებებთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებების შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 14 ივნისის № 672 დადგენილების ის ნაწილი, რომელიც შეეხება მეცნიერებათა აკადემიის გარდაცვლილ ნამდვილ წევრთა ოჯახების მატერიალური უზრუნველყოფის თანხის გაცემის წესსა და ოდენობას.

2. მე-7 მუხლის ბოლო აბზაცი დებულებისა მეცნიერების მუშაკთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 11 ოქტომბრის № 1373 დადგენილებით, გადმოცემულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„აკადემიის ნამდვილ წევრთა ოჯახის წევრებს, პენსიები, მარჩენალის დაკარგვის გამო, დაენიშნებათ აღნიშნული ოდენობით იმ შემთხვევაში, თუ ისინი მატერიალურ უზრუნველყოფას არ იღებენ სსრ კავშირის მთავრობის სპეციალური დადგენილების შესაბამისად“.

ამ დებულების მე-15 მუხლის მეორე აბზაცი ჩაითვალოს ძალადაკარგულად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუშავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ბერაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წ. 9 ივნისი № 411

47 ავტომობილებისათვის თხევადი სათბობის ხარჯვის ნორმების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. 1960 წლის 1 ივნისიდან შემოღებულ იქნეს ხმარებაში ავტომობილებისათვის თხევადი სათბობის ხარჯვის ერთიანი ნორმები, რომელნიც დაამტკიცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1960 წლის 5 მარტის № 252 დადგენილებით, თანახმად № 1 დანართისა.

2. დამტკიცდეს ავტომობილებისათვის თხევადი სათბობის ხარჯვის ერთიანი ნორმების გამოყენების ინსტრუქცია, თანახმად № 2 დანართისა.

3. წინადადება მიეცეთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს:

ა) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით დააწესონ მოტოციკლებისა, მოტოროლერებისა, აგრეთვე იმ ავტომობილებისათვის, რომელთაც იყენებენ სპეციალურ არასატრანსპორტო სამუშაოებზე, თხევადი სათბობის ხარჯვის ნორმები.

ბ) წარუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი თხევადი სათბობის ხარჯვის დროებითი, ერთ წლამდე, ნორმების დასაწესებლად იმ ავტომობილებისათვის, რომლებისთვისაც ეს ნორმები არ არის გათვალისწინებული ამ დადგენილებით და რომლებიც შეიმუშაონ აღნიშნული ავტომობილების გამოცდის ან მათი საცდელი ექსპლუატაციის შედეგების საფუძველზე.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად წარმოუდგინოს წინადადებანი რთულ საგზაო პირობებში (სეზონური უგზოობისა და ნამქერების პერიოდში, ახლად ათვისებულ უგზო რაიონებში, კარიერებსა და ჭრილებში ქანების, ქვანახშირისა და მადნეულის და სხვათა გადატანა) ავტომობილების მუშაობის დროს გამონაკლისის სახით თხევადი სათბობის ხარჯვის ნორმების გადიდებისა 35 პროცენტამდე და არა უმეტეს სამი თვის ვადისა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჭავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წ. 9 ივნისი № 416

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 9 ივნისის № 416
დადგენილების დანართი № 1

თხევადი სათბობის ხარჯვის ერთიანი ნორმები ავტომობილებისათვის

1. ბორტიანი ავტომობილებისა და ავტომატარებლებისათვის, რომლებიც ტონა-კილომეტრობით აღსარიცხავ სამუშაოს ასრულებენ, თხევადი სათბობის ხარჯვის ნორმა წესდება: როცა ტვირთები გადააქვთ კარბიურატორიანი ავტომანქანით — 2,5 ლიტრი 100 ტონა-კილომეტრზე და დიზელიანი ავტომობილებით — 1,5 ლიტრი 100 ტონა-კილომეტრზე, აგრეთვე 100 კილომეტრ გარბენაზე, თანახმად № 1 ცხრილისა.

2. თვითმცლელი ძარიანი ავტომობილებისათვის თხევადი სათბობის ხარჯვის ნორმა წესდება 0,3 ლიტრი თვითეულ გზაზე ტვირთით და 100 კილომეტრ გარბენაზე, თანახმად № 1 ცხრილისა.

3. მსუბუქი ავტომობილებისა და ავტობუსებისათვის თხევადი სათბობის ხარჯვის ნორმა ას კილომეტრ გარბენაზე წესდება, თანახმად № 2 ცხრილისა.

4. იმ საბარგო ავტომობილებისათვის, რომლებიც ასრულებენ სამუშაოს, რომლის აღრიცხვა არ ხდება ტონა-კილომეტრობით, თხევადი სათბობის ხარჯვის ნორმა წესდება ას კილომეტრ გარბენაზე, თანახმად № 2 ცხრილისა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. მირაქაძე.**

ცხრილი № 1
ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორმა

თხევადი სათბობის ხარჯვისა, იმ ავტომობილებისათვის, რომლებიც ასრულებენ სატრანსპორტო სამუშაოებს და რომელთა აღრიცხვა ხდება ტონა-კილომეტრობით

ავტომობილების მარკა და მოდელი	სათბობის ხარჯვის ნორმა 100 კილომეტრზე (ლიტრობით)
ძარიანი ავტომობილები და ავტომატარებლები	
უაზ-450 და უაზ-450დ	17,0
გაზ-ᲛᲛ	18,5
გაზ-51 და გაზ-51ა	23,0
გაზ-63 და გაზ-63ა	27.5
გაზ-51 (ნახევარმისაბმელით პაზ-744)	26,0
ზის-5, ზის-50, ურალ-ზის-51 ურალ-ზის-355 და ზის-355ემ	30,0
ზილ-150	32.5
ზილ-164	31,0
ზილ-120ნ (ᲛᲛᲖ-584 ნახევარმისაბმელი)	38,0
ზილ-ᲛᲛᲖ — 164ნ (ᲛᲛᲖ-584 ნახევარმისაბმელი)	36.5
ზილ-151 და ზილ-157	40,0
კაზ-601	34,0
მაზ-200, მაზ-200გ და მაზ-200ი	27.5
მაზ-2003 (5215ბ ნახევარმისაბმელი)	34,0
მაზ-200დ	29,5
იაზ-210, იაზ-210ა და იაზ-219	47,0
იაზ-210დ (მაზ5203 ნახევარმისაბმელით)	60,0
იაზ-210გ	49,0
ავტომობილები და ავტომატარებლები თვითმცლელი ძარით	
გაზ-93	25,5
ზის-5 — თვითმცლელი	32.5
ზილ-585, ზილ-585ვ, კაზ-600	37,0

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტომობილების მარკა და მოდელი	სათბობის ხარჯვის ნორმა 100 კილომეტრზე (ლიტრობით)
ზილ-585ი, ზილ-585კ	36.0
მაზ-205	34.0
იაზ-210ე და იაზ-222	57,0

შენიშვნა: თუ მუშაობს ავტომობილი მისაბმელის ან სპეციალიზებული ძარის გამოყენებით, თხევადი სათბობის ხარჯვის ნორმა გარბენის 100 კილომეტრზე იზრდება საბმურის საკუთარი წონის ან სპეციალიზებული ავტომობილის წონის გადამეტების თვითეულ ტონაზე, საბაზოსთან შედარებით, 2,5 ლიტრით კარბიურატორიან ავტომობილზე, და 1,5 ლიტრით—დიზელიან ავტომობილზე.

ცხრელიანი
ბიბლიოთეკა

ნორმა

თხევადი სათბობის ხარჯვისა მსუბუქი ავტომობილებისა, ავტობუსებისა და სატვირთო ავტომობილებისათვის, რომელთა მუშაობა არ აღირიცხება ტონობითა და ტონაკილომეტრობით

ავტომობილების მარკა და მოდელი	სათბობის ხარჯვის ნორმა 100 კილომეტრზე (ლიტრობით)
მსუბუქი ავტომობილები	
„მოსკვიჩ“ 400 და „მოსკვიჩ“ 401	9.0
„მოსკვიჩ“ 402 და „მოსკვიჩ“ 407	10,0
„მოსკვიჩ“ 426 („უნივერსალ“) და „მოსკვიჩ“ 430	11,0
„მოსკვიჩ“ 410, „მოსკვიჩ“ 410ნ, „მოსკვიჩ“ 411	13,0
გაზ-31	14.5
გაზ-311—73	17,0
გაზ-67 და გაზ-67ბ	15.0
გაზ-320 „პობედა“	13,5
გაზ-69, გაზ-69ა და გაზ-372	16,5
გაზ-12	18,5
მ-21გ და 3210 „ვოლგა“	13,5
ზის-101 და 101ა	25,5
მ-21ა და მ-213 „ვოლგა“	13.0
ზილ-110	27,0
შკოდა-1201	11,0
ავტობუსები	
გაზ-651 და პაზ-651	28.0
პაზ-652, პაზ-652ტ	32.0
პაზ—653 (სანიტარული)	26,0
ზის-8	34,0
ზის-16	37,0
ზილ-155	41,0
ზის-154	47.0
ზილ-127	42.0
ზილ-158	42,5
ლაზ-695	41,5
იკარუს-31	31,0
იკარუს-55	23,0

ავტომობილების მარკა და მოდელი	საათობრივი ნაოჯვის ნორმა 100 კილომეტრზე (ლიტრობით)
იკარუს-60	34,0
ავსტრო-ფიატი 5დნ-120	31,0

სატვირთო ავტომობილები, რომლებიც საათობრივი ანაზღაურებით ასრულებენ სამუშაოს, რომლის აღრიცხვა არ ხდება ტონაკილომეტრობით

უაზ-450	18,0
გაზ-ᲛᲛ	20.5
გაზ-51 და გაზ-51ა	26,0
გაზ-63	30.0
ზილ-150	37,0
ზილ-164	36,0
ურალ-ზის—355	33.0
გაზ-93	27.0
ზილ-585	39,0

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 9 ივნისის № 416
დადგენილების დანართი № 2

ინსტრუქცია

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 5 მარტის № 252 დადგენილებით დამტკიცებული ავტომობილებისათვის თხევადი სათბობის ხარჯვის ერთიანი ნორმების გამოყენებისა

თხევადი სათბობის ხარჯვის ნორმების გადიდება და შემცირება

1. თხევადი სათბობის ხარჯვის ნორმები ავტომობილებისათვის დიდდება:

ა) ზამთრის პერიოდში მუშაობისას, როცა ჰაერის საშუალო ტემპერატურა ცელსიუმით 0 გრადუსზე დაბალია — 5 პროცენტით, რაიონებში — თანახმად № 1 დანართისა, ხოლო რესპუბლიკის დანარჩენ რაიონებში — 3 პროცენტით. დაწესდეს საზამთრო ნორმების გამოყენების პერიოდი ნოემბრიდან მარტამდე ჩათვლით რაიონებში, თანახმად № 2 დანართისა, ხოლო რესპუბლიკის დანარჩენ რაიონებში — დეკემბრიდან თებერვლის ჩათვლით.

ბ) მთიანი რაიონების გზებზე, ზღვის დონედან 1500 მეტრ სიმაღლეზე (დანართი № 3) ან რთული გეგმის გზებზე მუშაობისას (სადაც საშუალოდ ერთ კილომეტრზე 40 გრადუსზე ნაკლები რადიუსით ხუთზე მეტი მოსახვევია), დანართი № 4, ზაფხულის პერიოდში — 8 პროცენტით და ზამთრის პერიოდში — 16 პროცენტით;

გ) ქალაქის ფარგლებში მუშაობისას, როცა ხშირი გაჩერებებია მაგალითად, ავტობუსი, საფოსტო ყუთების დასაცლელი ავტომობილი, სახლმმართველობის ეზოებიდან ნაგვის გამტანი, ინკასაციის ავტომობილები,—ათი პროცენტით;

დ) კაპიტალური რემონტიდან გამოსული და ახალი ავტომობილებისათვის—5 პროცენტით პირველი ათას კილომეტრზე გარბენისას.

ე) სასწავლო სვლის დროს—25 პროცენტით.

2. იმ ავტომობილებისათვის (გარდა ზილ-127, იკარუს-55 ავტობუსებისა), რომლებიც მუშაობენ ქალაქგარეთ დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში მყოფ გაუმჯობესებულ საფარიან გზებზე, სათბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ხარჯვის ნორმა ზაფხულის პერიოდში მცირდება 16 პროცენტით და ზამთრის პერიოდში—8 პროცენტით.

შენიშვნა: როცა საჭიროა გამოყენებულ იქნეს ერთდროულად რამდენიმე შეამასწორებელი კოეფიციენტი, თხევადი სათბობის ხარჯვის ნორმა წესდება კოეფიციენტების ჯამისა ან სხვაობის მიხედვით.

3. თხევადი სათბობის ხარჯვის ნორმა ტექნიკური საჭიროებისათვის, აგრეთვე ავტომობილებისათვის, რომლებიც განსაკუთრებულ პირობებში მუშაობენ:

ა) შიგასაგარაჟო ასაქცევებისა და ავტომეურნეობის ტექნიკური საჭიროებისათვის (ტექნიკური გასინჯვა, მარეგულირებელი სამუშაოები, ძრავებისა და ავტომობილების დამუშავება რემონტის შემდეგ და სხვ). ნებადართულია დაიხარჯოს იმ თხევადი სათბობის საერთო რაოდენობის ერთ პროცენტამდე, რასაც იყენებს ავტომეურნეობა.

ბ) ისეთი დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების პუნქტებში. სადაც სახანძრო უსაფრთხოების პირობების გამო აკრძალულია ძრავას ჩაქრობა (ნავთობსაწყობები, სპეცსაწყობები და სხვ.), ავტომობილის ერთი საათის დგომისათვის დაწესებულია სათბობის ხარჯვის დამატებითი ნორმა, იმ ნორმის მიხედვით, რაც იხარჯება მოცემული მარკის ავტომობილის ხუთ კილომეტრზე გარბენის დროს.

გ) ავტომეურნეობათა ხელმძღვანელებს უფლება ეძლევათ:

დააწესონ თხევადი სათბობის სამარშრუტო ხარჯვის ნორმები იმ ავტომობილებისათვის, რომლებიც ერთსა და იმავე მარშრუტებზე მუშაობენ, თუ დაცულია მთლიანად ყველა მარშრუტზე თხევადი სათბობის ხარჯვის ერთიანი ნორმები;

გამოიყენონ მოკლე მანძილზე მომუშავე (ხუთ კილომეტრამდე) ბორტიანი ავტომობილებისათვის, გზობის დანამატები იმ ოდენობით, რაც დაწესებულია თვითმცლელი ავტომობილებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ბერაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტომობილისათვის თხევადი სათბობის
ხარჯვის ერთიანი ნორმის გამოყენების
ინსტრუქციის დანართი № 1

ნუსხა

იმ რაიონებისა, სადაც ნებადართულია 5 პროცენტით გადიდდეს თხევადი სათბობის ხარჯვის ნორმები, როცა ჰაერის ტემპერატურა საშუალოდ ცელსიუსით 0 გრადუსია

1. ჩოხატაურის
2. მესტიის
3. ადიგენის
4. ახალციხის
5. ამბროლაურის
6. ბორჯომის
7. ახალქალაქის
8. ონის
9. ბოგდანოვკის
10. წალკის
11. ყაზბეგის
12. დუშეთის
13. თიანეთის
14. წითელი წყაროს
15. ყვარლის

ავტომობილისათვის თხევადი სათბობის
ხარჯვის ერთიანი ნორმების გამოყენების
ინსტრუქციის დანართი № 2

ნუსხა

საქართველოს სსრ იმ რაიონებისა, სადაც ნებადართულია გადიდდეს თხევადი სათბობის ხარჯვის ნორმები ნოემბრიდან მარტამდე ჩათვლით

ონის
ბოგდანოვკის
ყაზბეგის
ახალქალაქის
ბორჯომის
ჩოხატაურის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტომობილისათვის თხევადი საწვავის ხარჯვის ერთიანი ნორმის გამოყენების ინსტრუქციის დანართი № 3

ნუსხა

გზებისა და ცალკეული გადასარბენებისა, რომლებიც მთიან ადგილებშია ზღვის დონედან 1500 მეტრის და უფრო მეტის სიმაღლეზე

საერთოსახელმწიფოებრივი და რესპუბლიკური მნიშვნელობის გზები

სოხუმი—ჩერკასკის გზა (რუსეთის სფსრ საზღვრამდე) 109 კილომეტრიდან ქლუხორის უღელტეხილამდე—15 კილომეტრი.

სამხრეთ ამიერკავკასიის გზატკეცილი:

ა) დანისფარეული — გოდერძის უღელტეხილის გადასარბენი — პუნქტი ძიძი — 18 კილომეტრი;

ბ) გადასარბენი 234 კილომეტრიდან — ახალქალაქი — ბოგდანოვკა — სომხეთის სსრ საზღვარი — 61 კილომეტრი;

ჩოხატაური — ბახმაროს გზა — გადასარბენი გზის 41 კილომეტრიდან ბახმარომდე — 10 კილომეტრი.

საქართველოს სამხედრო გზა — გადასარბენი 116 კილომეტრიდან ყაზბეგამდე — 45 კილომეტრი.

ქუთაისი — ალპანა — ონი — მამისონის უღელტეხილი — შოვი მამისონის უღელტეხილის გადასარბენზე — 21 კილომეტრი.

ქუთაისი — მაიაკოვსკი—ზეკარის უღელტეხილი — აბასთუმანი — ბენარა — გადასარბენი 62 კილომეტრიდან, ზეკარის უღელტეხილით არაზინდოს სანატორიუმამდე—30 კილომეტრი.

წყალთაშუა — საირმე — წითელი მინდორი — გადასასვლელი 28 კილომეტრიდან, წითელი მინდორის გავლით ზეკარის უღელტეხილამდე — 18 კილომეტრი.

ობილისი — მანგლისი — წალკა — ბოგდანოვკა — გადასარბენი 83 კილომეტრი, თიკმატაშის უღელტეხილის გავლით ბოგდანოვკამდე — 93 კილომეტრი.

ახალქალაქი — კარწახის გზა— 36 კილომეტრი.

ბორჯომი — ბაკურიანი — ახალქალაქი — ბაკურიანი — ახალქალაქის გადასარბენზე — 54 კილომეტრი.

ბზიფი — რიწის ტბა — ავადხარა — გადასარბენი 49 კილომეტრიდან კურორტ ავადხარის მხარეს და შემდეგ — 8 კილომეტრი.

ვაზიანი — გომბორი — თელავის გზა — გომბორის უღელტეხილის ფარგლებში 44-დან 47 კილომეტრამდე—3 კილომეტრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილობრივი მნიშვნელობის გზები:

ახალქალაქის რაიონის ყველა გზა

ბოგდანოვკის რაიონის ყველა გზა

წალკის რაიონის ყველა გზა

ასპინძის რაიონის გზები — სოფელ საროდან საერთოსახელმწიფო გზამდე (სამხრეთ ამიერკავკასიის გზატკეცილი)—2 კილომეტრი. — დასახლებულ პუნქტ ხიზაბავრიდან საერთოსახელმწიფოებრივ გზამდე (სამხრეთ ამიერკავკასიის გზატკეცილი)—6 კილომეტრი.

ასპინძა — დამალა (დასახლებულ პუნქტ დამალიდან) ასპინძის რაიონული ცენტრის მხარეს—2 კილომეტრი.

დასახლებულ პუნქტ ოთიდან ბორჯომის რაიონის საზღვრამდე — 15 კილომეტრი.

ბორჯომის რაიონის გზები:

გზის გაგრძელება (დასახლებულ პუნქტ ოთიდან) ასპინძის რაიონის საზღვრიდან დასახლებულ პუნქტ ციხისჯვარის გავლით ბორჯომი — ბაკურიანი — ახალქალაქის რესპუბლიკურ გზამდე — 15 კილომეტრი.

მაჭარწყალი — გურჯაანი — წითელსოფელი — 12 კილომეტრი.

ცხრაწყარო — ტაბაწყური ახალქალაქის რაიონის საზღვრამდე— 17 კილომეტრი.

ონის რაიონის გზები:

ჩვეშა — გონა ლეტნიკი 5 კილომეტრი

ჯავის რაიონის გზა:

დასახლებულ პუნქტ ზემო როკიდან დასახლებულ პუნქტ ვანელის მიმართულებით — 5 კილომეტრი.

ლენტეხის რაიონის გზა:

ლენტეხი — ცანა — უშგული (ჩაჟაში) — 23 კილომეტრი.

ავტომობილისათვის თხევადი სათბობის
ხარჯვის ერთიანი ნორმის გამოყენების
ინსტრუქციის დანართი № 4

ნუსხა

გზებისა და გადასარბენებისა, რომელთაც აქვთ გეგმით მოსახვევები სულ ცოტა 40 მეტრი რადიუსით 1 კილომეტრზე 5

გზის დასახელება	საერთო სიგრძე	გადასარბენების დასახელება რთული გეგმით	კილომეტრიდან კილომეტრამდე	სიგრძე კილომეტროობით
შავი ზღვის გზატკეცილი	409	ციხისძირი — მახინჯაური	776—791	15
თბილისი — თიანეთი	70	გლდანი — გულელები	16—56	40
ქუთაისი — ტყიბული — ამბროლაური	76	ტყიბული — ნაქერალა	41—48	7
ქუთაისი — მაიაკოვსკი — ბენარა	105	ალისმერეთი — ბენარა	40—105	65
წაბლარისხევი — საირმე — წითელი მინდორი	45,5	წაბლარისხევი — საირმე — წითელი მინდორი	0—45,5	45,5
ვაზიანი — გომბორი — თელავი	68	სასადილო — თურდო	28—34, 45—55	16
თბილისი — მანგლისი — წალკა—ბოგდანოვკა	175	თბილისი — წალკა	0—100	100
ზუგდიდი — ჯვარი — ხაიში — მესტია	136	ჯვარი — ხაიში — მესტია	28—136	108
ჩოხატაური — ბახმარო	52,5	ნაბეღლავი — ბახმარო	20—52	32
ქუთაისი — წყალტუბო — ცაგერი — ლენტეხი	92	წყალტუბო — ხოფური	15—80	65
ალპანა — ცაგერი	22	ალპანა — ცაგერი	0—22	22
ჟინვალი — ბარისახო	52	ჟინვალი — ჰესის შენობა	0—45	45
სარფის გზა (ყაფანდიფი—სარფი)	20,5	ვონიო — სარფი	10—20	10
სოხუმი — ჩერკასკი (მაჯარა—ქლუხორის უღელტეხილი)	124	ლათა — ქლუხორის უღელტეხილი	52—124	72
აჭარისწყალი — მარადიდი	10,5	აჭარისწყალი — მარადიდი	0—10.5	10,5
სამხრეთ ამიერკავკასიის გზატკეცილი	292	ყაფანდიბი — ადიგენი	12—147	135

ეროვნული ბიბლიოთეკა

48 საქართველოს სსრ წყლის რესურსების გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში ადგილი აქვს წყლის რესურსების არარაციონალურ გამოყენებას, მათს დაშრობას და გაჭუჭყიანებას, რაც დიდ ზარალს აყენებს სახალხო მეურნეობას.

ჭუჭყიანი საწარმოო და საყოფაცხოვრებო წყლის გასაშვებად წყალსატევების გამოყენებამ გამოიწვია მათი ზედმეტი გაჭუჭყიანება. განსაკუთრებით ძლიერ გაჭუჭყიანებულია მდინარეები მტკვარი, რიონი, ენგური, ტყიბული, ყვირილა, ღალიძგა და შავი ზღვის სანაპიროს წყლები. ამ წყალსატევთა ცალკეული უბნები არა მარტო გამოუსადეგარია სამეურნეო საჭიროებისათვის, საბანაოდ და დასასვენებლად, არამედ საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას.

წყალსატევების გაჭუჭყიანების შედეგად დიდ ზარალს განიცდის თევზის მეურნეობაც. გაჭუჭყიანებული ჩამდინარე წყლის გადაშვება იწვევს სარეწაო თევზის ქვირითის დასაყრელი და გასასუქებელი ადგილებისა და მათი საკვები ბაზების მოსპობას. მნიშვნელოვნად ამცირებს თევზის მარაგს რესპუბლიკის შიგა წყალსატევებსა და წყალსაცავებში.

სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა, სამინისტროების და სხვა ორგანიზაციათა ბევრი ხელმძღვანელი ქმედითს ღონისძიებებს არ იღებენ სამრეწველო ჩამდინარე წყლით წყალსატევების გაჭუჭყიანების წინააღმდეგ.

წყლის რესურსების შესწავლა რესპუბლიკაში არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული. რაიონებისა და მდინარეთა აუზების წყლის ბალანსი არ დგება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისია არ ახდენს წყალსატევების დაცვასთან დაკავშირებული დაგეგმვის საკითხების კოორდინაციას.

არ წარმოებს წყლის რესურსების გამოყენების დარგთაშორისი დაგეგმვა, რის შედეგადაც არ არის ცალკეულ მდინარეთა აუზების წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენების პერსპექტიული გენერალური სქემა.

იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიწისზედა და მიწისქვეშა წყლის რესურსების უაღრესად რაციონალური გამოყენება და სათანადო დაცვა, აგრეთვე მალე აღმოიფხვრას წყალსატევების

გაშუქყიანება, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 22 აპრილის № 425 დადგენილების განსახორციელებლად ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სამმართველო, რომელსაც რესპუბლიკის ტერიტორიაზე ძირითად მდინარეთა აუზების (წყალსატევების) მიხედვით ექნებათ ინსპექციები.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, სამი კვირის ვადაში წარუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სამმართველოსა და მისი ინსპექციების სტრუქტურისა და შტატების შესახებ.

3. დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სამმართველოს:

ა) ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით გეგმიანი აღრიცხვა რესპუბლიკის ტერიტორიაზე და მათი გეგმიანი გამოყენების უზრუნველყოფა;

ბ) ცალკეულ მდინარეთა აუზების, სამრეწველო რაიონებისა და მთლიანად რესპუბლიკის წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის საწყლო-სამეურნეო ბალანსებისა და პერსპექტიული სქემების შემუშავების ორგანიზაცია;

გ) წყლის მავნე ზემოქმედებების—წყალდიდობის, შეტბორვის, დაჭაობების, ნიადაგის ეროზიის, დახრამვის და სხვ. წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა კონტროლი;

დ) ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ძირითადი აუზების წყლის რესურსების გამოყენების შეჯამებული გეგმებისა და ზემო და ქვემო ბიეფებში ჰიდროელექტროსადგურების, წყლის ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მიერ წყალსაცავთა კომპლექსური გამოყენების წესების მომზადება;

ე) წყლის რესურსების გამოყენების მიმდინარე დისპეტჩერული რეგულირება დამტკიცებული შეჯამებული გეგმისა და წლის ფაქტიური წყლიანობის საფუძველზე, აგრეთვე გეგმით დამტკიცებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი წყლის სარესპუბლიკათშორისო და სისტემათშორისი გადანაწილების უზრუნველყოფა;

ვ) საწარმოთა მიერ წყლის რესურსების აღრიცხვისა და რაციონალური გამოყენების, აგრეთვე ამ საწარმოთა მიერ წყალსატევების გაჭუჭყიანებისაგან, დანაგვიანებისა და დაშრეტისაგან დაცვის ღონისძიებათა განხორციელების სახელმწიფო ზედამხედველობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სამმართველოს უფლება აქვს შეაჩეროს მოქმედ საწარმოთა მუშაობა, თუ მათ დაწესებულ ვადაში არ შეასრულეს მთავრობის დადგენილება იმ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ გამდინარე წყლების გაწმენდასა და გაუვნებლებას;

ზ) ახალ საწარმოთა მშენებლობისა და მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციის პროექტებზე სავალდებულო ძალის მქონე დასკვნის დადება, რაც დაკავშირებულია წყლის რესურსების გამოყენებასთან, მათს დაცვასთან წყლის მავნე ზემოქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლასთან;

თ) იმ ძირითად ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა და მოწყობილობათა რეგისტრაცია და პასპორტიზაცია, რომლებიც დაკავშირებულია წყლის რესურსების გამოყენებასთან და დაცვასთან და წყლის მავნე ზემოქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლასთან;

ი) სარესპუბლიკათშორისო შეთანხმებათა მომზადება ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის რესურსების გამოყენების დარგში ერთობლივი მუშაობისათვის.

დაწესდეს, რომ წყალსატევთა სათანადო მდგომარეობისადმი ზედამხედველობასა და ღონისძიებათა შემუშავებას წყლის სათავეების დაცვის დარგში განახორციელებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სამმართველო სანიტარული, თევზის ზედამხედველობის, კომუნალური და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მონაწილეობით, ისე რომ პირველ რიგში გათვალისწინებულ იქნება წყლის გამოყენება მოსახლეობის სამეურნეო-სასმელი საჭიროებისათვის;

4. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებს, უწყებებსა და საწარმოებს აკრძალონ იმ საწარმოთა, საამქროებისა და აგრეგატების მიღება და მუდმივად ან დროებით საექსპლუატაციოდ გადაცემა, რომლებიც გამდინარე წყლებს

უშვებენ იმ ღონისძიებათა შეუსრულებლად, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ წყლების გაწმენდასა და გაუვნებლებას. ამასთანავე დაწესდეს, რომ აღნიშნულ საწარმოთა, საამქროებისა და აგრეგატების საექსპლუატაციოდ გადაცემა შეიძლება მხოლოდ სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის ნებართვით.

დაწესდეს, რომ გამდინარე წყლების გადასაშვები ობიექტების (საწარმოთა, საამქროებისა და სხვა ნაგებობათა) მშენებლობის საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმის ვადაში და ვადამდე შესრულებისათვის სამშენებლო ორგანიზაციათა ხელმძღვანელ მუშაკთა დაჯილდოება იწარმოებს იმ პირობით, რომ ამავე დროს საექსპლუატაციოდ გადაეცემა გამდინარე წყლების გასაწმენდი გამაუვნებელი ძირითადი ობიექტები და ნაგებობანი.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს:

ა) დაწყებული 1961 წლიდან გეგმებით გათვალისწინებულ იქნეს კაპიტალდაბანდებებისა და მატერიალურ-ტექნიკური სახსრების გამოყოფა წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების დარგში ღონისძიებათა განხორციელებისა და წყალსატევების გაჭუჭყიანების აღმოფხვრის მიზანდასახული დანიშნულებით, აღრიცხვაზე აიყვანონ ყველა სამრეწველო საწარმო და სხვა ობიექტები, რომლებიც აჭუჭყიანებენ წყლის სათავეებს;

ბ) ორი თვის ვადაში შეამოწმონ მოქმედ საწარმოებში გამდინარე წყლების გაწმენდისა და გაუვნებლების დანადგართა მდგომარეობა და დააწესონ ამ დანადგართა წესრიგში მოყვანის ვადები 1960—1963 წლების განმავლობაში, ამასთან უზრუნველყონ მათი ეფექტიანი გამოყენება. ერთდროულად მოაწყონ გასაწმენდი და გასაუვნებელი დანადგარების მუშაობის სისტემატური ლაბორატორიული კონტროლი.

6. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებს, უწყებებსა და საწარმოთა ხელმძღვანელებს:

ა) არ დაუშვან მოქმედ საწარმოებში ჩამდინარე წყლისა და ნაწრეტების რაოდენობის გადიდება ან მათი ხარისხის გაუარესება, თუ წინასწარ არ განახორციელებენ ჩამდინარე წყლისა და ნაწრეტთა გაწმენდის ტექნიკურ ღონისძიებებს;

ბ) აკრძალონ ზეგეგმითი გაჩეხა მთის ტყეების, რომელთაც წყლის შენარჩუნების მნიშვნელობა აქვთ, აგრეთვე აღადგინონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცენარეული საფარი, და პირველ რიგში ტყეები, როგორც ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის ქმედითი საშუალება;

ბ) სამი წლის ვადაში უზრუნველყონ ყველა წყალთა მეურნეობის ობიექტის წესიერ მდგომარეობაში მოყვანა და სისტემატურად განახორციელონ ფსკერის გაღრმავების, კალაპოტის გასწორების სამუშაოები და სხვა ღონისძიებანი, აგრეთვე მდინარეების, არხების, გუბურების წყალსატევებისა და სხვა წყალსაცავების გაწმენდა დასილვისაგან.

7. დაევალოს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, ფოთის, ბათუმისა და სოხუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურებს და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს შეიმუშაონ და 1963 წელს განახორციელონ ღონისძიებანი, რომელთა შედეგად აღიკვეთება ნავთობისა და ქიმიური პროდუქტების გადასაზიდი რკინიგზის ცისტერნების გაორთქლითა და გარეცხვით ჩამონადენი წყლით, აგრეთვე გემებიდან ჩამონადენი წყლით წყალსაცავების დაჭუჭყიანება.

8. შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან წყალთა მეურნეობის დაგეგმვის ქვეგანყოფილება სამი ერთეულის შტატით, სახელმწიფო საგეგმო კომისიისათვის დამტკიცებული ერთეულებისა და ხელფასის ფონდის ანგარიშზე.

9. ნება დაერთოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სოფლის მეურნეობის, წყალთა მეურნეობის, ადგილობრივი მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს დამტკიცებული შტატისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში მოაწყონ მათს აპარატში სპეციალური ჯგუფები, რომლებშიც იმუშავებენ 2—3 კაცი. ეს ჯგუფები უშუალოდ უხელმძღვანელებენ წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის საკითხებზე.

10. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოლოგიურ სამმართველოს:

ა) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სამმართველოს მისი თხოვნით გადასცეს სამმართველოს განკარგულებაში არსებული მასალები და მონაცემები რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიწისქვეშა წყლების მარაგის შესახებ;

ბ) შეუთანხმოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის რესურსების სამმართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიწისქვეშა წყლების შემდგომი ძიების წლიური და პერსპექტიული გეგმები, აგრეთვე მიწისქვეშა წყლებზე სარეჟიმო დაკვირვებათა მოწყობის გეგმები.

11. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტს მოახდინოს იმ სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა კოორდინაცია, რომელთა მიზანია საწარმოებიდან ჩანადენი წყლის მოცულობის შემცირება და წარმოების ტექნოლოგიური პროცესების დაწესება იმ ძვირფასი დამხმარე პროდუქტების გამოსაყენებლად, რომლებსაც შეიცავენ ჩამდინარე წყლები.

12. წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის და წყლის მავნე მოქმედების წინააღმდეგ ბრძოლის ღარგში სამეცნიერო გამოკვლევების გაერთიანებისა და განვითარების მიზნით, დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სამმართველოსთან ერთად ორი თვის ვადაში შეიმუშაოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში აღნიშნულ საკითხებზე სამუშაოდ სპეციალური სამეცნიერო დაწესებულება რესპუბლიკაში არსებული იმ სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულების ბაზაზე, რომელიც ანალოგიურ სამუშაოებს ასრულებს და წინადადებანი წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

13. ამ დადგენილების შესრულებისადმი კონტროლი დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიას.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომის, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების, სახალხო მეურნეობის საბჭოს, ქარხნების, ფაბრიკების, მშენებლობისა და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების ხელმძღვანელების ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ დაუშვებელია შემდგომში წყალსატევებში გაუწმენდავი

ჩანადენი წყლების ჩაშვება, რაც დიდ ზარალს აყენებს ტესტებლი-კის სახალხო მეურნეობას და ავალებს მათ განსაკუთრებული კონტროლი გაუწიონ ამ დადგენილებით გათვალისწინებული დავალებების შესრულებას. მოეწყოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კომისიები გაწმენდის ნაგებობათა მშენებლობის მიმდინარეობისა და იმ სხვა ღონისძიებათა შესრულებისადმი კონტროლისათვის, რომელთა მიზანია ჩამდინარე წყლების გაწმენდისა და გაუვნებლების უზრუნველყოფა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუპავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ბერაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წ. 13 ივნისი, № 427

49 საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს წინა წლებში გამოსული ზოგიერთი დადგენილება მოძველდა ან ფაქტიურად ძალადაკარგულად ითვლება სხვა, მათ შემცვლელ დადგენილებათა მიღების გამო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებანი, დართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ბერაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წ. 27 ივნისი № 436

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 27 ივნისის № 436
დადგენილების დანართი

ნუსხა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებისა, რომლებიც ცნობილია ძალადაკარგულად

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის 31 იანვრის № 74 დადგენილება „ტყის სარგებლობისა და ტყეების გაჩეხვის შესახებ“ (კან. კრებ. 1923 წ., № 1, მუხ. 17).

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის 26 აპრილის № 13 დადგენილება „საბჭოთა დაწესებულებებში ყოველკვირეული დასვენების დროის განსაზღვრის შესახებ“ (კან. კრებ., 1924 წ., № 1, მუხ. 16).

3. საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის 8 მაისის № 16 დადგენილება „უწყებისა და დაწესებულების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის შესახებ მათდამი რწმუნებული აპარატის მდგომარეობისა და მუშაობისათვის“ (კან. კრებ., 1924 წ., № 1, მუხ. 19).

4. საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის 7 ოქტომბრის № 33 დადგენილება „სპეციალური მოწმობების პროფესიონალური კავშირთა საწევრო ბილეთებით შეცვლის შესახებ“ (კან. კრებ., 1924 წ., № 5, მუხ. 23).

5. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლის 13 აპრილის დადგენილება „კლინიკებში სტაჟდამთავრებულ შტატის სამეცნიერო მომუშავეთა (ორდინატორთა) და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ცენტრალურ საჩვენებელ სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებაში სტაჟდამთავრებულ შტატის ორდინატორების სავალდებულო სახელმწიფო სამსახურის — დე? ულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ (კან. კრებ., 1926 წ., № 2, მუხ. 53).

6. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლის 1 ოქტომბრის დადგენილება „სპეციალური მოწმობების პროფესიონალური კავშირთა საწევრო ბილეთებით შეცვლის თაობაზე 1924 წ. ოქტომბრის 7-ის თარიღით და 33 ნომრით გამოცემული დადგენილების შეცვლისა და შევსების შესახებ“ (კან. კრებ., 1926 წ., № 5, მუხ. 120).

7. საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლის 10 სექტემბრის დადგენილება „კერძო გამომცემლობის დებულების დამტკიცების შესახებ“ (კან. კრ., 1926 წ., № 5, მუხ. 116).

8. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლის 20 ნოემბრის დადგენილება „სახელმწიფო სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებისა და კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის ისეთი ხარჯის გაწევის აკრძალვის შესახებ, რასაც პირდაპირი კავშირი არ აქვს მათ მოქმედებასთან“ (კან. კრებ., 1926 წ., № 6, მუხ. 136).

9. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლის 25 ნოემბრის დადგენილება „საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების მიერ კომერციულ ანგარიშის საფუძველზე მომქმედ საწარმოსა და სააქციო საზოგადოებაში სახელმწიფო სახსარისა და მატერიალური ფასეულობის მოთავსების წესის შესახებ“ (კან. კრებ., 1926 წ., № 6, მუხ. 139).

10. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის 2 სექტემბრის დადგენილება „საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაობის გაძლიერებისა და გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ“ (კან. კრ., 1927 წ., № 9, მუხ. 136).

11. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის 10 სექტემბრის დადგენილება „ტეხნიკუმების დებულების დამტკიცების შესახებ“ (კან. კრებ., 1927 წ., № 9 მუხ. 138).

12. საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის 4 ნოემბრის დადგენილება „სახელმწიფო შეკვეთით ნარდად მუშაობისა და გაყიდვა-მიწოდების საჯარო ვაჭრობის გაცემის პუბლიკაციის შესახებ“ (კან. კრებ., 1927 წ., № 11, მუხ. 164).

13. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის 5 დეკემბრის დადგენილება „ლიტერატურული შრომის დარგში მომუშავეებისა, მხატვრებისა, მექანდაკეებისა, მათი შვილებისა და აგრეთვე სამეცნიერო დარგში მომუშავეთა შვილების სასწავლებელში მიღების სფეროში მუშათა შვილებთან გათანასწორების შესახებ“ (კან. კრებ., 1927 წ., № 12, მუხ. 171).

14. საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის 11 თებერვლის დადგენილება „შავ ჭირთან ბრძოლაში მონაწილე სამედიცინო პერსონალის პირთა და მათი ოჯახის წევრთა პენსიის უზრუნველყოფის შესახებ“ (კან. კრ., 1928 წ., № 2, მუხ. 16).

15. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის 23 მარტის დადგენილება „ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში მოქალაქეთა ჩაწერის შესახებ სახლის დავთარში“ (კან. კრებ., 1928 წ. № 4, მუხ. 37).

16. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის 18 აპრილის დადგენილება „მდინარე რიონზე ბორნების გადაკეთებისა და მათი მოვლის წესის შესახებ“ (კან. კრებული, 1928 წ., № 6, მუხ. 48).

17. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის 17 ივლისის დადგენილება „ინდუსტრიალური სააბრეშუმო თესლის გაყიდვისა და დამზადების აკრძალვის შესახებ“ (კან. კრებ., 1928 წ., № 11, მუხ. 108).

18. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის 24 აგვისტოს დადგენილება „მუშათა და გლეხთა წითელი არმიის საკომანდო შემადგენლობისა და კავშირგაბმულობის მომუშავეთათვის საცხოვრებელი სივრცის მიცემის შესახებ“ (კან. კრებ., 1928 წ., № 12, მუხ. 121).

19. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის 15 დეკემბრის დადგენილება „სწავლისა და აღზრდის დაწესებულებაში მასწავლებელთა დანიშვნის წესის შესახებ“ (კან. კრებ., 1929 წ., № 1, მუხ. 15).

20. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 8 იანვრის დადგენილება „საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების გადიდების აკრძალვის შესახებ“ (კან. კრებ., 1929 წ., № 3, მუხ. 32).

21. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 13 მარტის დადგენილება „კომუნალურ საწარმოთა ქონების ამორტიზაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ (კან. კრებ., 1929 წ., № 8, მუხ. 65).

22. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 26 მარტის დადგენილება „სახელმწიფო შეკვეთით ნარდად მუშაობისა და გაყიდვა-მიწოდების საჯარო ვაჭრობით გაცემის პუბლიკაციის თაობაზე“ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1927 წ. ნოემბრის 4 თარიღით გამოცემული დადგენილების 1-ლი მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ“ (კან. კრებ., 1929 წ., № 8, მუხ. 71).

23. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 17 სექტემბრის დადგენილება „სპირტის სასმელების ვაჭრობის შეზღუდვის შესახებ“ (კან. კრებ., 1929 წ., № 20, მუხ. 231).

24. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 11 ოქტომბრის დადგენილება „სოფლად სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის საქმისა და სოფლადვე სასამართლო-სამედიცინო ფუნქციების აღმასრულებელი ექსპერტების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ“ (კან. კრებ., 1929 წ., № 21, მუხ. 242).

25. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 29 ოქტომბრის დადგენილება „მუშათა ბინებისა და მუშებით დასახლებული ადგილების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებათა შესახებ“ (კან. კრებ., 1929 წ., № 22, მუხ. 273).

26. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 1 ნოემბრის დადგენილება „საქართველოს სსრ-ში სამეცხვარეო მეურნეობისათვის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სფეროში შეღავათის მინიჭების შესახებ“ (კან. კრებ., 1929 წ., № 22, მუხ. 276).

27. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 12 ნოემბრის დადგენილება „ჯანმრთელობის საქმის საბიუჯეტო სახსრებიდან და დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების ფონდიდან დაფინანსების წესის შესახებ“ (კან. კრებ., 1929 წ., № 24, მუხ. 305).

28. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 16 აპრილის დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის დებულების დამტკიცების შესახებ“ (კან. კრებ., 1930 წ., № 11, მუხ. 158).

29. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 16 აპრილის დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობასთან არსებული სარედაქციო-იურიდიული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“ (კან. კრებ., 1930 წ., № 11, მუხ. 159).

30. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 18 ივლისის დადგენილება „სპეციალური ტექნიკუმების კურსდამთავრებულ პირთათვის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში შესასვლელად შეღავათების მინიჭების შესახებ“ (კან. კრებ., 1930 წ., № 12, მუხ. 189).

31. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 17 ივლისის დადგენილება „პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლის საბჭოს გამგებლობაში მყოფ საწარმოთათვის და დეიდობისა და ჩვილობის განყოფილებათა სოციალური დახმარების ორგანიზაციებისათვის საგადასახადო შეღავათების მინიჭების შესახებ“ (კან. კრებ., 1930 წ., № 14, მუხ. 221).

32. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 7 ივლისის დადგენილება „საქართველოს სსრ-ში უმაღლესი და საშუალო განათლების სკოლების რეორგანიზაციის შესახებ“ (კან. კრებ., 1930 წ., № 14, მუხ. 218).

33. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 6 აგვისტოს დადგენილება „საფოსტო გზავნილთა სწრაფი და წესიერი მსვლელობისათვის ხელის შემწყობ ღონისძიებათა შესახებ“ (კან. კრებ., 1930 წ., № 16, მუხ. 262).

34. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 16 აგვისტოს დადგენილება „საკოლმეურნეო საქმეში მომუშავეთა რაციონალურად მოხმარებისა და საკოლმეურნეო სისტემის გარეშე სხვა სამუშაოზე არ გამოყენების შესახებ“ (კან. კრებ., 1930 წ., № 15, მუხ. 242).

35. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 16 აგვისტოს დადგენილება „სამოქალაქო ომის ინვალიდობისათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა და საწარმოში თანამდებობის დასაჭერად უპირატესი უფლების მინიჭების შესახებ“ (კან. კრებ., 1930 წ., № 16, მუხ. 263).

36. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 30 სექტემბრის დადგენილება „სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან და საქალაქო და სასოფლო-საბჭოებთან არსებული საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების დამხმარე კომიტეტების დებულების დამტკიცების შესახებ“ (კან. კრებ., 1930 წ., № 20, მუხ. 306).

37. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 7 ოქტომბრის დადგენილება „სახალხო მასწავლებლების ნივთიერი და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ“ (კან. კრებ., 1930 წ., № 20, მუხ. 310).

38. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 5 ნოემბრის დადგენილება „სახალხო მასწავლებლების ნივთიერი და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე გამოცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მული დადგენილების მე-2 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ" (კან. კრებ., 1930 წ., № 20, მუხ. 313).

39. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 15 ნოემბრის დადგენილება „ეპიზოოტიებთან მებრძოლი სრულიად საკავშირო სააქციო საზოგადოების „ვეტეპო"-ს ამიერკავკასიის კონტორისათვის ეპიზოოტებთან ბრძოლის წარმოების დაკისრებისა და მის განკარგულებაში სავეტერინარო პერსონალის გამოყოფის შესახებ" (კან. კრებ., 1930 წ., № 20, მუხ. 316).

40. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 5 იანვრის დადგენილება „შინამრეწველობასა და ხელოსნობაში მომუშავე მოზარდთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ" (კან. კრებ., 1931 წ., № 3, მუხ. 41).

41. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 25 თებერვლის დადგენილება „წყალთა მეურნეობის ადგილობრივი ორგანოების მოწყობისა და ამ ორგანოების დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ" (კან. კრებ., 1931 წ., № 8, მუხ. 77).

42. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 10 მარტის დადგენილება —საქართველოს სსრ-ის სარწყავ რაიონებში სავალდებულო წესით მარტივ ჰიდროკულტურულ ღონისძიებათა (ჰიდრომინიმუმის) ჩატარების შესახებ" (კან. კრებ., 1931 წ., № 8, მუხ. 78).

43. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 18 აპრილის დადგენილება „სასოფლო ცეცხლგამძლე და სეისმომძლე მშენებლობისათვის შეღავათების მინიჭების შესახებ" (კან. კრებ., 1931 წ., № 19, მუხ. 106).

44. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 29 აპრილის დადგენილება „სავაჭრო-სამრეწველო და სასაწყობო საჭიროებისათვის შენობებისა, სადგომებისა და მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემის პირობების და წესის შესახებ" (კან. კრებ., 1931 წ., № 13, მუხ. 151).

45. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 4 მაისის დადგენილება „სამეთევზეო გამოსაღებისა და თევზის ჭერის რეწაობის უფლების საბილეთო გამოსაღების განაკვეთების მონაკლებთა დაწესების შესახებ" (კან. კრებ., 1931 წ., № 12, მუხ. 142).

46. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 23 აგვისტოს დადგენილება „საქართველოს სსრ ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმეთა მთავარ სამმართველოს და მისი ადგილობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რივი ორგანოების დებულების დამტკიცების შესახებ“ (კან. კრებ., 1931 წ., № 21, მუხ. 226).

47. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 13 აგვისტოს დადგენილება „შორეულ ადგილებში და ქალაქის ტიპის დიდრონი დასახლებული ადგილების გარეთ მომუშავე პირთა შეღავათების დებულების გამოცემასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ-ის კანონმდებლობაში ცვლილებათა შეტანის შესახებ“ (კან. კრებ., 1931 წ., № 18, მუხ. 198).

48. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 18 სექტემბრის დადგენილება „ადგილობრივ საბჭოთა და ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოთა მიერ განსახორციელებელი საბინაო, კომუნალური და სხვა არასამრეწველო მშენებლობის დაფინანსების წესის შესახებ“ (კან. კრებ., 1931 წ., № 21, მუხ. 220).

49. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 18 სექტემბრის დადგენილება „საშუალო და დაწყებითი მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ“ (კან. კრებ., 1931 წ., № 21, მუხ. 225).

50. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 4 ნოემბრის დადგენილება „საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის თევზ-სამეურნეო და ჰიდრო-ბიოლოგიური სამეცნიერო სადგურის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ (კან. კრებ., 1931 წ., № 28, მუხ. 243).

51. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 24 ნოემბრის დადგენილება „ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოთა და პირველადი კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ წლიური ბალანსების გამოქვეყნების წესის შესახებ“ (კან. კრებ., 1931 წ., № 24, მუხ. 256).

52. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 14 იანვრის დადგენილება „საგამომგონებლო საქმეთა ორგანოების რეორგანიზაციის შესახებ“ (კან. კრებ., 1932 წ., № 2, მუხ. 14).

53. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 4 მარტის დადგენილება „საცხოვრებელი ფართობით საინჟენერო-სატექნიკო დარგის მომუშავეთა უზრუნველყოფის შესახებ“ (კან. კრებ., 1932 წ., № 7, მუხ. 60).

54. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 4 მაისის დადგენილება „საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს რეორგანიზაციის შესახებ“ (კან. კრებ., 1932 წ., № 13, მუხ. 96).

55. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 10 აგვისტოს დადგენილება „შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულის სამმართველოს დაარსების შესახებ“ (კან. კრებ., 1932 წ., № 21, მუხ. 196).

56. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 23 აგვისტოს დადგენილება „მუშათა და კოლმეურნეთა განათლების სისტემის შესახებ“ (კან. კრებ., 1932 წ.,№ 22, მუხ. 215).

57. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 4 ოქტომბრის დადგენილება „სანაპირო რაიონებში სარეწაო-კოოპერატიული არტელებისა და ამხანაგობების წევრების სასურსათო და სამრეწველო საქონლით მომარაგების სფეროში მუშებთან გათანასწორების შესახებ“ (კან. კრებ., 1932 წ., № 23, მუხ. 220).

58. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 22 ნოემბრის დადგენილება „რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის დადებული ხელშეკრულებების მოშლისა და შეცვლის წესის შესახებ“ (კან. კრებ., 1933 წ., № 1, მუხ. 8).

59. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 22 ნოემბრის დადგენილება „წყლის ტრანსპორტის განვითარებისა და წყალსავალ გზებზე ადამიანთა სიცოცხლის დაცვის დამხმარე საზოგადოებისათვის შეღავათების მინიჭების შესახებ“ (კან. კრებ., 1933 წ., № 1, მუხ. 19).

60. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 4 დეკემბრის დადგენილება „სასაწყობო და სატრანსპორტო-საექსპედიციო საქმის სრულიად საკავშირო შენაერთის („სოიუზტრანს“) ორგანოების კუთვნილი ფურაჟის ჩამორთმევის აკრძალვის შესახებ“ (კან. კრებ., 1933 წ., № 1, მუხ. 18).

61. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 4 დეკემბრის დადგენილების „წყალთა მეურნეობის სამმართველოს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების შეცვლისა და გაუქმების შესახებ“ მეორე მუხლი (კან. კრებ., 1933 წ., № 2, მუხ. 33).

62. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 10 იანვრის დადგენილება „სახალხო სამეურნეო აღრიცხვის ორგანოებში ახალ შენობათა დადგმისათვის და არსებულ შენობათა და ნაგებობათა რეკონსტრუქციის და გაფართოებისათვის საწარმოებე-

ლი ყველა სამშენებლო სამუშაოს სავალდებულო რეგისტრაციის შესახებ“ (კან. კრებ., 1933 წ., № 4, მუხ. 50).

63. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 21 თებერვლის დადგენილება „კოლმეურნეების და ინდივიდუალური მეურნეების ტყით დაპრემირებისა და საკოლმეურნეო ბაზრებზე შეშის ვაჭრობის შესახებ“ (კან. კრებ., 1933 წ., № 7, მუხ. 100).

64. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 21 თებერვლის დადგენილება „მუშათა და გლეხთა მილიციის მომუშავეებისათვის განსაზღვრული საცხოვრებელი ფართობის შესახებ“ (კან. კრებ., 1933 წ., № 7, მუხ. 102).

65. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 23 მარტის დადგენილება „საქართველოს სსრ-ში გამომგონებლობის ორგანოების შესახებ“ (კან. კრებ., 1933 წ., № 10, მუხ. 128).

66. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 7 აპრილის დადგენილება „საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ წყალთა სარგებლობის წესისა და წყალსამეურნეო ნაგებობათა და მათ დამხმარე გამართულობათა დაცვის მიზნით — გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის დადებული ჯარიმის მოხმარებისა და იძულებითი მუშაობის გამოყენების შესახებ“ (კან. კრებ., 1933 წ., № 12, მუხ. 149).

67. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 7 მაისის დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებისათვის, რომელთა სისტემაშიაც უშუალოდ შედიან ცალკეული საწარმონი, რესპუბლიკანური მნიშვნელობის მქონე ტრესტების ზოგიერთი ფუნქციის დაკისრების შესახებ“ (კან. კრებ., 1933 წ., № 12, მუხ. 151).

68. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 11 ივლისის დადგენილება „ინდუსტრიალური საბრეშუმო ჭიის თესლის გაყიდვისა და დამზადების აკრძალვის თაობაზე გამოცემული 1928 წ. ივლისის 17-ის დადგენილების მე-4 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ“ (კან. კრებ., 1933 წ., № 17, მუხ. 235).

69. საქაროველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 25 სექტემბრის დადგენილება „მოსახლეობის საპასპორტიზაციოდ საჭირო მასალების და ცნობების საპასპორტო ორგანოებისათვის წარდგენის სფეროში სახლთმმართველობების მოვალეობათა შესახებ“ (კან. კრებ., 1933 წ., № 24, მუხ. 294).

70. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 7 დეკემბრის დადგენილება „საკვები პროდუქტების და ფარეთო მოხმარების საქონლის ფასების დამუშავებისა, დაწესებისა და კონტროლის გაწევის სფეროში უწყებებისა და ორგანიზაციების ფუნქციათა განსაზღვრის შესახებ“ (კან. კრებ., 1934 წ., № 1, მუხ. 19).

71. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 2 მარტის დადგენილება „მუსიკალურ-ფილარმონიული სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისა და მუსიკალურ-საწარმოთა, საესტრადო და საგასტროლო-სათეატრო საქმის სახელმწიფო შენაერთის მოწყობის შესახებ“ (კან. კრებ., 1934 წ., № 7, მუხ. 81).

72. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 17 დეკემბრის დადგენილება „რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ხელისშეწყობის ფონდებიდან გამომგონებელთა საზოგადოების განკარგულებაში ათპროცენტიანი ანარიცხების გადიდების შესახებ“ (კან. კრებ., 1934 წ., № 34, მუხ. 265).

73. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 21 აპრილის დადგენილება № 517 „საქართველოს სსრ-ში თევზდაცვის ღონისძიებათა განხორციელების შესახებ“ (კან. კრებ., 1935 წ., № 16, მუხ. 105).

74. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 21 ივლისის დადგენილება „სავალდებულო ნატურალური ჩაბარების, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიერ კოლმეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებებისა და საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების თაობაზე კოლმეურნეობების, კოლმეურნეების და ერთპიროვნული მეურნეობების საჩივრების განსახილველად კომისიის დაარსების შესახებ“ (კან. კრებ., 1937 წ., № 13, მუხ. 90).

75. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 1 ივლისის დადგენილება „გადამხდელთა ცალკეული კატეგორიებისათვის შენობის გადასახადის შენობის ღირებულების 2 პროცენტამდე გადიდების შესახებ“ (კან. კრებ., 1937 წ., № 13, მუხ. 93).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

50 სოფლის რაიონებში ექიმებისა და მასწავლებლების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

შემოწმებამ ცხადყო, რომ საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებს „დაწყებითი და რვაწლიანი სკოლების მასწავლე-

ბელთა შეღავათების და უპირატესობათა შესახებ“ (1948 წლის მარტი № 156), „სოფლის მედიცინის მუშაკთა მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ“ (1946 წლის სექტემბერი № 860) და განკარგულება, რომელიც ითვალისწინებდა სოფლად მომუშავე საშუალო სამედიცინო პერსონალის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას (1959 წლის იანვარი № 37-გ), ბევრი რაიონული აღმასკომი, რესპუბლიკის სასოფლო და სადაბო საბჭო ასრულებს არადამაკმაყოფილებლად.

რესპუბლიკის სოფლის სკოლების 39.057 მასწავლებლიდან 16.021 ცხოვრობს კერძოდ დაქირავებულ ბინებში, ბევრს ბინა ყოველთვიურად უჯდება 100—150 მანეთი. წალკის, თიანეთის, ლანჩხუთის, ზუგდიდის, ცხაკაიას, ხაშურის, ტყიბულის, კასპისა და ზოგ სხვა რაიონში სასოფლო საბჭოები მასწავლებლებისა და სამედიცინო პერსონალის კომუნალური მომსახურებით უზრუნველყოფის ნაცვლად, ნატურით აძლევენ მათ ფულად კომპენსაციას. საბგორის რაიონში სამომხმარებლო კოოპერაცია ურიცხავს სახსრებს, რომლებიც გათვალისწინებულია მასწავლებლებისა და სამედიცინო პერსონალის კომუნალური მომსახურებისათვის, რითაც აიძულებენ მათ შეიძინონ, ხანდახან, არა საჭირო საგნები.

შესრულებული არ არის საქართველოს სსრ მთავრობის 1954 წლის 14 თებერვლის № 339 დადგენილება 1954 — 1956 წლებში სოფლის მასწავლებლებისათვის თვითდაბეგვრის სახსრებით 490 ბინის აშენების შესახებ.

დაუშვებლად ჩაითვალოს, რომ ზოგიერთი აღმასკომი წლითიწლობით არ ითვისებს სოფლის მასწავლებლებისა და სამედიცინო პერსონალის კომუნალური მომსახურების ასიგნებებს. 1959 წელს რესპუბლიკის ბიუჯეტით ამ მიზნით გათვალისწინებული 16.210 ათასი მანეთიდან გამოუყენებელი დარჩა 730 ათასი მანეთი. ამ სახსრებს ცუდად ითვისებენ აჭარის ასს რესპუბლიკაში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ასპინძის, ახალქალაქის, ბოლნისის, ყვარლის, მაიაკოვსკის, მარნეულის, ხაშურისა და სამგორის რაიონებში.

ბოგდანოვკის რაიონში სამედიცინო პერსონალის კომუნალური მომსახურების სახსრები გამოყენებული არ არის. ახალქალაქის რაიონში მასწავლებლებისათვის გამოყოფილი 149 ათასი მანეთიდან გამოუყენებელი დარჩა 37 ათასი მანეთი.

სოფლის მასწავლებლებისა და სამედიცინო პერსონალისათვის ყოველწლიურად გამოყოფილი საბანკო სესხი ინდივიდუალური ბი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათმშენებლობისათვის სავსებით არ შეეფერება რეალურ მოთხოვნილებას.

მასწავლებლების, ექიმებისა და საშუალო სამედიცინო პერსონალის სოფლად კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ყველა ეს დარღვევა და ნაკლი იმის შედეგია, რომ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომები არასაკმაო ყურადღებით ეკიდებიან აღნიშნული სპეციალისტების შრომისა და ყოფაცხოვრების საკითხებს, არ იჩენენ საკმაო ზრუნვას მათზე, უყურადღებობას იჩენენ მათი სამუშაოზე შენარჩუნების საკითხისადმი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს განიხილონ სოფელ ადგილებში მასწავლებლების, ექიმებისა და საშუალო სამედიცინო პერსონალის საბინაო-საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობის საკითხი და მიიღონ ქმედითი ზომები მათ უზრუნველსაყოფად მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად ბინებით, გათბობითა და განათებით (ნატურით), არ დაუშვან ფულადი საზღაურის გაცემის შემთხვევები.

დროულად მიუტანონ მათ ბინებში სათბობი დაწესებული ნორმის მიხედვით.

შეუფერხებლად გამოუყონ მასწავლებლებსა და მედიცინის მუშაკებს მიწის ფართობები ინდივიდუალური მშენებლობისა და ბოსტნებისათვის.

ყოველწლიურად გაითვალისწინონ ბიუჯეტებით სოფლის მასწავლებლებისა და სამედიცინო პერსონალისათვის საჭირო სახსრები კომუნალური მომსახურების უზრუნველსაყოფად და მტკიცედ ადევნონ თვალყური მათს ათვისებას.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს შეამოწმოს სოფლის მასწავლებლებისა და მედიცინის მუშაკების კომუნალური მომსახურებისათვის გამოყოფილი სახსრების ათვისების მდგომარეობა და მისცეს ადგილობრივ საფინანსო ორგანოებს მითითებანი რაიონების ბიუჯეტებით ამ მიზნით გათვალისწინებული სახსრების ხარჯვის წესის შესახებ.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას გაითვალისწინოს 1961 წლის სახალხო მეურნეობის გეგმით, რომ მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოების აღმასკომებს კაპიტალურ დაბანდებათა საერთო რესპუბლი-

კური ლიმიტიდან გამოეყოთ საბინაო მშენებლობისათვის 6 მილიონი მანეთი განსაკუთრებით სოფლებში სოფლის მასწავლებლებისა და მედიცინის მუშაკებისათვის ბინების ასაშენებლად, თანახმად დანართისა.

4. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ 1961 წლის დამლევამდე ათვისება ამ დადგენილებით გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებების სახსრებისა მასწავლებლებისა და სამედიცინო პერსონალის ბინების მშენებლობისათვის.

საქართველოს სსრ განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებმა უზრუნველყონ რაიონული აღმასკომები ტიპური პროექტებით, აღმოუჩინონ მათ დახმარება მშენებლობაში.

5. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს კოლმეურნეობათა სახსრებით სკოლებისა და საავადმყოფოების მშენებლობის დროს გაითვალისწინონ მასწავლებლებისა და სამედიცინო პერსონალის ბინების მშენებლობაც.

6. დაევალოს ცეკავშირის გამგეობას ყოველწლიურად გაითვალისწინოს საშენი მასალების გამოყოფა მიზნობრივი დანიშნულებით სოფლის მასწავლებლებისა და მედიცინის მუშაკთათვის, რომლებიც აწარმოებენ ინდივიდუალურ მშენებლობას.

7. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას:

ა) გაუდიდოს მიმდინარე წელს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სოფლის მასწავლებლების ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის გრძელვადიანი კრედიტის ლიმიტი 200 ათასი მანეთით, აქედან 150 ათასი მანეთი აუთვისებელი კრედიტებიდან, რომლებიც გამოყოფილი ჰქონდა 1960 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების სახელმწიფო კომიტეტს და 50 ათასი მანეთი—საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ხარჯზე.

ბ) სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკში 1961 წლისათვის წარსადგენი გრძელვადიანი დაკრედიტების განაცხადის შედგენის დროს გაითვალისწინოს სოფლად მომუშავე მასწავლებლებისა და მედიცინის მუშაკთა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის ბანკის სესხთა გაცემის გადიდება.

8. საქართველოს სსრ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისა და ჯანმრთელობის დაცვის შემდგომ გაუმჯობესე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ღონისძიებათა შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების გასახორციელებლად ერთ-ერთ სერიოზულ ამოცანად იქნეს მიჩნეული საჭირო საბინაო საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა სოფლად მომუშავე სამედიცინო პერსონალისათვის, რისთვისაც დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს სოფლის ექიმებისათვის საცხოვრებელი ბინების მშენებლობა განახორციელონ დაწესებული ნორმით მიწის ნაკვეთების გამოყოფასთან ერთად, ამ მშენებლობაში კოლმეურნეობათა სახსრებისა და კოლმეურნეთა შრომითი მონაწილეობის მიზიდვით.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგილობრივი საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს სოფლის მასწავლებლების საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები, რაც ხელს შეუწყობს სკოლის ცხოვრებასთან კავშირის განმტკიცების კანონის წარმატებით განხორციელებას და საქართველოს სს რესპუბლიკაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომ გაუმჯობესებას.

10. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიას, საქართველოს სსრ განათლებისა და ჯანმრთელობის სამინისტროებთან და პროფკავშირთა შესაბამის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად, 1961 წლის პირველ ნახევარში შეამოწმოს რესპუბლიკის რაიონებში ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა და შედეგების შესახებ მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ბერაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წ. 29 ივნისი, № 452

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 29 ივნისის № 452
დადგენილების დანართი

განაწილება

საბინაო მშენებლობის კაპიტალდაბანდებათა სახსრებისა სოფლად მასწავლებლებისა და სამედიცინო მუშაკებისათვის 1961 წელს საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად

რაიონები	საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად გამოყოფილ კაპიტალდაბანდებათა მოცულობა (ათას მანეთობით)	
	მასწავლებლებისათვის	მედმუშაკებისათვის
1. აფხაზეთის ასსრ	300	300
2. აჭარის ასსრ	300	300
3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	200	200
4. ადიგენის რაიონი	100	100
5. ამბროლაურის „	100	100
6. ასპინძის „	100	100
7. ახალქალაქის „	100	100
8. ახალციხის „	100	100
9. ახმეტის „	100	100
10. ბოგდანოვკის „	100	100
11. ბოლნისის „	—	100
12. დმანისის „	100	100
13. დუშეთის „	100	100
14. ყაზბეგის „	100	100
15. ქარელის „	100	—
16. კასპის „	100	—
17. ლაგოდეხის „	100	—
18. ლენტეხის „	100	100
19. მარნეულის „	100	—
20. მესტიის „	100	100
21. ონის „	100	100
22. სამგორის „	—	100
23. სიღნაღის „	—	100
24. თიანეთის „	100	100
25. ცაგერის „	100	100
26. წალკის „	100	100
27. წალენჯიხის „	—	100
28. გორის „	100	—
29. თეთრიწყაროს „	100	100
30. ხაშურის „	—	100
სულ	3000	3000

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჟვირაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველობა

წლიური ხელმოწერის ფასი 30 მან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

შეკვეთა № 897